

619
1973
ეროვნული ბიბლიოთეკა

# დილა

№ 7 ივლისი 1973



ვაშინგტონი. შეხვედრა თეთრ სახლში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ლ. ი. ბრეჟნევი და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი მოლაპარაკების დაწყების წინ.

საკდესის ფოტო

ელექტრონული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 7 (440) ივლისი, 1973 წ.

გამოცემის წელი 50-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

© საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა. 1973

# დიადი სამოცდაათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტროგრადი, 1917 წელი. სრულიად რუსეთის საბჭოების I ყრილობის ტრიბუნიდან მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი წერეთელი აცხადებს: რუსეთში არ არის პოლიტიკური პარტია, რომელიც გაბედავს თავის ხელში აიღოს სახელმწიფო ძალაუფლება. ამის პასუხად დარბაზიდან ომახიანად გაისმის ბოლშევიკების ბელადის ვლადიმერ ილიასძე ლენინის ხმა:

— არის ასეთი პარტია, ბოლშევიკების პარტია.

ეს პარტია, სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის პარტია, რომელმაც შეისისხლხორცა ყოველივე მოწინავე, გაბედული და გმირული, რაც პროლეტარიატშია, რომელიც ძლიერია თავისი რევოლუციური თეორიით, ხალხთა ფართო მასებთან განუყრელი კავშირით, თავისი რიგების რკინისებური ერთიანობით, შეიქმნა 70 წლის წინათ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობაზე.

ვ. ი. ლენინმა შექმნა რევოლუციური პარტიის იდეოლოგიური, ორგანიზაციული და თეორიული საფუძვლები, შეაიარაღა იგი პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელობის მეცნიერული პროგრამით, სტრატეგიით და ტაქტიკით, ყოველმხრივ მოამზადა იგი თავისი ისტორიული მისიის შესასრულებლად — ახალი საზოგადოებრივი წყობილების ასაშენებლად.

ბოლშევიკური პარტიის რიგებში მისი დაარსების პირველ წლებში ითვლებოდა სულ რამდენიმე ათასი კაცი. მაგრამ ისინი იყვნენ მუშათა კლასის საქმისათვის თავგანწირული, უდრეკი მებრძოლები, მამაცი რევოლუციონერები, რომლებსაც ვერ აფრთხობდა ვერავითარი დევნა, საპყრობილეები და კატორღები. პარტიის რიგები სულ უფრო იზრდებოდა და იწრთობოდა ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლებში. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, როცა კომუნისტური პარტია მმართველი პარტია გახდა, იგი გადაიქცა უფრო უდიადეს პოლიტიკურ ძალად. ამჟამად მის რიგებში გაერთიანებულია 15 მილიონზე მეტი კაცი — მუშათა კლასისა და მშრომელთა ყველაზე მოწინავე წარმომადგენლები. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ თავისი არსებობის 70 წლის მანძილზე შეიძინა მასებზე ხელმძღვანელობის უმდიდრესი ისტორიული გამოცდილება, რომელიც შთამაგონებელი მაგალითია ყველა ქვეყნის მარქსისტულ-ლენინური პარტიებისათვის მათ ბრძოლაში საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის.

* * *

მუშათა კლასის მარქსისტული პარტიის ჩასახვის პირობები რუსეთში შეიქმნა XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს, როცა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ცენტრმა დასავლეთ ევროპიდან აქ გადმოინაცვლა და რუსეთის მუშათა კლასი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ავანგარდი გახდა. ამ პერიოდის უმნიშვნელოვანესი მოვლენები იყო ვ. ი. ლენინის მიერ ნაროდნიკობის იდეური განადგურება, პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ შექმნა, „ლეგალური მარქსიზმისა“ და „ეკონომიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლა.

1898 წლის მარტში გაიმართა რსდმპ I ყრილობა, მის მუშაობაში ვ. ი. ლენინი არ მონაწილეობდა, ვინაიდან გადასახლებაში იმყოფებოდა. ყრილობამ გამოაცხადა მარქსისტული პარტიის შექმნა რუსეთში, მაგრამ პარტია ფაქტიურად არ არსებობდა. მისი ხელმძღვანელი ორგანოების წევრები დაპატიმრებული იყვნენ. მოქმედებდნენ ცალკეული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები და წრეები, რომელთა უმრავლესობა განიცდიდა საერთაშორისო ოპორტუნიზმის რუსული ნაირსახეობის — „ეკონომიზმის“ გავლენას. მარქსისტული პარტიის შექმნისათვის ბრძოლასა და „ეკონომისტების“ იდეურ განადგურებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა საერთო-რუსულმა პოლიტიკურმა გაზეთმა „ისკრამ“, რომელიც ვ. ი. ლენინმა დააარსა საზღვარგარეთ, გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ.

„ისკრის“ რედაქციამ ფართო მუშაობა გაშალა რსდმპ II ყრილობის მოსაწვევად, რომელსაც უნდა შეექმნა რუსეთის პროლეტარიატის ნამდვილად მარქსისტული პარტია. მანვე შეადგინა პარტიის პროგრამის პროექტი. ვ. ი. ლენინმა გააკრიტიკა პლეხანოვის მიერ დაწერილი პროექტი და მიაღწია იმას, რომ მასში შეტანილ იქნა უმნიშვნელოვანესი დებულება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ და მკაფიოდ აღინიშნა მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი რევოლუციაში.

რსდმპ II ყრილობა მიმდინარეობდა საზღვარგარეთ 17 (30) ივლისიდან 10 აგვისტომდე. მისი 13 სხდომა გაიმართა ბრიუსელში, ხოლო 24 — ლონდონში. ყრილობის დელეგატთა შემადგენლობა ერთგვაროვანი არ იყო. „ისკრის“ მომხრეებთან ერთად იყვნენ მისი მოწინააღმდეგეებიც. თვით ისკრელთა შორის ყველა როდი ითვლებოდა თანმიმდევრულ ლენინელად. ზოგი მათგანი ემხრობოდა ოპორტუნისტთა ლიდერს მარტოვს.

II ყრილობამ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის სიკვდილის შემდეგ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში პირველად მიიღო რევოლუციური პროგრამა, რომელმაც დასახა მთავარი მიზანი— პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლა. ვ. ი. ლენინმა და მისმა თანამებრძოლებმა მიაღწიეს აგრეთვე იმას, რომ პროგრამაში შეტანილ იქნა რევოლუციურ-დემოკრატიული მოთხოვნები გლეხობის საკითხზე და პუნქტი ერთა თვითგამორკვევის შესახებ. პროგრამაში ასახულ იქნა პარტიის უახლოესი მიზანი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეტაპზე (პროგრამა-მინიმუმი) და ძირითადი ამოცანა — სოციალისტური რევოლუციის განხორციელება (პროგრამა-მაქსიმუმი). ეს პროგრამა ბოლშევიკური პარტიის სახელმძღვანელო დოკუმენტი იყო VIII ყრილობამდე (1919 წელი).

ყრილობაზე მწვავე ბრძოლა გაჩაღდა პარტიის აგების ორგანიზაციული პრინციპების თაობაზე. განსაკუთრებით დიდი დავა ატყდა პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის გარშემო. წამოყენებული იყო ორი ფორმულირება: ლენინისა, რომელიც მოითხოვდა, რომ პარტიის წევრი უნდა ცნობდეს პარტიის პროგრამას, მხარს უჭერდეს პარტიას მატერიალურად და მონაწილეობდეს მის ერთ-ერთ ორგანიზაციაში, ემორჩილებოდეს ერთიან დისციპლინას; მარტოვისა, რომელიც სავალდებულოდ არ თვლიდა პარტიის წევრის მონაწილეობას მის ერთ-ერთ ორგანიზაციაში, უარყოფდა ყოველგვარ შინაპარტიულ დისციპლინას და ყველა მსურველს, მათ შორის ოპორტუნისტულ და წვრილბურჟუაზიულ ელემენტებსაც აძლევდა პარტიაში შესვლის შესაძლებლობას.

ოპორტუნისტებმა შეძლეს მარტოვის ფორმულირების გატანა, მაგრამ მას დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა. უკვე III ყრილობაზე გაიმარჯვა ლენინურმა დებულებამ.

პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევის დროს ხმის უმრავლესობა მიიღეს ვ. ი. ლენინმა და მისმა თანამებრძოლებმა. ამიერიდან მათ უწოდეს ბოლშევიკები, ხოლო ანტილენინელებს, ოპორტუნისტებს, რომლებიც უმცირესობაში აღმოჩნდნენ — მენშევიკები.

რსდმპ II ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მან შექმნა ნამდვილად მარქსისტული, ახალი ტიპის პარტია იმ იდეურ და ორგანიზაციულ საწყისებზე, რომელიც წამოაყენა და შეიმუშავა ლენინურმა „ისკრამ“. ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან არსებობს.

რსდმპ II ყრილობამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა მსოფლიო მუშათა მოძრაობაში. ვ. ი. ლენინის მიერ მენშევიკების ანტიმარქსისტული იდეური და ორგანიზაციული დებულებების დაუნდობელმა მხილებამ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა საერთაშორისო რევიზიონიზმს და ოპორტუნიზმს, ხელი შეუწყო რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებას ყველა ქვეყანაში.

რუსეთის სამმა რევოლუციამ თვალნათლივ დაამტკიცა, რომ ბოლშევიკების პარტიამ უმოკლეს დროში (1903-1917 წლები) გასწია ისეთი გიგანტური პოლიტიკური მუშაობა, რომელსაც გამოცდილების სიმდიდრის, მარქსისტული თეორიის განვითარების სიღრმისა და რევოლუციის მსვლელობაში მისი შემოქმედებითი გამოყენების მხრივ ბადალი არ ჰყოლია მსოფლიო ისტორიაში.

პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგ კომუნისტურმა პარტიამ მთელი ხალხი დარაზმა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს დაცვისათვის შინაური კონტრრევოლუციისა და უცხოელი იმპერიალისტების ხელყოფისაგან, განამტკიცა საბჭოთა სახელმწიფო, განავითარა სოციალისტური დემოკრატია, გააძლიერა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირი, უზრუნველყო ეროვნული საკითხის გადაჭრა მრავალეროვან საბჭოთა სახელმწიფოში, შექმნა სოციალისტური ერების თანამეგობრობა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენმა ქვეყანამ გიგანტური ნახტომი გააკეთა ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ. თუ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამრეწველო განვითარების გზა ერთი საუკუნის განმავლობაში განვლეს, საბჭოთა კავშირმა ეს მანძილი ორი ათეული წლის მანძილზე გაიარა. მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების ლენინური კურსის განხორციელების მეოხებით ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმმა გაიმარჯვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. უკვე პირველი ორი ხუთწლედის განხორციელების შედეგად საბჭოთა კავშირი გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ სახელმწიფოდ და სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობით მეორე ადგილზე გამოვიდა მსოფლიოში.

წვრილ და უწვრილეს ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა ქვეყნიდან საბჭოთა კავშირი გადაიქცა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის ქვეყანად. საკოლმეურნეო წარმოებამ, რომელიც დამყარებულია მოწინავე აგროტექნიკის გამოყენებაზე, გაზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, გადიდდა სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქცია, ხოლო სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის ხვედრითი წონა თითქმის ერთიორად შემცირდა რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლთან განუყრელად დაკავშირებულია კულტურული რევოლუციის განხორციელება.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



# ასი ტომი

…Я подыму,
как большевистский партбилет,
все сто томов
моих партийных книжек.

ვლ. მაიაკოვსკი.

ამ სიტყვებში — მთელი მაიაკოვსკია. რევოლუციისა და სოციალიზმის დიდი პოეტის ლექსს თვითონ საბჭოთა ეპოქამ მიანიჭა ის შთამაგონებელი, დამრაზმველი ძალა, ის მუდამ მღვიძარე სული მოწინავე იდეურობისა, რომელმაც პოეტს ათქმევინა — მე აღვმართავ ჩემი პარტიული წიგნაკების ას ტომს, როგორც ბოლშევიკურ პარტბილეთსო. თავის პოემაში „კარგია“ მაიაკოვსკიმ თქვა: „მე დედამიწის ბურთი თითქმის მთლიანად შემოვიარეო“; დღეს ეს თამამად ითქმის მის ლექსზე, მთლიანად მის პოეზიაზე, რომელმაც მსოფლიოს ყველა კუთხეში შეაღწია და ყველგან მიიტანა თავისუფლების, მშვიდობისმოყვარეობის, წინსვლისა და ადამიანის ბედნიერებისათვის ბრძოლის მოწინავე იდეები.

მაიაკოვსკის პოეზიამ უზარმაზარი გავლენა მოახდინა არა მარტო საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაზე, მან მთელ მსოფლიოში აღზარდა დიდი საზოგადოებრივი დიაპაზონის მქონე პოეტები, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ პაბლო ნერუდა (ჩილი), ნაზიმ ჰიქმეთი (თურქეთი), ნიკოლას გილიენი (კუბა), ვლ. ბრონევსკი (პოლონეთი), ანტალ გიდაში (უნგრეთი), კ. ვარნალისი (საბერძნეთი) და მრავალი სხვა. ყველა ისინი მაიაკოვსკის გზას გაჰყვნენ და მხარში ამოუდგნენ თავიანთი ხალხების მოწინავე ადამიანებს, რომლებიც ნათელი მომავლისათვის იბრძვიან.

მაიაკოვსკის პოეზია კვლავ ცოცხლობს, კვლავ რაზმავს ადამიანებს ბნელეთისა და რეაქციის ძალებთან საბრძოლველად. ამიტომაც არის, რომ ახლა, როცა აღინიშნება პოეტის დაბადების 80 წლისთავი, ანტიკომუნიზმის იდეურმა მესვეურებმა დასავლეთში ახალი ძალით დაიწყეს ბრძოლა მაიაკოვსკის პოეზიის ფალსიფიკაციისათვის. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში გამოდის წიგნები, რომელთა ავტორები (გ. სტრუვე, მ. სლონიმი, ე. ბრაუნი და სხვ.) ცდილობენ დაამტკიცონ თითქოს მაიაკოვსკის პოეზიაში იყო ორი, ურთიერთისადმი მტრულად განწყობილი ნაკადი — პოლიტიკური ლირიკა და „გულის ლირიკა“; ეს უაზრობაა. სწორედ მაიაკოვსკიმ შეუქმნა ურყევი და უძლიერესი ტრადიცია პოეზიას, რომელიც უაღრესად მონოლითურია; ამ ახალ ლირიკაში, ისევე როგორც საბჭოთა ადამიანის გულში, არ არის წინააღმდეგობა საქვეყნოსა და პირადულს შორის.

რა ხერხებს არ მიმართავენ საბჭოთა ლიტერატურისადმი მტრულად განწყობილი უცხოელი მკვლევარები, რათა მრუდე სარკეში წარმოუდგინონ თავიანთი ქვეყნების მკითხველებს ოქტომბრის დიდი პოეტის ნათელი და მზიური შემოქმედება. ისინი ცდილობენ დაამტკიცონ თითქოს მაიაკოვსკი იყო „განმარტოებული მოჯანყე“, ანარქისტულად განწყობილი პოეტი, და ვერ ხედავენ, რომ პოეტი განუყრელად იყო და არის დაკავშირებული სამშობლოსთან, ხალხთან, რევოლუციასთან.

დიდ ოქტომბერს პოეტმა „ჩემი რევოლუცია“ უწოდა. მაღალი იდეურობა მაიაკოვსკის პოეზიისა განსაკუთრებით მკვეთრად გამოჩნდა პოემაში „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“, რომელშიაც პოეტმა დახატა მთელი ჩვენი ეპოქა და მისი ზეაღმავალი განვითარება, მისი წინსვლა; აქ, ამ პოემაში მაიაკოვსკიმ ლენინიზმის ძლევამოსილებას, მის მსოფლიო-ისტორიულ ტრიუმფს დიდების უკვდავი ჰიმნი უძღვნა; სწორედ აქ გვხვდება ჩვენ დაუვიწყარი სტრიქონები: „ჩვენი პარტია და ლენინი — ტყუპნი არიან, ამას გვასწავლის ისტორია, სიმართლის მჩენი; ვამბობთ — ლენინი, და ვგულისხმობთ — ჩვენი პარტია, ვამბობთ პარტია, და ვგულისხმობთ — ლენინი ჩვენი“.

ასევე უძვირფასეს განძად შედის საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში მაიაკოვსკის პოემა „კარგია“; აქაც პოეტმა მიმართა მონუმენტურ ისტორიულ განზოგადებებს და გვიჩვენა დედააზრი სოციალისტური რევოლუციისა, სოციალიზმის მშენებლობისა, მოგვითხრო ადამიანებზე, ვინც საკუთარი ხელით ჰქმნის კაცობრიობის ახალ ისტორიას. ახლის მშენებლის, ჩვენი ეპოქის ადამიანის სულიერ ფორმირებაში განუზომლად დიდი როლი შეასრულეს მაიაკოვსკის სახელგანთქმულმა ნაწარმოებებმა, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ „ლექსი საბჭოთა პასპორტზე“, „მთელი ხმით“, „ამხანაგ ნეტტეს — ხომალდს და ადამიანს“, „ოდა რევოლუციისა“, „სხდომებს გადაყოლილნი“, „საიუბილეო“, „პროლეტარო, ჩანასახშივე ჩაახრჩე ომი“, „ჩვენს ახალგაზრდობას“, „მზიური დროშა“, „წერილი ამხანაგ კოსტროვს პარიზიდან სიყვარულის თაობაზე“, „მოსავლის მარში“ და კიდევ ვინ მოსთვლის... პოეტის მთელი უზარმაზარი მემკვიდრეობა — მისი პოეზია, დრამატურგია, ნარკვევები და პუბლიცისტური წერილები — განმსჭვალულია მაღალი პარტიულობით, ხალხურობით, ყოველივე იმით, რაც, პირველ რიგში, საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების სულსა და გულს შეადგენს.

ტ. შაროევა.

---

თავისი შინაარსით ულრმესი, სოციალური მნიშვნელობით და შედეგებით უდიდესი გადატრიალებ: საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში.

საბჭოთა სახელმწიფოს მატერიალური და სულიერი ძალების, მისი სიმტკიცისა და სიცოცხლისუნარიანობის მკაცრი გამოცდა იყო 1941-1945 წლების სამამულო ომი. ჩვენმა ქვეყანამ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ღირსეულად გაუძლო ამ გამოცდას და ომის შედეგად კიდევ უფრო გაძლიერდა. საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ დიდ სამამულო ომში შექმნა საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნის, მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წანამძღვრები ევროპისა და აზიის რიგ ქვეყნებში. ჩვენი ეპოქა არის სოციალისტური რევოლუციების, იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის ნგრევის, სოციალიზმის გზაზე ახალი და ახალი ხალხების გადასვლის ეპოქა.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში ჩვენი ქვეყნის წინსვლის გზაზე უმნიშვნელოვანეს ნიშანსვეტს წარმოადგენდა სკკპ XXIV ყრილობა, რომელმაც დასახა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების, კომუნიზმის სულისკვეთებით საბჭოთა ადამიანების აღზრდის ღონისძიებები. ყრილობის გადაწყვეტილებები ცოცხალი განსახიერებაა პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობისა.

პარტიას მიაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის საშინაო განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული მსოფლიო ასპარეზზე არსებულ მდგომარეობასთან. ამიტომ იგი ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა საერთაშორისო საკითხებს. სკკპ ლენინური საგარეო პოლიტიკის მიზანი ის არის, რომ უზრუნველყოს, სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად, სოციალიზმის და კომუნიზმის აშენების ხელშემწყობი საერთაშორისო პირობები: განამტკიცოს სოციალისტური ქვეყნების ერთიანობა და შეკავშირება, მათი მეგობრობა და ძმობა; მხარი დაუჭიროს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და განახორციელოს ყოველმხრივი თანამშრომლობა ახალგაზრდა განვითარებად სახელმწიფოებთან; თანმიმდევრულად დაიცვას სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიოს იმპერიალიზმის აგრესიულ ძალებს, თავიდან ააცილოს კაცობრიობას ახალი მსოფლიო ომი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა სრული ერთსულოვნებით დაადასტურა, რომ ჩვენი პარტიის ლენინური სტრატეგიული კურსი სწორი კურსია. „საერთაშორისო პოლიტიკაში ჩვენს სოციალისტურ რევოლუციურ კურსს პრინციპული საფუძვლები ჩაუყარა დიდმა ლენინმა, — ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ჩვენ განუხრელად ვიცავთ მისი მითითებების, მისი ანდერძის ერთგულებას. და მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი სულისკვეთებისადმი, მისი პრინციპული მიზანსწრაფვისადმი ერთგულება ჩვენი სამართლიანი საქმის ახალ წარმატებათა, ახალ გამარჯვებათა საწინდარია“.

ვ. ი. ლენინი კომუნისტურ პარტიას უწოდებდა მილიონების პარტიას. „ჩვენი ეპოქის გონებას, პატიოსნებასა და სინდისს“. საზოგადოებრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა, მშრომელთა მოწინავე რაზმი, ნაცადი ავანგარდი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ და უნარიანად წარმართავს ორასორმოცდაათმილიონიანი საბჭოთა ხალხის შემოქმედებით ენერგიას კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად.

დავით მაისურაძე

# გაზაფხულის ათი დღე

კარპე მუმლაძეს ჩვენი მკითხველი საკმაოდ კარგად იცნობს. იგი ავტორია საინტერესო მოთხრობებისა დიდ სამამულო ომზე, რომლის მონაწილე თვითონ იყო. ამჟამად იგი რუსთავში ცხოვრობს და მუშაობს. მიმდინარე წელს მან დაამთავრა ახალი დოკუმენტური მოთხრობა „გაზაფხულის ათი დღე“ („მეფოლადის დღიური“). ეს აქტუალური, საჭირო წიგნია, მით უფრო ახლა, როცა ჩვენი რესპუბლიკის წინაშე ესოდენ მწვავედ დადგა ქართული მეტალურგიის აწმყოსა და მომავალზე ზრუნვის საკითხი. მწერალი მოგვითხრობს ქართველი მეფოლადეების, მებრძმედეების, მილმგლინავების, მექანიკოსების, ჩამომსხმელების შრომის, ნოვატორული ძიების, ყოფის, კულტურული ცხოვრების საინტერესო საკითხებზე და ყოველივე ეს მას გადმოცემული აქვს ცოცხალი ფორმით. არის აქ დაძაბული სიტუაციებიც, კონფლიქტებიც... წიგნი მკითხველს ნათელ წარმოდგენას შეუქმნის ქართული ფოლადის ქალაქის ცხოვრებაზე, მის ადამიანებზე, სიძნელეებზე, მათს დაძლევაზე, შრომითს წარმატებებზე. მოთხრობის მთავარი გმირი — მეფოლადე ოთარ ლომიძე აქ თავისი ნამდვილი სახელით და გვარით არის გამოყვანილი — იგი ჰყვება თავის თავზე და თავის ამხანაგებსა და მეგობრებზე.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ერთ თავს კ. მუმლაძის ამ ახალი წიგნიდან.

მარტის ბოლოა, მაგრამ ჯერ ისევ სუსხავს. მხოლოდ დროდადრო გამოიხედავს მზე, მუქლურჯ ღრუბლებს ზენაქარი გადარეკავს და საამოდ ჩამოთბება. მერე ისევ იგივე ზენაქარი წამოუბერავს ცივგომბორიდან, სუსხსა და ნათოვლარს მოაფრქვევს ქალაქში. იგრძნობა, რომ მთებზე ისევ ზამთარია და ამინდი იპწკინება. კიდევ ცოტაც და გაზაფხული დასძლევს.

კვირტი უკვე გაიშალა. მალე სკვერები და ბაღები გაიფოთლება.

დღემ საგრძნობლად იმატა: რვაზე უკვე ამოსულია მზე. მარტენის კიბეზე რომ ავდივარ, სახეში მიყურებს, თუმცა აქ სულაც არაა იგი საჭირო — ისეც საკმაოდ ცხელა.

— ოთარ, — მეუბნება ცვლის უფროსი, — ცოტა გაგიჭირდება, მაგრამ ისევ შენ უნდა მოგანდო. ღუმელი როგორაა?

—კარგად. ნახევარ საათში გავუშვებთ. რა არის ასეთი?

— საგანგებო დავალება, — და ლეგირებული ფოლადის ერთ მარკას ასახელებს.

ლეგირებული ფოლადი გამომიდვნია, მაგრამ ეს მარკა არ შემხვედრია. იქნებ აღარც მახსოვს? არა, არ შემხვედრია. ყოველ შემთხვევაში, ვაჟკაცობის საქმეა: ან საოკეანო გემზეა საჭირო, ან კოსმოსურ ხომალდში, ან — საზღვარგარეთ. შეიძლება სხვაგანაც. ე. ი. შენზეა დამოკიდებული ათასების ბედი, მთელი სოციალისტური სახელმწიფოს პრესტიჟი. რა არ იგზავნება აქედან — მილები, მილნამზადი, ფოლადის ფურცელი, სორტული ნაგლინი! და ვინ იცის — სად!

მეტალურგებს ისეც გვაქვს საგანგებო დავალება: ლითონის პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესება. მაგრამ ეს საერთო მისიაა. ევგენი ვორონკოვმა ახალი მარკაც დამიმატა.

ევგენი სანდო კაცია. მეც მენდობა და იმიტომ დამაკისრა. ოცდაერთი წელია ჩვენთან მუშაობს. სულ ახალგაზრდა ჩამოვიდა რუსეთიდან. დიდი გულის პატრონია. მეფოლადის გამგები და შემწე. არც გიმტყუნებს, ვერც უმტყუნებ.

— ისე მიიღე, თითქოს შენ ნოსოვი ხარ, მე კი — სტალინი, — ღიმილით მეუბნება.

ომის პირველ ხანებში ჩვენი ჯავშანი ვერ უძლებდა მტრის ყუმბარას: ტანკს ცეცხლი უმალ ეკიდებოდა. მთავრობამ მაგნიტოგორსკს დაავალა გამოეშვა საჯავშნე ფოლადი, რომელიც გერმანულზე უფრო მტკიცე იქნებოდა. ისეთი მარკები აითვისეს, რომ მტრის ჭურვი ველარაფერს აკლებდა. სტალინმა დაიბარა დირექტორი და მადლობა უთხრა.

ცვლის უფროსს ეს ამბავი აქვს მხედველობაში.

სწორედ ნამუსზე შემაგდო.

კაი ბიჭი ხარ და უკან დაიხიე!

ვერც დავიხევთ!

სადისპეჩეროდან შეფიქრიანებული გამოვდივარ. რა გუნებაზე არიან ბიჭები, როგორ ამიბავენ მხარს, როგორი ხელშეწყობა გვექნება? ყოველი წვრილმანი გასათვალისწინებელია. და, თუ ბევრ რამეში არ არსებობს წვრილმანი, მით უმეტეს იგი არაა მარტენში. თითქოს პატარა რამეს ვერ მოზომავ, ფრჩხილისოდენს ვერ გაიანგარიშებ და — 200 ტონა ფოლადი შაბზე წავა. ან წუთისოფელს გამოასალმებ ვინმეს.

ასე, რომ მარტენი ყოველ წუთს ფრონტია: შეტევაც, ხელჩართული ბრძოლაც, თავდაცვაც ერთდროულად.

ლიანდაგზე ჯართით დატვირთული რონოდები მისრიალებს.

მეექვსე ღუმელში ჩატვირთვა იწყება.

მეხუთე ახლა გამოვიდა რემონტიდან. უფროსი ოსტატი თარიმან ბარბაქაძე ქვედს ადუღებს. აქვე ტრიალებს შალვა კუხალეიშვილიც — ადრე მეფოლადე იყო, ახლა საამქროს უფროსის მოადგილეა.

პირველ ღუმელში ჯართი ჩაუტვირთავს ამირან ფანცულაიას, სოციალისტური შრომის გმირს, და ახლა თუჯს ასხამს. წისქვილის ბორბალს რომ ეხეთქება მქუხარე ნაკადი, ისე ჩათქრიალებს 1200-გრადუსიანი ლითონი ღუმელის აბაზანაში.

ჩემი ღუმელი მეშვიდეა, კომკავშირულ-ახალგაზრდული.

ადრე მე ვიყავი ამ ღუმელის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის მეთაური. იყო მოსკოვიც, თბილისიც, ყრილობებიც, ცენტრალური კომიტეტის წევრობაც. ახლა ამავე ღუმელის მეფოლადის ხელშემწყობი იური მარგალიტაძეა კომკავშირის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის წევრი. ჩემს ბრიგადაში კი მხოლოდ ერთილაა კომკავშირელი — რეზო ოჩხიკიძე, მეორე ხელშემწყობი. პირველია ტელმან ნოზაძე, რეზოს სრულიად რომ არა ჰგავს: თუ რეზო ტანწერწეტა და სუსტი აგებულებისაა, ტელმანი საკმაოდ ჩაფსკვნილი, ბეჭებგანიერი, ძალისმიერი მეფოლადეა, როგორც სპორტსმენები იტყვიან.

სულ ესაა ბრიგადა: სამი კაცი. მეოთხეც გვეკუთვნის, მაგრამ რამდენი ხანია არ გვყოლია!

საერთოდ, აკლია ქარხანას ხალხი — ათას ოთხასი კაცი.

სადღაც შეცდომაა დაშვებული ქალაქის პერსპექტიული დაგეგმვის დროს.

მეტალურგიის ბაზაზე რომ ქიმიური ქარხნები აშენდა, ეს გასაგებია: მეტალურგია ქიმიას აწვდის ზოგ ნედლეულს, ასევეა გამოყენებული ოჯახის წევრი ქალების შრომაც. მაგრამ ქალაქში არის ზოგი საწარმო, რომლებიც ხელს უშლიან მეტალურგიას. საწყალი სოლომონ შარაშენიძე რომ ინჟინერს მოიკითხავდა, სად წავიდაო, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში იპოვნიდნენ ხოლმე. ეს უკანასკნელი თბილისის ცნობილ ქარხანას იმეორებს, კადრები კი მეტალურგებს წაგვართვა. აუცილებელი იყო მისი აგება? ალბათ, არა. თავიდან ჩაფიქრებული პროფილი არ გამოუვიდათ, დუბლირება კი რა ხეირია! მართალია, ამბობენ, ზურაბ აბულაძემ კარგად მოაწყოო, განსაკუთრებით საწარმოო ესთეტიკას აქცევს ყურადღებას, მხატვარი კარლო გაგრძელი [illegible] და საამქროები მოაქარგვინა.

გარდაბნის მუყაორუბეროიდის ქარხანა? კაცი რუსთავში ცხოვრობს და სამუშაოდ იქ დადის. თუ ვინმეს სჭირდებოდა, სხვაგან აეშენებინათ, ჩვენ რომ წაგვართვა მუშახელი!.. იოლი საქმეა, თანაც — კარგი ანაზღაურება.

პერსპექტიული დაგეგმვის ნაკლოვანებებით აიხსნება საწარმოო ფონდების უპირატესი ზრდა რესპუბლიკაში. ფონდუკუგება კი, პირიქით, ნაკლებია. არასწორადაა გამოყენებული შრომითი რესურსები: მრეწველობის უდიდესი ნაწილი თავმოყრილია სამ ქალაქში — თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, სადაც დასაქმებულია სამრეწველო-საწარმოო პერსონალის 54 პროცენტი.

შემთხვევითი არაა, რომ რესპუბლიკის თითქმის ყოველი მეხუთე მუშა იცვლის საქმიანობის ადგილს. რუსთავსა და თბილისში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო უარესია. შიდარესპუბლიკურ მიგრაციას თან სდევს სეზონური ან მუდმივი მიგრაცია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. საქართველოდან ხალხი სხვაგან უნდა მიდიოდეს სამუშაოდ? საქმის ასეთ თვითდინებაზე მიგდებას არავინ არ გვაპატიებს.

სოციალიზმის ერთ-ერთი უპირატესობა გეგმიანობაა და თუ ეს პრინციპი არ დავიცავით, რა გამოვიდა!..

ბევრი ჩემი ამხანაგი მუშაობს, მაგალითად, გარდაბანში. ლეგირებული ფოლადის მაგივრად მუყაოს უშვებს. ალბათ მუყაოც საჭიროა, მაგრამ... ნუ ვიქნებით გულუბრყვილონი, თითქოს გაიოლებული შრომა და ცხოვრება ადამიანის მიზანი და იდეალი იყოს! სიამოვნება სიძნელის გადალახვაა. ადამიანი ვაჟკაცად უნდა იყოს დაბადებული და ბოლომდე ასე დარჩეს. კაცს რაც შეგიძლია, ის უნდა აკეთო. თუ მეტი შეგიძლია და ნაკლებს აკეთებ, ლაჩარი ყოფილხარ!.. არა, ასე მუშაობა არ შეიძლება! როგორღაც მეტი მოეთხოვებათ საგეგმო ორგანოებს. მათ ალბათ ადმინისტრაციული ორგანოებიც უნდა მივუმატოთ. მუშახელი რომ არ გვყოფნის, განა ხალხი არაა?! ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი არ მუშაობს, ნაწილი ან უმაღლესისთვის ემზადება თითქოს, ან ადგილიდან ადგილზე დადის. სხვები ბებიებისა და ბაბუების ხარჯზე არიან და მცონარობაში ატარებენ მთელ წელიწადს.

მეტი სიმკაცრე, მეტი მომთხოვნელობაა საჭირო.

მაშინ მუშახელიც გვეყოფა, სახალხო დოვლათიც მეტი შეიქმნება. თითქოს ეს არაა ჩემი საქმე.

მაგრამ უკაცრავად! ყველაფერზე ყველას უნდა შეგვტკიოდეს გული!

ახლა როგორც არ უნდა ვიმტვრიო ამაზე თავი, სულ ერთია, სამი ვართ და სამი! ჩვენს გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული შეკვეთის შესრულებაც, საამქროს გეგმაც, ისიც, თუ საღამოს რომელ დაფაზე ვიქნებით — წითელზე თუ შავზე, კანტორის წინ რომ არის გამოკრული.

* * *

როცა ნიკოლოზ და თამარ ნოზაძეებს ბუთხუზა ბიჭი შეეძინათ, ქვეყანა არ შეუყრიათ, მაგრამ მეზობლებმა კაი პური ჭამეს. გოგო ჰყავდათ პირველი და ახლა ეს გამოწერილივით იყო.

ნოდარი დაარქვეს, ასე ვთქვათ, ნათლობის სახელი. ისე ტელმანს ეძახიან. მამამ შეარქვა. ერნსტ ტელმანი უკვე ციხეში იყო და — მის პატივსაცემად. რა იცოდა მაშინ ნიკოლოზმა, თუ თავადაც

ფაშისტებთან ბრძოლას შეეწირებოდა ტელმანივით!

ომი რომ ატყდა, ოჯახში უკვე ოთხი ბავშვი იყო, სულ ერთმანეთზე მიწყობილები.

— თამარ, შენი იმედი მაქვს, შვილებს არ მომიშიო, — უთხრა მეუღლეს ნიკოლოზმა, როცა ფუთა გამოკრა და ბავშვები სათითაოდ ჩაიხუტა გულში.

წავიდა და წავიდა.

ბოლო წერილი სევასტოპოლიდან იყო.

ეს იყო და ეს. მის შემდეგ აღარაფერი ისმის.

დარჩა თამარი ოთხი შვილით (დედამთილიც მოხავლეული ჰყავდა).

მარჯვე ქალი იყო, გულადი. ყველა საკაცო საქმეს აკეთებდა: ხნავდა, თესავდა, თოხნიდა... დღე და ღამეს ასწორებდა. არც ერთ მეზობელს არ უდებდა ტოლს.

ასე წვალებით დაზარდა შვილები — ლეილა, მედეა, ნოდარი (ზანი ორმოცდაოთხში გარდაიცვალა).

ნოდარი ალის სკოლაში სწავლობდა, მაგრამ მერვე კლასი ქინძთაში დაამთავრა (დეიდა ჰყავდა იქ). მერე რუსთავის პროფტექნიკურ სასწავლებელს მოაშურა, კარგად სწავლობდა, მაგრამ საყვედურებსაც ღებულობდა ზოგჯერ. ქარხნის საშვი დაკარგა ერთხელ — საყვედური მიიღო. მეორედ მარტოხელა დედას მიეხმარა სათოხნში, დღე გაუცდა და აქაც საყვედური დაიმსახურა.

მაინც კაი ბიჭი დადგა, მარტენში მოვიდა და მეფოლადის ხელშემწყობად დაიწყო მუშაობა.

მერე ცოლის შერთვა გადაწყვიტა.

მარტენში ქალი ცოტაა — თითო-ოროლა ლაბორანტი თუ კონტროლიორი. ამიტომ აქ იმის იმედად ვერ იქნები, ვინმეს შევიყვარებო. კიდეც რომ იყოს, შეიძლება ცხრა წელიწადს უყურო და მერე მიხვდე, რომ შეიძლება თხოვა, როგორც ეს გააკეთეს ერთმა ჩვენმა ფოლადის ჩამომსხმელმა და ლაბორანტმა ქალმა.

და შეიძლება ისეც მოიქცე, როგორც ნოდარ-ტელმანი.

ცნობილია, რომ ძველად მხოლოდ გარიგებით ირთავდნენ და თხოვდებოდნენ, თუმცა ოჯახი უფრო მტკიცეც იყო: საერთო საქმიანობაში მერე სიყვარულიც იჩედებოდა.

ამით ის მინდა ვთქვა, რომ არც გარიგებაა-მეთქი მთლად ხელსაკრავი და გასაკიცხი.

ჰოდა, ნოდარ-ტელმანი შვებულებაში წავიდა. მარტენში დაიბარა, ცოლიანად უნდა ჩამოვიდეო. დაიბარა და კიდეც შეასრულა.

სოფელ ალის ბაზარში იყო. შვებულება უკვე უთავდებოდა. ამხანაგი შეხვდა, ბონდო ქართველიშვილი. ვაყაში დაი მყავს და საქეიფოდ წავიდეთო, შესთავაზა ბონდომ.

ნოდარი წაჰყვა.

ამხანაგის დაი ეუბნება: კაი ბიჭი ხარ, მეც კაი გოგო ვიცი, ნათესავია და უნდა გაგირიგოო. დედაშენსაც ვიცნობ, კაი ქალია, ცუდ საქმეს ხელს არ მოვკიდებო.

გოგოსთან მოციქულები გაგზავნეს. მოვიდნენ და თქვეს, შინ არ არისო. რაკი მარუსა არ არის, მეორეა კაი გოგო, იმას გაჩვენებთო.

ნახეს. მოეწონა: საშუალო ტანის, ცქრიალა, პირნათელია, ალალი და ჭკვიანი თვალები აქვს.

ალბათ გამომადგებაო, იფიქრა ბიჭმა. ნაცნობ-ნათესავებმაც კარგად დაუხასიათეს.

შერთვა გადაწყვიტა, მაგრამ უეცრად აირია ყველაფერი.

შუა პურისჭამაში რომ არიან, ორი ბიჭი შემოვიდა.

ულტიმატუმი წამოაყენეს: გავიგეთ, იზოლდას ვიღაც მეფოლადე თხოულობსო. მაგ გოგოს თავი დაანებეთ, თორემ ჩვენთან გექნებათ საქმეო.

აი ხათაბალა!

სული ყელში მომებჯინაო, ჰყვებოდა მერე ტელმანი.

— გიყვარს იზოლდა? სერიოზული იყო რამე თქვენს შორის?

— არა, ისეთი არაფერი.

— თუ არაფერი, რაღა საბუთით მედავებით?!

—ახლა გადავწყვიტე და უნდა ჩამოსცილდეთ. თუ არა, ასე იოლად არ გათავდება.

— კიდეც მემუქრებით!

— არა, მაგრამ მოიფიქრეთ, როგორ სჯობია.

მეტოქე ცუდი ბიჭი არა ჩანს, მაგრამ ჯობნებაზე ვერაფერს ვიტყვი.

ახალგაზრდები წავიდნენ, მაგრამ ახლა მამა და ბიძა გამოგზავნეს: რას ფიქრობთ, ხომ გადათქვითო.

მასპინძლებიც უხერხულ მდგომარეობაში არიან, შუამავლებიც.

ისევ ჩავეძიეთ:

— სერიოზული ხომ არაფერი ყოფილა? ხომ არ ჰყვარებიათ ერთმანეთი? იქნებ მშობლებმა იციან რამე დამატებით?

— არა, არაფერი. მაგრამ ვაუმა დღეს გადაწყვიტა და ვერ დაგანებებთ. გოგო კარგად გვიცნობს და უარს არ გვეტყვის. როცა ჩვენ გვინდა, ვიღაცას რატომ უნდა გავატანოთ!

მთელ ღამეს არ მძინებია.

ბოლოს და ბოლოს, ფოლადმდნობელი ვარ. გაგანია ცეცხლთან მაქვს საქმე და ვაყაში შევუშინდე ვიღაც მეტიჩარას?

ერთხანს ეჭვმაც გამკრა: იქნებ გოგოს ნათესავები არიან, შემომიჩინეს, რომ ინტერესი აღმიძრან, და ბედოვლათი ქალი მათხოვნინონ?

ფიქრები შუამავლებს გავუზიარე. თავში ხელი იტკიცეს: რას ამბობ, უხეიროს როგორ შემოგკადრებთო!

თუ ასეა, ადექი-მეთქი ზეზე, ვუთხარი მეგობარს: მივიდეთ იზოსთან, გავარკვიოთ, როგორცაა საქმე, და ახლავე გადავწყვიტოთ-მეთქი ყველაფერი.

გულისჭია რომ დაგიწყებს ღრღნას, როგორღა მოეშვები!

მამლისყივილზე გადავევლეთ იზოლდას ეზოს ღობეს (ჭიშკარი არ გვიძებნია). კინაღამ ნაგაზმა დაგვითრია: ჭიგო ვზუნზღეთ და ძლივს მოვიგერიეთ.

დაფეთებულები წამოცვივდნენ ზეზე: რა იყო, გათენებამდე ვერ მოიცადეთო!..

ყველაფერი რომ მოვახსენეთ, სასიმამრო გადირია: ახლავე წავალ და ხანჯალზე წამოვაგებო; ის სახეძაღლი, ნათესავია, არც ერგება და ეს როგორ გამიბედაო!...

ძლივს დავაწყნარეთ, დავიყოლიეთ.

ოჯახის სანახავად წამოვიდნენ. დედაჩემმა იფიქრა: ტელმანს იცნობთ, ოჯახს ნახულობთ; სარძლოც მაჩვენეთო, მაგრამ ვერაფერი მკადრა: ბიჭს თუ უნდა, ხელი რატომ უნდა შევუშალოო.

ყველაფერი კეთილად დამთავრდა.

იზოლდა მეზურნიშვილი გოგოც კარგი გამოდგა, დიასახლისიც. ორი ქალი და ერთი ვაჟი — მარინე, ქეთინო და კობა — შესძინა ნოდარს და ქვეყანას.

ბებია თამარი ჯერ ისევ ჯანზეა. ზამთარს თოდრიას ქუჩაზე ატარებს, შვილიშვილებს ეფერება. როგორც კი გაზაფხული მოაწევს, აიკრავს გუდანაბადს და სოფელს მიაშურებს: ბარავს, მარგლავს, სხლავს, სარჩოს უმზადებს შვილიშვილებს.

მალე ტელმანიც შვებულებაში წავა: დახნავს, დათესავს. მერე ბავშვებიც ჩაუღურტულდებიან...

მართლაც, რომ მისწრებაა სოფელი, განსაკუთრებით ჩვენთვის, მეფოლადეებისთვის!.. თვეში თუნდაც ორ-სამ დღეს რომ წაიმუშავო სუფთა ჰაერზე, ყანაში, ფერი და ხორცი მოგემატება...

* * *

თერთმეტ საათზე საამქროს უფროსი, გურამ ქაშაკაშვილი მოდის: დავალებებს ამოწმებს. მერე ალბათ სამ-ოთხ საათზე გამოივლის: შესრულებას შეამოწმებს.

ვერაფრით წიდა ვერ დავაყენე: ან კაზმის გაანგარიშებაში მოვტყუვდი, ან თუჯი არ ვარგა.

ოფლი წურწურით ჩამომდის, დნობა რომ არ მიდის წესიერად.

ახლა ტელმანმა გამიხეთქა გული: უხარისხო კირქვა მოიტანესო. ვამოწმებ, მართალია.

როგორც ჩანს, არც სადახლოს კარიერშია წესრიგი, არც კირის და დოლომიტის საამქროში. რადიკალურ ზომებს კი ვერავინ მიიღებს: დირექტორი, ოთარ სულაძე, მოსკოვშია წასული. —

უფროსმა ოსტატმა თარიმან ბარბაქაძემ ექვს საათში დაადუღა ახალი [illegible]. ღუმელის გახურებას მხოლოდ თვრამეტი საათი მოანდომა. ადრე სამი დღე-ღამე სჭირდებოდა. ეს პირველი შემთხვევაა მეტალურგიაში. მსგავსი რამ ჯერჯერობით ცნობილი არაა, მიდასტურებს შალვა კუხალეიშვილი. დაეჯერება.

თარიმან ბარბაქაძე ჭეშმარიტად კარგი ოსტატია.

გუშინწინ ქიმიკოსთა კულტურის სახლში ვიყავი: სამხატვრო გამოფენა დავათვალიერე . ბევრი კარგი ნაწარმოებია, ზოგსაც ნაჩქარეობა ეტყობა.

საქართველოს მხატვართა კავშირმა დიდი ბრიგადა გამოგზავნა რუსთავში: შეისწავლეს ჩვენი ცხოვრება და პორტრეტები, პეიზაჟები შექმნეს.

თარიმანის დიდი ფერწერული სურათი ჰკიდია კედელზე. რაც კარგია, კარგია! უნდა მოვიპაროო, მითხრა. ასევე კარგია მეფოლადე ლადო ბალავაძე, მებრძმედე მირონ კიკვაძე, ქიმიური ბოჭკოს ქახნის მთავარი ინჟინერი ბეჟან გოგუაძე... ამირან ფანცულაია მაინცდამაინც ვერ გამოსულიათ: უკეთესი პორტრეტი შეეფერება...

კულტურის სახლის დირექტორს შევხვდი — ალიოშა რევაზიშვილს. წინათ მეფოლადე იყო და ჩემი ძველი მეგობარია. ბევრი კაი გავიხსენეთ.

ბათუმელია, საინტერესო ბიოგრაფიის მქონე, ნიჭიერი. მრავალი ენა იცის.

სამოცდასამ წელში ქ. სვერდლოვსკში იყო, წარმოების პრაქტიკოსთა ტექნიკური სწავლების ინსტიტუტში. ექვსთვიანი პროგრამა სამ თვეში დაათავრა. ფრიადზე.

სწორედ აქ შეხვდა ფიდელ კასტროს.

ვის არ ენატრება ფიდელთან საუბარი! იგი თანამედროვეობის რევოლუციური მოძრაობის ჭეშმარიტი გმირია, რომელიც პატრიოტულ თავდადებასა და სიმამაცეს განასახიერებს.

და ასეთი კაცი პირველად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში.

ქარხანაში ხალხს არჩევდნენ, ფიდელ კასტროს უნდა შევხვდეთო. რევაზიშვილს გამოუძახეს: ფიდელივით მაღალი, მოსული ვაჟკაცია, შავგვრემანი, გრუზათმიანი, არწივული თვალებით. კასტრო ხომ არის და არის, მაგრამ ალიოშაც დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს.

რაკი შეარჩიეს, მანაც გაბედა: თუ შეიძლება ესპანურად მივესალმებიო. უარს ვინ ეტყოდა! ბევრი ენა იცის. ესპანური რუსთავში ისწავლა: მესამე პროფტექნიკურ სასწავლებელში კუბელი ახალგაზრდები იყვნენ, სულ მათთან სეირნობდა, რუსულსა და ქართულს ასწავლიდა.

ეს საუბარი მერე რადიოთიც მოვისმინეთ. ფირფიტაზეა ჩაწერილი:

— ნება მიბოძეთ მოგესალმოთ საბჭოთა მეტალურგების სახელით.

— ოო, ესპანელი ხართ? — ფიდელს სახე გაუნათდა.

— არა, ქართველი.

— საიდან?

— რუსთავიდან. მეფოლადე ალიოშა რევაზიშვილი.

— ოო, იქ ჩემი ბიჭები სწავლობენ.

— დიახ, ვიცნობ. ესპანურიც მათ მასწავლეს.

— შვილები გყავთ?

— ორი ვაჟი.

— ალბერტო, — მიმართა თანაშემწეს, — ალიოშას ჩემი სურათი ვაჩუქოთ.

სურათს ფიდელ კასტრომ წააწერა: „პარა ლოს ნინიოს დელ კომპანიერო ალიოშა. ვივა კუბა!“

(ამხანაგ ალიოშას თავის ვაჟებისათვის. გაუმარჯოს კუბას!).

ნამუშევრები რომ დავათვალიერეთ, ალიოშა ისევ მხატვრებს დაუბრუნდა.

გამოფენის გახსნაზე იყვნენ უჩა ჯაფარიძე, ელენე ახვლედიანი, რუსუდან ჯავრიშვილი და სხვები.

უჩა ჯაფარიძეს მთელი საბჭოთა კავშირი იცნობს: ყველაზე რეალისტია რეალისტთა შორის. ბუნებრივია, რომ ასეთი თავმჯდომარის ხელმძღვანელობით მხატვრები ქართველი მეტალურგების ცხოვრების თემას ასე გატაცებით ჰკიდებენ ხელს.

* * *

— მეშვიდეზე — ამდენი ნახშირბადი, ამდენი მარგანეცი, ამდენი ფოსფორი... — რადიოთი გვატყობინებს ექსპრესლაბორატორია.

ესე იგი დნობა სწორად არ მიდის. წიდა ვერ დავაყენე და ვერა! ისევ ვუმატებ რკინის მადანს, კირქვას.

ისევ ვაცილებ წიდას.

ახალს ვაყენებ.

კირქვა თუ ზომაზე არ იქნა, ნახშირბადი არ ამოიწვება. არც გოგირდი მოსცილდება, არც ფოსფორი. თუ მეტი იქნა, გასქელდება და სულ არ ივარგებს.

ინსტრუქცია ითვალისწინებს: ჩატვირთვისას კირქვა არც მეტი მისცე, არც — ნაკლები; მჟავე წიდა დროულად მოაცილე, რომ ზედმეტად არ გასქელდეს. მაშინ უფრო აქტიური და მოძრავი იქნება.

ამბობენ: წიდა ხარშე და ფოლადი თავისთავად მიიღებაო.

იაპონიაში წიდისაგან ათი სახის პროდუქციას იღებენ.

ამერიკაში ამუშავებენ წიდას და ისევ იყენებენ მარტენის, საბრძმედე და აგლომერაციულ წარმოებაში.

ქ. ჟდანოვის ქარხანა „აზოვსტალში" წიდისგან ღებულობენ ფოსფორის სასუქს.

ხარისხი, ხარისხი, ეს კი ყველაფერზეა დამოკიდებული: რა ჩატვირთე, როგორ წარმართე დნობა, როდის რა დაუმატე და რამდენი, რომელ პროცესს რა დრო მოახმარე და ასე.

შეიძლება ცოტა დრო დახარჯო და კაი ფოლადი იყოს, შეიძლება დიდხანს გააჩერო ღუმელში და უხარისხო გამოვიდეს. ყოველივეს წყვეტს მეფოლადის ალღო, მიხვედრილობა, ნიჭი. ეს უკანასკნელი ალბათ ისე არსად არაა საჭირო, როგორც ფოლადმდნობელობაში. რა თქმა უნდა, ხელოვნებას არ ვგულისმობ.

თითქოს მივაგენი!

ლაბორატორიაც მიდასტურებს, კარგიაო. შეიძლება გაშვება.

ვორონკოვი მოდის. გულჯიბიდან სათვალეს იღებს და აბაზანას შეჰყურებს. ალბათ დროაო, მანიშნებს. მთავარი მაინც მე ვარ: მე უნდა გადავწყვიტო.

კიბეები რომ ჩავათავე, მაშინ მოვიწმინდე ოფლი.

არ ვიცი, როგორი შედეგით დამთავრდება დღე. საბოლოო დასკვნას სამარკო ლაბორატორია გამოიტანს. წუნი არ უნდა იყოს. შეკვეთილი თუ არ იქნა, შეიძლება სხვა მარკაში გადაიყვანონ.

მაგრამ საგანგებო დავალება?

დღეს არ მოევლება — ხვალ მოევლება, ზეგ მოევლება. არ შეიძლება არ მოევლოს! ფიქრი არაა!..

რატომ მაინცდამაინც ცუდი უნდა ვიფიქრო?!

იმიტომ, რომ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მაქვს.

კაცი შესაძლებელს უნდა აკეთებდეს და შეუძლებელზე ფიქრობდე.

მარშალი ჟუკოვი ამბობს, სტალინი თავისი სიმკაცრით შეუძლებელს აღწევდაო. მაგრამ ის სტალინი იყო!

საშვთა სარკმელთან ვაჟა გიგიბერიას წამოვეწიე: ქართველ მეტალურგთა პირველ თაობას ეკუთვნის, საუცხოო ოსტატია.

საუბრით გავუყევით გზას.

ერთი-ორი ანეკდოტი მითხრა და გული გადამეწმინდა. თითქოს არაფერი მაქვს სადარდებელი, მაგრამ მაინც...

ავტობუსზე გასვლა არ ღირს: ცვლა დამთავრდა და ბევრი ხალხი იქნება. მით უმეტეს, რომ ქარხნის მოედანზე ტროლეიბუსი დაგვხვდება.

გზატკეცილის ორივე მხარე მწვანეშია ჩარგული. საერთოდ, ქარხნის ტერიტორია ბაღივით გამოიყურება, პირდაპირ ტყეა გაშენებული — წიწვოვანი, ფოთლოვანი. ბევრგან ხეხილიცაა. ეტყობა, რომ კეთილმოწყობის საამქროს უფროსი, დავით ლოლაძე, მეტყევეა, საქმიანი და განათლებული კაცი.

სამსხმელო საამქროს იქით სათბურებს აშენებენ ბოსტნეულისთვის. კარგი საქმეა, მაგრამ ასევე შეუძლია ქალაქსაც: სითბოც გვაქვს, წყალიც. ხელის განძრევაა საჭირო. და მაშინ მთელ წელიწადს გვექნება ბოსტნეული.

მოედანზე არც იმდენი ხალხია, რამდენიც ვეგონა. ეს გასაგებიცაა: ვინც ზუსტად ოთხზე ათავებს, უკვე წავიდა. ჩვენ კი, ასე ვთქვათ, მძიმე წონის პროფესიის ადამიანებს, მოგვიანებით გვიხდება აგრეგატების დატოვება.

ტროლეიბუსში ვსხდებით.

* * *

შინ არავინ დამხვედრია: ბავშვები ეზოში არიან ალბათ. ლილიც სადღაც გასულა.

რაღა ეს მესაჭიროებოდა! რომ იყოს ვინმე, გულს გადავაყოლებდი. ისევ ჩემს ფიქრებში უნდა ჩავიკეტო.

საბედნიეროდ, მალე დაირეკა ზარი: ნელი ჩამოვიდა, ჩემი ძმისწული, ქიმიურ-მეტალურგიულ ტექნიკუმში სწავლობს და სოფელში იყო წასული. კაი გოგოა, მაგრამ ჯავრიანობა დაეტყო: დედა ჰყავს ავად კიბოთი. მართლა კიბოა თუ არა, ვინ იცი! რასაც ვერ ხვდებიან ან ვერ არჩევენ, ყველაფერს კიბოს ეძახიან.

დიდხანს არ უმხელდნენ. მოვრჩებით, ეგონა. ერთ პროფესორს უთქვამს ახლა: ვერ მოგარჩენ, ნაწლავების კიბო გაქვსო; მაგრამ სიცოცხლეს ცოტა ხანს გაგიგრძელებო.

ღმერთო ჩემო, განა შეიძლება ასეთი რამ უთხრა ავადმყოფს?

ამ პროფესორმა გაუხანგრძლივა თუ შეუმოკლა სიცოცხლე? მე მგონია, რომ შეუმოკლა. მის შემდეგ ჯავრით გაშრა ქალი, ჩამოდნა. ხშირად სწორედ ასეთი მკურნალები ღუპავენ კაცს.

რუსთავის მთავარი თერაპევტი, დამსახურებული ექიმი პეტრე ახალაძე ბევრს ელაპარაკება პაციენტს, მრავალ ახსნა-განმარტებას აძლევს სნეულების გარშემო, მაგრამ არასოდეს საზიანოს არ ეტყვის. ცნობილია, რომ ექიმის კარგი სიტყვა წამალზე უკეთესია ზოგჯერ.

აქამდე კიდევ ჰქონდა იმედი, ახლა სულ გადაიწყვიტაო, მეუბნება ნელი და უპეები უწყლიანდება. მეც მიჭირს მისი დანამული ჟუჟუნა თვალების ყურება: პირი ვიბრუნე და „უკანასკნელი ცნობები" ჩავრთე.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

ოლეგ გველესიანი

# [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაისის ზვირთი [illegible]
მზე ათინათებს ბაღებს, ვენახებს...
დილაადრიან [illegible]
და გადავხედავ ქართლის [illegible].
მძლე სიჭაბუკე ძარღვებში ფეთქავს,
კვლავ შერკინება ათას ენგურის,
ახალი ლექსი ახლა უნდა ვთქვათ,
დროა ახალი „ხასანბეგურის".
თუ არ იგრძენი სითბო ხვალისი,
არც ერთი წუთი აღარ დაგიცდის.
აბა რა არის ისე ხალისი,
კაცი სიყვარულს თუ არ განიცდი!
თუ არ დაგხანძრავს ჩვენი მთებიდან
ჩამოღვარული დიდი სიმწვანე,
რაა სიცოცხლე, თუკი მამული
მზედ არ იწამე!

* * *

ცა გარიჟრაჟის ცეცხლში იწვებ:
ნელა თენდება ყაყაჩოს ფერი...
და ვარდობისთვე — თავდავიწყება
შენს ახალგაჭრილ ქუჩაზეც მღერის.
...და გაზაფხულის ნარნარა ხმები
ისევ შეარხევს გულს უსათუთესს,
გამოაღვიძებს თეთრი ვერხვები
მეცხრე ზეცისკენ წასულ სართულებს.
გადმოიღვრება ჩქერალი მზიდან,
ვარდის სურნელის ზვირთი გადივლის,
თითქოს წუხელი ზეცამ აზიდა
თბილისის თავზე ყველა ყვავილი.
ყველა დიდი დღე ასე იწყება,
ყველა ეზოში მაღლდება ჭერი...
და ვარდობისთვე — თავდავიწყება
ყოველი სახლის ეზოში მღერის.

# [illegible]

მეტეხის ხიდთან,
მეტეხის ხიდთან,
მთვარის ქათქათა ლილო-ჭრილოზე,
ძალიან დიდხანს,
ძალიან დიდხანს,
იცადა ღამემ სანაპიროზე.
მერე თაბორზე დაცურდა დილა,
როგორც ღიმილი სწორედ ისეთი,
ჩამოიშალნენ ფერმკრთალ აჩრდილად
სანაპიროზე მღვრიე ნისლები.
...და აწრიალდნენ ცაში მერცხლები
თითქოს თბილისიც ცაში ასწიეს,
მერე მაისი და სიხარული
მე და შენ უხმოდ გავინაწილეთ.

* * *

ამხელა ზღვაში პატარა ნავით,
როგორ გაბედე, ქალო?!
ამხელა ზღვაში სულ მარტოდმარტო,
რატომ შემოხველ, ქალო!..
ეს ზღვა მუნჯია, ნუ გავიწყდება,
მასში ქარიშხალს სძინავს...
შენი ფიქრი და თავდავიწყება
ვიდრე შორს გადაგძირავს,
წადი,
დაბრუნდი!
ამ ღია ზღვაში გაიწირები, ქალო.

. . . . . . . . . . . .

ამხელა ზღვაში პატარა ნავით
როგორ გაბედე, ქალო?...

# ხარატის დღეები და საათები



ზურაბი გამოცდისათვის ემზადება.



ზურაბი კმაყოფილია ახლადდამზადებული დეტალებით.

ხარატი თავის გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდებს..



მოწინავე ხარატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ზურაბ სარალიძემ მეცხრე ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმა მარტის თვეში შეასრულა. ზურაბმა ვალდებულება აიღო ხუთწლედის მთელი დავალება მიმდინარე წლის 7 ნოემბრისათვის გაანაღდოს.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში თავდადებულ შრომას ზურაბ სარალიძე კარგად უთავსებს სწავლასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ზურაბი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეორე კურსის მოწინავე სტუდენტია. იგი დიდ და ნაყოფიერ შრომას ეწევა როგორც უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ამას წინათ, ზურაბ სარალიძის თაოსნობით, მისმა თანასოფლელმა ახალდაბელმა მშრომელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს: მტკვარზე გაიდო ახალი ხიდი.

ლექციებზე.







ზურაბ სარალიძეს საამქროში ეწვივნენ პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები.



დეპუტატი ყურადღებით უსმენს ამომრჩევლებს.



კვირა დღე.



# პოეზია

## მიხეილ ქვლივიძე

### მთები

თოვლიანი მწვერვალებისა რა მოგახსენოთ! მე ჩვენი ამწვანებული მთა-გორები უფრო მიყვარს, ჩვენი ხრიოკი ქედები და უღელტეხილები... რომ შემეძლოს, სახლში დავპატიჟებდი, ნოხზე დავსვამდი, ჩაით გავუმასპინძლდებოდი და ძველისძველ ამბებს მოვაყოლინებდი!

### ნოსტალგია

კედელთან ტახტია, ტახტზე — ადამიანი... კედელზე რუკაა, რუკაზე — საქართველო... და ადამიანს ესმის, როგორი ხმაურით მიექანება მისი სისხლი რუკაზე გაწოლილი საქართველოს გზებისა და მდინარეების ძარღვების ქსელში.

### პოლონეთი

ხის ობელისკზე სახელი და გვარი ეწერა... „ომის დროს, ამ კაცის ნაწილში პორუჩიკად ვმსახურობდიო", — მითხრა ჩემმა მხლებელმა, თმაჭაღარა პოლონელმა და გაჩუმდა. წასვლისას ქუსლი ქუსლს მიაბჯინა, ხელი აიღო და მხედრულად მიმართა საფლავს: — ნება მომეცით წავიდე, ბატონო პოლკოვნიკო!.. და მე მომეჩვენა, ქართულად წარმოთქვა ეს სიტყვები.

### დრო

სად გაექცევი, სად დაემალები დროს, როცა შენს მკერდში თანაზომიერად ტიკტიკებს საათი და შენი სახე — ისრებმომტვრეული ციფერბლატია?!

### წვიმა

— მადლობა ღმერთს, გაწვიმდა!
— გიყვარს წვიმა?
— არა, მაგრამ მიხარია: რაღაცა მაინც ხდება ქვეყანაზე.

### სიბერე

სიბერე — ავადმყოფობაა და წინააღმდეგ გამეფებული აზრისა, ახალგაზრდებს უფრო ეტანება. სიბერით დაავადებული ადამიანი ჯერ მოქმედების ხალისს კარგავს, მერე მოქმედების უნარს, მერე მასში სათითაოდ ქრება ყველა სურვილი და ერთი სურვილიღა რჩება, რომლის განაღდების არც ხალისი, არც უნარი არ გააჩნია. მკურნალი კი იგვიანებს.

### დიალოგი

„გიყვარვარ?"... „მიყვარხარ"... „გიყვარვარ?"... „მიყვარხარ"... „გიყვარვარ?"... მოსაწყენ დიალოგს დასასრული არ ექნებოდა, რეჟისორი დროდადრო სცენაზე რომ არ ადიოდეს და მიზანსცენას არა სცვლიდეს.

### მოდა

არც ლეონარდო და ვინჩია, არც ბეატრიჩე ჩენჩი, — თუმცა თმა მხრებამდე გაუშვია, როგორც ვინჩისა ან ჩენჩის.

არც კაცია, არც ქალი — ტექნიკური აღორძინების ნაყოფია, რკინასავით უტვინო და უგრძნობელი.

ტრანზისტორი ჰკიდია მხარზე, თორემ რკინასავით მუნჯიც იქნებოდა.

### ტურიზმის შესახებ

ახალგაცნობილი ქალის სიყვარული ისეთივე ზერელეა და არა სანდო, როგორც ტურისტის შთაბეჭდილება, რომლისთვისაც ყველაფერი, რასაც ხედავს, დღესასწაულია მხოლოდ და არა ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება. არ მიყვარს ტურისტები!

### სამძიმარი

ჰირისუფლებმა სამძიმარი მიიღეს სოფლიდან და გაუკვირდათ, წერილი მიცვალებულის სახელზე რომ იყო გამოგზავნილი. 90 წლის ნუცა ძალო — თავის დისწულს, 70 წლის გიორგის სწერდა: „ეგ რა ჰქენი, ბიჭო, რად დაობლე ოჯახი? რა დროს შენი სიკვდილი იყო. აქ არ ვიყავი! მოსულიყო და მე წავეყვანე. დამასწარი? გული არ გაიტეხო, არ შეშინდე, მეც მალე მოგაკითხავ და ერთად ვიქნებით... მანდ ჩემიანები დაგხვდებოდნენ — საწყალი ვანიჩკა და მარო... მოკითხვა გადაეცი, ნუცას დარდი ნუ გექნებათ-თქო, უთხარი! ერთი სიტყვით, შენ იცი, რასაც ეტყვი: ქალაქელი კაცი ხარ და ჩემგან არ გესწავლება!..."

გვესწავლება, ნუცა ძალოვ! ყველას გვესწავლება შენგან — მკვდარსაც და ცოცხალსაც!

### ახალი წელი

ყოველი ჩვენგანი, თავისთვის, მარტო განიცდის ჟამთასვლის დინებას, მაგრამ ერთ დღეს ჩვენ ყველანი ვიკრიფებით ერთად და გაშლილ სუფრასთან ვზეიმობთ დასასრულის მოახლოებას.

### ბედნიერება

წარმავლობის შეგნებითაა მოწამლული ადამიანი. ალბათ ჯირკვალია მასში რაღაცა, — რომელიც დროის შხამიან ფერმენტს გამოჰყოფს. ბედნიერება კი — წამიერი დავიწყებაა დროისა და სივრცის, როცა ორიენტაციას კარგავ და აღარ გახსოვს შენი ამქვეყნიური კოორდინატები.

### ვეფხვი

ზოოპარკი — სამხედრო ტყვეთა ბანაკივითაა. მხეცები და ფრინველები იმითაც გვანან პატიმრებს, რომ მათი არავის არ ეშინია. მხოლოდ ვეფხვია გამონაკლისი! მის გალიას შორიდან უვლიან, როგორც ტრანსფორმატორის ჯიხურს, სადაც დიდი ძაბვის დენია დამწყვდეული.

### კაფეში

ისინი კაფეში ისხდნენ. ქალის ხელი ვაჟის ხელს შეეხო და...

— მიყვარხარ... — წამოსცდა ქალს.

ვაჟს ტკივილისაგან სახე დაემანჭა.

— რა მოგივიდა?

— არაფერი... მე მომეჩვენა, თითქოს ვიღაცამ ფეხი დააბიჯა ჩემს საფლავს.

### პეპელა

ბავშვმა ყვავილი დაინახა, მოწყვეტა დააპირა, მაგრამ ყვავილმა ფრთები გაშალა და გაფრინდა... „ზოგს ეს სისულელე ლექსი ჰგონია!" — ტუჩი აიმრიზა ცნობილმა პოეტმა, რომელმაც დანამდვილებით იცოდა, რომ ყვავილებს ფრენა არ შეუძლიათ.

* * *

მეც მინდოდა შენს ამქარში
პირველობის დაჩემება, —
გახვითქული თეთრი რაშის
შენს ქუჩებში გაჭენება!

თბილისური,
თილისმური
განთიადით გახარება, —
მათრობელი
დილის სუნით
დათრობა და დანაყრება!..

ჰა, ეს ნატვრა ამისრულდა!
მოველ ბუკით, ნაღარითა...
„შენს ჰაერს რომ ჩავისუნთქავ,
ამოსუნთქვა აღარ მინდა!"

### შეგონება

ჩემო ძმაო და გარდანქეშანო,
ამ წუთისოფლის რომ ხარ სტუმარი, —
არ მოგეშალოს,
არ მოგეშალოს
ბედნიერების ცნობის უნარი!
არ დაივიწყო, ვით საფიცარი,
რითაც ცხოვრება ხარობს
დღეგრძელი, —
და თუ იცანი,
და თუ იცანი,
ბედნიერების განცდაც შესძელი!

### ევას

დამწყვდეული ვარ ენაში, როგორც ნაჭუჭში — წიწილა,
ამ წუთისოფლის ჭირ-ვარამს მხოლოდ გუმანით ვხვდები მე.
მამულიშვილს და ქართველ კაცს ისიც მეყოფა სირცხვილად,
რომ უცხოეთში უცხოელს სიტყვა ვერ გავაგებინე!

ვერ შევასმინე ვერავის ჩემი ქართულის ლაზათი,
ვერც ჩემი ნიჭი ვაჩვენე, ვერც ჩემი კარგი ზრდილობა, —
ვერ გავახარე ფატმანი, ვერ დავიმოყვრე ასმათი,
ვერ დავუმტკიცე ვერაფრით ტარიელს — ავთანდილობა!

მხოლოდ შენ ერთი გამოდექ გულისხმიერი ისეთი,
რომ თვალი არ ამარიდე და უბრად არ ჩამიარე,
და მარტო სიტყვებს კი არა, — ჩემს გულისთქმასაც ისმენდი
და ჩემი ვნება ქართული უნგრულად გაიზიარე!..

სერელმემ, ჩემო ევიკა! ბრძენი იყავ თუ მისანი, —
რომ შთაგაგონა, გეთაყვა, ჩემთან მოსვლა და გაცნობა,
ან როგორ მოხდა, რომ ჩემში ადამიანი იცანი
და დამიფასე ქართველ კაცს, პირველყოვლისა, კაცობა?!

* სერელმემ — მიყვარხარ (უნგ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ მეხრიშვილი

მოთხრობა

# აბაზაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვენიერი ჰავითა და ატეხილი წიწვიანი ტყეებით შემკულ მთებში იყო პატარა ქართული სოფელი, რომელსაც კალმახიანი მდინარე შუაზე ჰყოფდა.

უხსოვარი დროიდან დამკვიდრებული მთის იდილია უცებ დაირღვა. ეს მაშინ მოხდა, როცა ომის წინა წლებში გაზეთებმა ქვეყანას ამცნეს: ამ მთების ბუნებრივი პირობები მსოფლიოში განთქმულ ბევრ კურორტს არ ჩამოუვარდებაო.

ჯერ ბულდოზერებს ვერ მოესწროთ ხევების ყელთან გზის გაფართოება, რომ საშენი მასალით დატვირთული მანქანების გრძელი ქარავანი გუგუნით მოადგა სოფელს.

გაღმა-გამოღმა მთის კალთებზე წამოჭიმულმა მრავალსართულიანმა ორმა სასტუმრომ და სამმა სანატორიუმმა ადვილად გაახუნა მობღუნძული ქვითკირის სახლები. სასტუმროებს და სანატორიუმებს ზედ მოჰყვა ფოსტა-ტელეგრაფი, ავტოსადგური, კაფე-რესტორნები, ბარი, ტირი, საბილიარდო და, რაღა თქმა უნდა, მილიციის განყოფილებაც პატარა საპატიმროთი, სადაც თავზეხელაღებული მოაგარაკენი „ისვენებდნენ", თუმცა შემდეგ ბევრმა სოფლელმა ბიჭმაც იხილა ეს დაბალჭერიანი სავანე.

ახლად გახსნილი რესტორნისა და ბარის თაროები დაამშვენა იკლიკანტურად თავდახურულმა მაგარი სასმელების ბოთლებმა, რომელთა იარლიყებზე განზრახ გართულებული წარწერის ამოკითხვას მთელი საათი უნდებოდნენ სოფლელი ყმაწვილკაცები, უცხო ხილის გასინჯვა რომ განეზრახათ.

მთის კურორტს ტარბივით მოაწყდა დამსვენებელი, თუმცა ყველა მათგანს როდი ესაჭიროებოდა დასვენება. ბევრი თავგადასავლების საძიებლად იყო ამოსული; სოფლელები ყველას ერთნაირი თავაზიანობით მიმართავდნენ:

— ოთახი ხომ არ გინდათ, ბატონო?

ბევრმა სოფლელმა ტყეში ბლაძუნსა და მორების სხეპა-თრევას მზარეულობა, ნოქრობა, შვეიცრობა, შიკრიკობა და ოფიციანტობა ამჯობინა.

ასეთი გახლდათ ის მთის სოფელი, საითკენაც ზურგჩანთააკიდებული მოგზაური მიაბიჯებდა. მას ზამბახისფერი სატინის ხალათი ეცვა. ფართოფარფლიანი ჭილის ქუდი, მოხდენილად რომ წამოსკუპულიყო წაბლისფერთმიან თავზე, შეიძლება უსარგებლო სამკაულად მოგჩვენებოდათ, მაგრამ თუ დააკვირდებოდით მხრებთან გამოხუნებულ ხალათს, მიხვდებოდით, რომ მოგზაურს ბევრი ეარა ხვატში, სადაც თავშიშველა ყოფნა სარისკოა.

საშუალო ზომის მომჩვართული, კუთხეებშემოცვეთილი ზურგჩანთა ვერ ვიტყვი რით იყო სავსე. მარჯვენა ჯიბიდან სამოგზაურო ცულის ტარს ამოეყო თავი, მარცხენა ჯიბეში კაპრონის მათარა მოჩანდა. ხოლო შუა ჯიბე წიგნებს გამოებერათ, რომლის აბზინდაზე ჩამოკონწიალებული ლუდის კათხისხელა გამურული ქვაბუნა მთელ გზაზე მოუსვენრად ლაკლაკებდა...

სასტუმრო, სადაც მოგზაური დაბინავდა, პარკის მთავარი შესასვლელის ახლოს მდებარეობდა; სასტუმროს სამას ათ ნომერში თავისებური ხალხი იყო მოკალათებული. ბლომად დაინახავდით მოხუც ქალებს, რომლებიც რძლებსა და შვილებს წამოეყვანათ ვითომდა დასასვენებლად, ნამდვილად კი აბეზარი ბავშვების ძიძებად. ისინი დილიდან საღამომდე სასტუმროს წინ, მოჩარდახებულ მერხებზე ისხდნენ.

ამ მოხუცებს თავი სიდარბაისლითა და ღირსებით ეჭირათ; დღის პირველ ნახევარში მოკლეკაბიან გოგოებს წყევლიდნენ, მეორე ნახევარს კი მარჩიელობას ანდომებდნენ — ნეტა, რამდენი წელიწა დარჩა მანამდე, როცა ეს გასაწყვეტნი სულ ტიტვლები ირბენენო.

— გაფუჭდა ქვეყანა! — თლიფინებდნენ დამჭკნარი ტუჩებით.

მოგზაურმა პირველ დღესვე შენიშნა, რომ დამსვენებლები ძალზე ფლეგმატურად გამოიყურებოდნენ და მოწყენილად კლავდნენ დროს. ყოველ შემთხვევაში დღისით ასე ჩანდა, ღამით კი ვინ რას აკეთებდა, ძნელი დასადგენი იყო.

აქ თავს ბედნიერად გრძნობდნენ პატარა ბავშვები, მთელი დღე ჟივილ-ხივილით რომ დარბოდნენ პარკის ყველა კუთხეში და ღია სასადილოს შემოჩვეული ბეღურები, რომლებიც არავის ეპუებოდნენ და უშიშრად სადილობდნენ აულაგებელ მაგიდებზე.

მოგზაურმა სასტუმროს ეზოში შემთხვევით გაიცნო ჟანგისფერთმიანი ქალიშვილი, რომელიც უხალისოდ დაათრევდა ბადმინტონის ჩოგნებს და აგერ მეოთხე დღეა ამაოდ ელოდა პარტნიორის გამოჩენას. მსურველები კი იყვნენ, მაგრამ ქალიშვილი ინსტიტუტის ნაკრების წევრი ყოფილიყო და ვერ იტანდა სუსტ მოთამაშეებს. მოგზაური არ იყო რომელიმე ნაკრების წევრი, მაგრამ უცებ მოხიბლა ქალიშვილი.

თამაში კარგადააწყვეს. ბურთი ელვასავით მოძრაობდა ორ ჩოგანს შორის.

ღირსეულ მეტოქის გამოჩენით და მაყურებელთა მზერით თავბრუდახვეული გოგო ავაზასავით ტრიალებდა.

იმ დღეს ერთად წავიდნენ სასადილოში.

ნავახშმევს, როცა ჩამობნელდა და დამსვენებლები სუფთა ჰაერზე გამოიშალნენ, ქალიშვილმა ფრანგულ კინოზე ჩამოაგდო სიტყვა, მაგრამ მოგზაურმა დაღლილობა მოიმიზეზა და დასაძინებლად წავიდა.

ქალიშვილი გაოცდა. იგი მეორე კურსის სტუდენტი იყო. მშობლებთან დიდი ჩხუბის შემდეგ მარტოკა წამოვიდა დასასვენებლად და თავი გამოცდილ, ხანსრულ ადამიანად წარმოედგინა. ახლა კი ცოტა დაიბნა კიდეც, და შიშმა აიტანა: წესით იქნებ არც კი უნდა დავთანხმებულიყავი ერთად ვახშმობაზეო. შიში უცებ გაუქრა და ახლა ეჭვი შეეპარა: რა დროს ახლა ძილია, ალბათ მე თავიდან მომიშორა და თვითონ სხვასთან წავიდა...

მაგრამ ბიჭს ეძინა. ქალიშვილი თვითონაც დასაძინებლად წავიდა. როცა სუფთა ზეწარში გაეხვია, სიბნელეში მოეჩვენა, რომ ეგ ბიჭი უყვარდა.

დილით ერთმანეთს დიდი ხნის ნაცნობებივით შეხვდნენ. გადაწყვიტეს საუზმემდე წაეთამაშათ. ქალიშვილმა ჩამოარბენინა ჩოგნები და გააბეს თამაში. მოხუცმა ქალებმა კი თავიანთ მერხებზე მოიკალათეს და მიზანში ჟანგისფერთმიანი ამოიღეს: ეგეც გაფუჭებული ყოფილაო.

შუადღისას, ძველი დამსვენებლების რჩევით, კოშკის დასათვალიერებლად წავიდნენ, რომელიც კურორტის განაპირას მდებარეობდა.

ქალიშვილი თავს ბედნიერად გრძნობდა. ხალისიანად მიაბიჯებდა ბილიკზე და ნაირ-ნაირ ამბებს ჰყვებოდა. მაგრამ როცა გზა აებნათ და უცებ ხევში ამოყვეს თავი, ნირი ეცვალა.

დაბურულ ხეობაში ძეხორციელი არა ჩანდა, ქალიშვილს ელდა ეცა. ყოველ წამს ხიფათს ელოდა, მაგრამ ბიჭს ცუდი რამ ფიქრადაც არ მოსვლია.

ერთი საათის ძებნის შემდეგ იპოვეს ნაკოშკარი. თურმე ლაპარაკში მხარი ქცეოდათ და მარჯვნივ წასულიყვნენ.

საღამოთი გადაწყვიტეს კინო ენახათ, მაგრამ ბილეთები ვერ იშოვეს და ცეკვებზე წავიდნენ.

ანტრაქტზე მოგზაურს ვიღაც ბიჭმა ასანთი სთხოვა. უცნობს ლოყაზე ბასრი იარაღით მიყენებული წვრილი, ახლადმორჩენილი ნაჭრილობევი აჩნდა.

— რამდენი დღითა ხარ ამოსული? — ჰკითხა სახენაიარევმა ასანთის დაბრუნებისას.

მოგზაურს მოეჩვენა, ემუქრებოდნენ.

საღამო დასასრულს უახლოვდებოდა, სახენაიარევი ხელახლა აეტუზა მოგზაურს და ქალიშვილზე ანიშნა.

— არ გააცილო! — უბრძანა და სწრაფად დაუბრუნდა ოთხ მეგობარს, რომლებიც გასასვლელში უცდიდნენ.

ცეკვები დამთავრდა. შუქი გამორთეს. ხალხი ხმაურით და სტვენით დაიშალა. მოგზაურმა ხელმკლავი გაუკეთა ქალიშვილს და ჩაბნელებული პარკის სილიან ბილიკს დაადგნენ.

ხუთი ბიჭი აუჩქარებლივ აედევნა სასტუმროსკენ მიმავალ წყვილს.

მოგზაურმა ქალიშვილი მიაცილა კარამდე და დაბრუნდა თავის ნომერში. ახალგაზრდა მეზობელი წასულიყო და მის მაგიერ მოხუცი შემოესახლებინათ. მოხუცს ღამის ქუდი ეხურა და ხამუშხამუშ ხვრინავდა.

მოგზაურმა საქამრემდე გაიხადა და ხელ-პირის დასაბანად გავიდა. როცა შემობრუნდა და აიღო პირსახოცი, უნებლიეთ ღია ფანჯარაში გადაიხედა: ბიჭები ისევ ეზოში იდგნენ და მის ფანჯარას შემომყურებდნენ.

* * *

როგორც ყველა ქალაქში და, მით უმეტეს საკურორტოში, ისე მთის ამ პატარა დაბაშიაც იყვნენ თავზეხელაღებული ბიჭები, რომლებიც აქაურობას იკლებდნენ. ეს ტალიკ-ტალიკი სოფლელი ბიჭები მოურჯულებელ დონჟუანებად ქცეულიყვნენ.

დაიზეპირეს ავტობუსების მიმოსვლის განრიგი და ნიადაგ ავტოსადგურში ეყუდნენ. რომელი ქალიშვილიც მოეწონებოდათ, ბარგის წაღებას შველოდნენ და ყველაზე კეთილმოწყობილი ბინის შოვნას ჰპირდებოდნენ. თუმცა ეს იაფფასიანი მომსახურება შემდეგში ბევრს ძვირად უჯდებოდა, უფრო ხშირად კი შორიდან ჩამოსულებს, რომლებიც მათდამი გადაჭარბებულ ნდობას იჩენდნენ.

ბევრ თავმომწონე მამაკაცს თვალში არ მოსდიოდა ეს ბიჭები, მაგრამ ორი რამ უშლიდათ ხელს: ვინც ამ ვაჟბატონების ნებას წინ აღუდგებოდა, სასტიკი ანგარიშსწორება ელოდა; ანგარიშსწორებაც რომ თავისთვის იყოს, არავის ჰქონდა სურვილი თავისი შვებულება აყალმაყალსა და დაკითხვა-ჩვენებებში გაეტარებინა.

ბიჭებმა თავიდანვე შენიშნეს ახლადჩამოსული ქალიშვილი. პირველ დღეს მან ბადმინტონი ითამაშა სახენაიარევთან, ეს კი საკმარისი გამოდგა ამ უკანასკნელისთვის, რომ გოგო თავისად ჩაეთვალა და ახლა მოგზაურს ისე უყურებდა, როგორც ჯანდაბიდან გამომტყვრალ მეტოქეს, რომელმაც პირიდან გემრიელი ლუკმა გამოაცალა.

— სად არიან ახლა? — იკითხა სახენაიარევმა.

— „ოქროს ქოხში" — უპასუხა ხუჭუჭთმიანმა მეგობარმა.

— წავიდეთ!

* * *

კაფეში, რომლისთვისაც „ოქროს ქოხი" დაერქმიათ, დამსვენებლები უხალისოდ შეექცეოდნენ დაკვეთილ საჭმელებს.

ბიჭებმა თავმოწონებით გაიარეს ტენტიან მაგიდებს შორის და ერთგან შეჩერდნენ. მხარზე გადაგდებული კოსტუმები სკამებს წამოასხეს, მაგიდის ქვეშ გაჭიმეს ფეხები და სიგარეტი ამოიღეს.

ეს ხუთი ბიჭი, რომლებსაც ნათლობის სახელები აღარ მოსწონდათ და ერთმანეთს უცხოურ კინოებში ყურმოკრულ მეტსახელებს ეძახდნენ, დამსვენებლებში შიშსა და მოკრძალებას იწვევდნენ. ამას ადვილად შეამჩნევდით: მათ დანახვაზე იქ მყოფნი უცნაურად შეტოკდნენ, ხოლო ოფოფისმსგავსმა მიმტანმა გოგომ ყველას თავი ანება და მათ მაგიდასთან გაჩნდა.

— რას მიირთმევთ?

— არაფერს.

ქალიშვილი ეზოს კუთხეში უტენტო მაგიდიდან იყურებოდა. მაგიდაზე ნამცხვრისნაჭრებიანი თეფში იდგა.

— ის სადღაა? — დაინტერესდა ხუჭუჭთმიანი.

მოგზაური სიროპიანი წყლების რიგში იდგა.

სახენაიარევი აიზლაზნა და მოგზაურთან მივიდა.

„ოქროს ქოხის“ სტუმრები გაინაბნენ და თვალებში შიშმა გაუელვათ, თუმცა ამ შიშში სანახაობის სურვილიც გამოკრთა.

სახენაიარევმა გადააგდო ნამწვავი, დოინჯი შემოიყარა და საყოველთაო მოლოდინში უცებ გაისმა მისი ხმა:

— მე შენ წუხელ რა გითხარი?!

დახლიდარი, რომელიც აქამდე ვიღაც მოაგარაკე გოგოს ეჩურჩულებოდა, ადგა და ისევ დახლში ჩადგა, რითაც მოგზაურს აგრძნობინა: მე არაფერი მესაქმება და შენი საქმისა შენ იცი.

მოგზაურმა, რომელსაც უხერხულად ეჭირა შვინდიანი სიროპით სავსე ჭიქები, იგრძნო ამდენ ხალხში მარტო რომ იყო და გული შეეკუმშა.

— რა გითხარი წუხელ?! — ყვირილით გაუმეორა სახენაიარევმა.

— უნდა მოგეცადათ მე რაღას გეტყოდით, — მშვიდად უპასუხა მოგზაურმა და იმავე წამს ლოყა აეწვა: ბიჭმა სახეში გაარტყა.

მოგზაური არ განძრეულა. სახენაიარევმა ახლა მეორე ლოყაში გასცხო და წიხლიც მოუქნია, მაგრამ ველარ მოარტყა: მოგზაურის მუშტი ყროსავით მოხვდა. სახენაიარევი მოკრუნჩხული დაეცა იატაკზე.

მოგზაური ნაცნობი ქალიშვილის კივილმა მოახედა: თმაშეთხელებული მწითური ვირგლა ბებუთაღმართული მორბოდა მოჩხუბრებისაკენ...

— გაიქეცი! — ხელახლა იკივლა ქალიშვილმა.

მოგზაური მხრებში ოდნავ მოიხარა და თვალით მანძილი მოზომა.

ქალიშვილის მესამე შეკივლებას უცნაური რამ მოჰყვა: ტარკაუჭა ბებუთი უცებ ნავარდით აიჭრა ჰაერში და გადავარდა სადღაც, მწითური კი ორივე ფეხებით მოსწყდა მიწას, ჰაერში ისე გაიჭიმა, თითქო გაფრენას აპირებსო და ზღართანი მოადინა. იატაკზე დანარცხებულმა კეფამ ყრუ, რაღაცნაირი ფუყე ხმა გამოსცა.

დახლიდარმა ახლა კი იკადრა გარეთ გამოსვლა. მიმტანიც გამოვარდა წყლიანი გრაფინით.

მოგზაურმა მოძებნა ბებუთი და დაობლებულ სამეულს ფეხთით დაუგდო.

— იქნებ კიდევ არიან მსურველები, მე აქა ვარ! არავინ? მაშ ამით დავამთავროთ.

დახლიდარმა და მიმტანმა ძლივს მოასულიერეს ის ორთავე ტრავმირებული.

მოგზაურს ახლაღა გაახსენდა თავისი მაგიდა. ქალიშვილს მიტკლის ფერი დასდებოდა.

— შეგეშინდა?.. უნდა.... მაპატიო, — თქვა ვაჟმა და თეფში გვერდზე გააცურა, — იძულებული გამხადეს.

— მე წავალ. — უცებ მოიპრიანა ქალიშვილმა და უფრო გაფითრდა.

— წავიდეთ.

— არა, არა, შენ აქ დარჩი... არ გამომყვე!

ქალიშვილი ტუსტუსით გაუყვა დაბურულ ხეივანს. ხუთეული უკან გაჰყვა. მოგზაურმაც დააპირა წასვლა, მაგრამ დახლიდარმა შეაჩერა.

— ფულს ვინ გადაიხდის?

— ოთხასი გრამი ნაყინი, ორი ნაჭერი ნამცხვარი... ორი გატეხილი ჭიქისაც ჩადით.

— ვიცი!.. ნაყინი ექვსასი არ იყო?

— არა, ოთხასი იყო.

— ოთხასი კი არა, ექვსასი იყო.

— ჰო, თუ გინდა ეგრე იყოს.

— როგორ თუ მინდა? აქ შენი ის არავინ არი... ექვსასი იყო თუ არა?

— კი.

დახლიდარი, მიუხედავად იმისა, რომ ატყობდა, ბიჭს ეჩქარებაო, განზრახ აჭიანურებდა. მოგზაურის მიცემული ათმანეთიანი სქელ დასტაში ჩადო და ჭუჭყიანი ხალათის ჯიბეში შეინახა. მერე გამოსწია ჭრიალა უჯრა და დაჭმუჭნული სამმანეთიანების, მანეთიანების და ხუთმანეთიანების ბულულაში ზოზინით დაუწყო მანეთიანებს ძებნა.

მოგზაურმა ფული გამოართვა და წავიდა. ქალიშვილს ბოტანიკური ბაღის ბოლოს მოჰკრა თვალი. სახენაიარევს გადამტვრეულ მესერთან გაეჩერებინა და რაღაცაზე ითანხმებდა. დანარჩენები შორიახლო იდგნენ.

ქალიშვილმა როგორც კი დაინახა მოგზაური, წინ გამოვარდა.

— თავი გამანებე, შე დეგენერატო!

მერე მიუბრუნდა სახენაიარევს, ხელმკლავი გამოსდო და ექვსივენი ავტობუსის გაჩერებისკენ წავიდნენ.

დამცირებული და გაკვირვებული მოგზაური დიდხანს იდგა ერთ ადგილზე. მერე ერთბაშად მოეგო გონს და სასტუმროსკენ გასწია. ავიდა ნომერში და საწოლზე დაეშვა. ჭერს მიშტერებოდა და არაფერზე არ ფიქრობდა.

* * *

მოგზაურს დილაადრიან გაეღვიძა. თვალები შეშუპებოდა, გულში ქავილსა და ჩხვლეტას გრძნობდა. ღამე ცუდად ეძინა. სულ უთავბოლო სიზმრებში იყო გაბმული.

ჩაიცვა და უხმოდ შეუდგა თავის საქმეს. მოხუცი ისევ ფშვინავდა.

საბანწაფარებულ მოხუცს მართლა როდი ეძინა. თავს იმძინარებდა. დროდადრო ფარულად გაახელდა ხოლმე ჩხია თვალს და ბიჭს ზვერავდა. ბოლოს, როცა დარწმუნდა მეზობელი ბარგს ალაგებსო, მაშინღა წამოიწია.

— მიდიხარ? — მოხუცს ხმაში სინანული დაეტყო.

მოგზაური დაემშვიდობა და გამოვიდა ცარიელ დერეფანში.

ძილგატეხილი ღამის მორიგე ჭაღარა ქალი ისის იყო შეეცვალათ და მინიან კარებში გადიოდა.

ადმინისტრატორი რაღაც პაკეტებს ჩხრეკდა. მარჯვენა ხელზე ნიშნობის ოქროს ბეჭდები ეკეთა. ლამაზი, სათნო ქალი ჩანდა. ეტყობა, ამ წუთში მოსულიყო.

— უიმე, რად მიდიხართ ასე მალე?

— ეგრეა საჭირო.

— დაათვალიერეთ ჩვენი მხარე?

— ნაწილობრივ.

— მოგეწონათ?

— ძალიან.

— კმაყოფილი ხართ აქაურობით?

— ყელამდე.

— გაისად კიდევ გვეწვიეთ.

— აუცილებლივ. გმადლობთ.

— შთაბეჭდილებებს წიგნში ხომ არაფერს ჩაგვიწერთ?

— სავალდებულოა?

— არა, რატომ!

მოგზაურმა აიღო პასპორტი და პირდაპირ ავტოსადგურისკენ გაუტია. სიგრილემ და დილის სუფთა ჰაერმა მხნეობა მოჰგვარა. განწყობილებაც გამოუკეთდა. აღარც გულში ჩხვლეტდა. თითქოს ზურგჩანთის სიმძიმეც კი სიამოვნებდა. მზად იყო ასე ტვირთაკიდებულს ევლო მთელი სიცოცხლე, ოღონდ გასცლოდა აქაურობას.

ავტოსადგურში ქალიშვილს შეეჩეხა. ტყავის ლურჯი ჩემოდანი ეჭირა. სასტუმროდან ტაქსით მოსულიყო.

— მაპატიე, რაც გუშინ ჩავიდინე. ასე რომ არ მოვქცეულიყავი, მოგკლავდნენ... დახლიდარმა მათ რევოლვერი მისცა!

მოგზაური ყველაფერს მოელოდა, ამას კი არა.

— დახლიდარმა? იმან? — უანგარიშოდ ჩურჩულებდა ბიჭი.

— აი, სწორედ იმან, — უპასუხა ქალიშვილმა, — წყნარად, რომ იჯდა, ის შენ კაი სულის არ გეგონოს. მაიმუნი და გარეწარია. და აქ ყველა გარეწარია: რესტორანში ვერ შეხვალ, ბაზარზე ვერ გაივლი, ტაქსში ვერ ჩაჯდები — ფულს არ იღებენ და რაღაცას მიედ-მოედებიან. ამათ ჰგონიათ, რომ ვინც აქ ამოდის, ყველა.... ერთნაირია.

ქალიშვილი ცრემლებს ძლივს იკავებდა.

— სოხუმში დეიდა მყავს და იქ წავალ!.. აქ გაჩერება აღარ შემიძლია... მემუქრებიან...

მოგზაური არ უსმენდა. მისი ფიქრები დახლიდარს დასტრიალებდა. ერთი გული ეუბნებოდა დარჩენილიყო და ქალიშვილიც აქ დაეტოვებინა. მას არ აშინებდა არც ხულიგნები და არც ის მუზმუზელა დახლიდარი. ყველას, ყველას გასცემდა პასუხს, მაგრამ უცებ იგრძნო, რომ იმ თავზეხელაღებულ ბიჭებზე და დახლიდარზე უფრო ძლიერი სხვა რამე იყო — საკურორტო ქალაქისთვის დამახასიათებელი უხილავი ჯადოქრობა, რომელსაც ან უნდა დამორჩილებოდი, ან გასცლოდი.

მოგზაურმა აიღო ზურგჩანთა და მოიგდო მარცხენა მხარზე.

— საით აპირებ? — ხმის კანკალით ჰკითხა ქალიშვილმა. მან იგრძნო ამ წუთში რაღაც ძვირფასს, ახლობელს უკვალოდ დაკარგავდა.

— უღელტეხილზე. — იყო პასუხი.

— რით?

— ფეხით.

„იქნებ თავისი მისამართი მითხრას, — ნატრობდა გოგო, — ან ჩემი მკითხოს“.

ისინი თვალებით დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

მოგზაურმა ჭილის ქუდი დაიხურა და ლურჯად შეღებილი რკინის ისრით ნაჩვენებ გზას დაადგა. მალე თვალს მიეფარა.

ქალიშვილი უხმოდ ატირდა.

ავტოსადგურის დიქტორი რაღაცას აცხადებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოგი თოთიბაძე


ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ მუსხელიშვილი.

ნუნუ შაქარაშვილი.



შემოდგომის პეიზაჟი.



# სასწავლებლად საქართველოში

მეცხრამეტე საუკუნესა და მეოცის დასაწყისში სწავლას მოწყურებული ქართველი ახალგაზრდები შორეულ ქვეყნებში მიემგზავრებოდნენ უმაღლესი განათლების მისაღებად. სად არ შეხვდებოდით ქართველ სტუდენტს — ლაიპციგისა თუ პარიზის, ბერლინისა თუ ჟენევის, პეტერბურგისა თუ ტარტუს უნივერსიტეტებში...

შეიცვალა დრო. ახლა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ირიცხება მრავალი უცხოელი, ჩამოსულნი მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. არიან მათ შორის გერმანელებიცა და არაბებიც, უნგრელებიცა და ვიეტნამელებიც. ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ისინი გადაიღო თბილისის უნივერსიტეტისა და სამხატვრო აკადემიის აუდიტორიებში, სტუდენტთა ქალაქში და თბილისის ქუჩებში.

ფოტო ჟ. გოგოლაძისა.




ვიეტნამელი ასპირანტები მეცადინეობის დროს.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეკონომიური ფაკულტეტის გერმანელი სტუდენტები სტუდენტ-
თა ქალაქის ეზოში.



არაბი ასპირანტი თავის ოჯახთან ერთად.



ეს არაბი მოქანდაკე ქალი ხელოვნების ისტორიას სწავლობს
თბილისის სამხატვრო აკადემიაში.

დღეები მიდიან გულმოდგინე მეცადინეობაში



დედა უნგრეთიდან ჩამოვიდა
სტუდენტი შვილის სანახავად.





ეროვნული ბიბლიოთეკა

კახელი მევენახეები.

# გოგი თოთიბაძე

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი, პროფესორი გოგი თოთიბაძე ორ ათეულ წელზე მეტია ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა. იგი ხშირად მონაწილეობს საკავშირო და რესპუბლიკურ სამხატვრო გამოფენებზე

გოგი თოთიბაძის ნამუშევრები გამოირჩევა დახვეწილი : მოვნებითა და მაღალი პროფესიული კულტურით ამ მხატვრის მრავალმხრივი ნიჭის დამადასტურებელია მისი რთული და მრავალფიგურიანი კომპოზიციები, დამახასიათებელი პორტრეტები, ფერწერული პეიზაჟები და საინტერესო გრაფიკული ნამუშ; რები. ამასთან ერთად, გიორგი თოთიბაძე ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, როგორც მისი რექტორი






შოთა არაბული

მოთხრობა

მხატვარი დ. ერისთავი.

ფიჭვნარიდან ჯერ დაგუდული ხველება მოგვესმა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, მერე ტყიდან გამომავალ ბილიკზე უემური გარეგნობის ჭაღარა კაცი გამოჩნდა. წელში წახრილი, ფრთხილად ადგამდა კაუჭა ფეხებს ბილიკზე გადმოწოლილ ბალახებზე, მტაცებელი ცხოველის თვალებს მალულად აცეცებდა აქეთ-იქით, პირწმინდად მოსვირინგებული გაძვალტყავებული ყვითელი ხელები ტანთან შედარებით საოცრად გრძელი ჰქონდა და მუხლების გასწვრივ უსულოდ აქანავებდა.

შეგვნიშნა თუ არა, გზის პირას მოლზე მსხდომები მე და ჩემი ამხანაგი, მოხუცმა იერი უცბად შეიცვალა, თვალები მოწკურა, მუავე ღიმილი გადაიფინა სახეზე და გაუბედავად გამოემართა ჩვენსკენ.

მე იგი ადრეც მყავდა შენიშნული შორიდან, ფიჭვნარში რომ დახანხალებდა და სულის შეხუთვამდე ახველებდა ყოველთვის.

— გორილაა, არ იცნობ? — ჩამჩურჩულა ამხანაგმა, — მთელი თავისი სიცოცხლე ციხეებში აქვს გატარებული, ძველი ნაქურდალი და ნაბრაგალია.

— გორილა რა სახელია? — გამიკვირდა მე, — თუმცა კი გავს რაღაცით მაიმუნს ეს კაცი.

— ეგრე მქვიანო, და რა ვიცი, ქურდებში მაგ სახელით იყო თურმე ცნობილი, მძიმე ავადმყოფია...

მოხუცი მოგვიახლოვდა, ნაძალადევი თავაზიანობით მოგვესალმა და ჩვენი ღარიბული სუფრისკენ მზერა გამოაპარა.

— დაბრძანდით, ბიძია, — მოიპატიჟა ჩემმა ამხანაგმა.

მოხუცს თავპატიჟი არ გამოუდია, თვალით ბალახებში ადგილი შეარჩია და დაჯდომის მაგივრად უცნაურად ჩაცუცქდა.

მე ახლა მისი მუხლები მომეჩვენა ზომაზე მეტად მაღლა აყუდებული.

მოგონილი დაუდევრობით გადმოსწვდა ბალახებზე დაგდებულ სიგარეტის კოლოფს, თითქოს ამის უბოდიშოდ გაკეთება სავალდებულოც იყო, სიგარეტს მოუკიდა, საჩვენებელი თითის და ცერის ფრჩხილებით წაყინწრა პირმოსაკიდი ნაწილი და მთელი ძალით მოქაჩა.

ერთხანს დაგუდულად ახველებდა, ბოლოს, როგორც იქნა, სული მოითქვა და ხველებისგან აცრემლებული თვალები კვლავ სუფრისაკენ გაექცა.

— შენ „თეთრი“ მოგიხდებოდა ახლა, ბიძია, — ჩაუპაჭუნა თვალი ჩემმა ამხანაგმა, — გაცივებული სჩანხარ.

— მართლაც შემცივდა წუხელის, — შეიფერა მოხუცმა, — ერთ ას გრამს არა უშავდა წამლად...

ამხანაგს თვალით ვანიშნე, იქვე მახლობელ ფარდულთან მიერბინა, თუმცა გულში უმალვე გავიფიქრე, რომ მოხუცს არაყი აწყენდა.

— ხომ არ გაწყენთ არაყი? ღვინო რომ მოვატანინო? — ვკითხე მე გორილას.

მან ისეთი თვალით შემომხედა და თან თავისი გრძელი ხელიც ისეთ კილოზე ჩაიქნია, რომ ჩანდა სიცოცხლეზედაც დიდიხნის ჩაქნეული ჰქონდა ხელი.

მეტი გზა არ იყო, „შემოსწრებული“ თავისი პირით ითხოვდა „თეთრს“.

არაყს პაპიროსის ბოლის ნაფაზი დააყოლა გორილამ და ერთხანს კიდევ ახველა.

ამხანაგმა თვალით არყიან ბოთლზე მანიშნა — ხომ არ დალევო. უარის ნიშნად თავი რომ გავაქნიე, გორილამ დამცინავად ჩაიქირქილა:

— ნუ ებაზრები, მორჩენას აპირებს!.. — მერე თვითონ წასწვდა ბოთლს, არაყი კიდევ დაისხა და უცბად, უსიტყვოდ გადახუხა.

— აი, ახლა ცოტას შემაკაიფებს, — თქვა გორილამ და ამჯერად პაპიროსის ნაცვლად არაყს ყველის ნამცეცები მიაკენკა.

— როგორ ატყობ, ბიძია, — შეეკითხა ჩემი ამხანაგი, — მოგიხდა აბასთუმანი?

— მეტი არაა ჩემი მტერი, — მოხუცი უგემურად დაიჭყანა, — რაღა დროს ჩემი მოხდომაა.. მე ახლა ოთხი ფიცარი მომიხდება.

— გული ტყუილად გაგტეხიათ, — ჩავერიე მეც ლაპარაკში, — სულ მალე გამოკეთდებით.

გორილამ ალმაცერად გამომხედა, ამათვალიერჩამათვალიერა, მაგრამ არაფერი მიპასუხა, თუმცა ისეთი სიფათით მიყურებდა, ნაღდად გაიფიქრა: მტყუანის ასე და ისეო...

მოხუცი მართლაც შექეიფიანდა, დამჭკნარი ლოყები შეეფაკლა, დანაოჭებული შუბლიც ოფლის გუგუმმა დაუნამა; ხალათის ღილები ჩაიხსნა და არწივმიხატული, ძვალტყავა მკერდი გამოაჩინა.

გორილას ყელზე მოზრდილი ვერცხლის ჯვარი ეკიდა.

ვგრძნობდი, რომ მოხუცს რაღაცით ვზღუდავდი: ჭკუაში არ უჯდებოდა თუნდაც ჩემი თავაზიანობა და ფიქრობდა, რომ ამ თავაზიანობის უკან თითქოს იმალებოდა მისდამი უნდობლობა, უპატივცემლობა თუ რაღაც ამდაგვარი. ამიტომაც შევეცადე ჩვეულებრივზე უფრო მხიარული ვყოფილიყავი, თან საუბარში მუავე-მუავე სიტყვებიც გამოვურიე, რამდენადაც შემეძლო ჩემი თავისთვის ამის უფლება მიმეცა.

ამან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა გორილაზე.

მან თანდათან მოწყალების თვალით გადმომხედა და ბოლოს კიდეც გამომელაპარაკა:

— უფროსო, ვისი ცოდვები გიწყვია მანდ, — მან თვალით იქვე ბალახებზე მიგდებულ ჩემ საქაღალდეზე მიმანიშნა, — თუ ამ ხეებს ხატამ?

— კი არ ხატავს, წერს! — უპასუხა ჩემს მაგივრად ჩემმა ამხანაგმა.

— ვა, ლექსავს?! — გაუკვირდა მოხუცს.

— დიახ, ვლექსავ! — ახლა მე არ ვაცალე ბიჭს და პასუხი მისსავე კილოზე დავუბრუნე გორილას.

— ასე გეთქვა, ჯიგარო, — გამოცოცხლდა უცბად გორილა, — გული რომ შემიწუხე მაგ შენი პორტფელითა, გამომძიებელი მეგონე...

მან კიდევ დაისხა არაყი.

— ჩვენი გაცნობისა იყოს.

მე ლიმონათიანი ჭიქა გადავაქციე და არაყი დავისხი.

გორილას გაეღიმა:

— როგორ გეტყობა, რომ ახალი ავადმყოფი ხარ, — მითხრა და არაყი გადაჰკრა.

— მაშ, ლექსაობ არა, — თქვა მან კიდევ, სული რომ მოითქვა და ახალ სიგარეტს მოუკიდა.

— მიყვარს ისეთი ადამიანებისთვის მოსმენა, რომლებსაც ბევრი რამე უნახავთ ამ ქვეყანაზე, მათი თავგადასავლების სმენას რა სჯობია, ხანდახან ვიწერ კიდეც საინტერესო ამბებს...

გორილა მიხვდა, რომ მას ვუმიზნებდი, ესიამოვნა და წარბები ამაყად შეჰყარა, სადღაც შორს გაუშტერა ალმაცერი მზერა, თან თავი ოდნავ ჩააქნია.

მე მის სახეს გულისყურით ვაკვირდებოდი, მინდოდა სათნოების და კეთილშობილების რაიმე ნატამალი აღმომეჩინა თუნდაც მის რომელიმე კუნთში, გამოხედვაში, მოძრაობაში, მაგრამ ვერ შევძელი. თან რატომღაც მეგონა, რომ ეს თვისებები მოხუცის სულში საგულდაგულოდ შეინილბა ჯერ კიდევ წლების წინ და მათი გამომჟღავნება მოხუცს ახლა ალბათ სასაცილოდ და სათაკილოდ ეჩვენებოდა, რადგანაც მტკიცედ სჯეროდა, რომ ადამიანები მას აღარ დაუჯერებდნენ.

ზოგიერთ ცოდვას ხომ მონანიება და აღსარებაც ვეღარას შველის...

და იქნება გორილა მართალიც იყო; ადამიანებს

ხომ არ შეუძლიათ ღმერთივით ყველა ცოდვა შეუნდონ ერთიმეორეს...

მოხუცის გარეგნული იერი კი უნებურად განგიზიდავდა კაცს, თითქოს ირგვლივ რასაც თვალით ხედავდა, ისმენდა და გრძნობდა, ყველაფერი ეზიზღებოდა მას.

— შენი სახელი დამავიწყდა! — ჰკითხა მან ბიჭს.

— გოგია მქვია, — უპასუხა ჩემმა ამხანაგმა.

— ჩემი სეხნია ყოფილხარ, — თქვა გორილამ და პაპიროსის ნაფაზი დაარტყა, — პატიმრობაში მეც გოგიას მეძახოდნენ.

გორილას სასმელი მოეკიდა, უფრო გამხიარულდა, უცნაური, ოდნავ შესამჩნევი ღიმილი ჩაუსახლდა თვალის უპეებში; ხვეულებამაც გადაუარა.

— ძმაკაც, შენ სადაური ხარ? — მხარზე ხელი მომითათუნა გორილამ, — თუ არ გამიბრაზდები.

— ხევსურია, ხევსური! — დამასწრო გოგიამ პასუხი.

მოხუცი თითქოს შეტოკდასავით ამ სიტყვების გაგონებაზე, მერე გაქვავდა, ჩემს ბეჭზე ნადები ხელი ფრთხილად ჩამოიღო, ცოტას უკან წაჩოჩდა და პირდაპირ თვალებში მომაშტერდა, — მართალს ამბობსო?

— დიახ, ხევსური ვარ, რატომ გაგიკვირდათ?
— ვუთხარი ცოტა არ იყოს შეცბუნებულმა.

გორილამ ნერწყვი გადაყლაპა, მერე ასანთი მოძებნა ისე, რომ ჩემთვის თვალი არ მოუცილებია, ჩამქრალ სიგარეტს ფერფლი მოაცილა და ცეცხლი მოუკიდა. ორი-სამი ნაფაზი ზედიზედ დაარტყა და მერე ამოიღო ხმა.

— ესეც ასე, ძალიან კარგია, რომ ხევსური ხარ!

გოგია გამოშტერებული თვალებით შეჰყურებდა ნირშეცვლილ გორილას, ვერაფერი გაეგო მისი უკანასკნელი სიტყვებისა და ქცევისა.

მე გუმანით მივხვდი, რომ ჩემმა „ხევსურობამ“ გორილას რაღაც თუ ვიღაც გაახსენა თავისი ბნელი წარსულიდან.

არაყი დავასხი და მოხუცს ჭიქა ახლოს მივუწიე.

დაუჯერებელია, მაგრამ მე მეჩვენებოდა, რომ მოხუცს სიმთვრალემ ალრენილი და ავი კაცის იერი ნელნელად ფარდასავით ჩამოხსნა და ჩვეულებრივი ნაღვლიანი, ნაადრევად მოტეხილი მოხუცის თვალები ახლა რომელიღაც წერტილს მიშტერებოდა. გორილა რაღაცას იხსენებდა.

მე მოუთმენლად ველოდი, რას იტყოდა, თუმცა გარეგნულად სიმშვიდეს ვინარჩუნებდი.

— შენ თუ ნამდვილად ხევსური ხარ, გეცოდინება, რას ნიშნავს სიტყვა „არხოტიონი“? — მკითხა გორილამ ეჭვიანად.

— რა თქმა უნდა, — მივუგე მე, — არხოტი ხევსურეთის ერთ-ერთი კუთხეა. არხოტიონი კი ამ კუთხის კაცს, — არხოტელს ნიშნავს.

— ალბათ... ასე იქნება ნამდვილად, — თავისთვის ჩაიჩურჩულა გორილამ თავის კანტურით.

მერე არყიანი ჭიქა გვერდზე გაწია, ბალახებზე უფრო მოხერხებულად მოიკალათა და კიდევ შემეკითხა:

— შენც არხოტიონი ხარ?

— არა, მე სხვა სოფლიდან ვარ.

— თუმცა... იყავი საიდანაც გინდა, ხევსური ხომ ხარ!

— მითხარი ბიძია, — დაკარგა გოგიამ მოთმინება, — რა შუაშია აქ ხევსურობა ახლა, ვერაფერი გამიგია?!

გორილამ ხელით ანიშნა, შენ იყუჩეო.

— ახლა კი მისმინე, — მომიბრუნდა მე, — მინდა ეს ერთადერთი და საბოლოო ტვირთიც თავიდან მოვიცილო... ალსარების თქმა ცოდვას ამსუბუქებსო გამიგონია; ყველა ჩემი დანაშაულისათვის მე სასჯელი უკვე მოხდილი მაქვს მეტნაკლებად, ეს ერთადერთია დარჩენილი, რომელიც დედამიწის ზურგზე კაციშვილმა არ იცის ჩემს გარდა, მინდა შენ გიამბო, თუმცა გამართლებას სულაც არ მოველი, არც მჭირდება, თუ ღმერთი არსებობს, იმან მაზღვევინოს, თუ არა და წასულ საქმეს აღარაფერი ეშველება...

* * *

გორილას ტლანქად მონაყოლი მე ოდნავ დავხვეწე და შევალამაზე, ყოველგვარი შეცვლისა და დაკლება-დამატების გარეშე.

მან კი ეს ამბავი მოგვითხრო:

... ომამდე ორი-სამი წლით ადრე, ქალაქ როსტოვში „გვარიანი საქმის“ ჩავარდნისას დაპატიმრების სასწაულით გადარჩენილმა გორილამ და ერთმა მისმა თანამოსაქმემ და მეგობარმა კვლავ საქართველოსკენ გამოსწიეს.

ჩრდილო ოსეთის დედაქალაქ ორჯონიკიძეში ჩამოსულებმა „პატარა წამუშავება“ გადაწყვიტეს, ბინა ერთი ნაცნობი მთიულის სახლში დაიდეს და „საქმეს“ შეუდგნენ.

დღისით ღრეობდნენ, ან ეძინათ, ღამე „საქმეზე“ გადიოდნენ, მასპინძელს კი ცხადია, არაფერს უმხელდნენ თავიანთი საქმიანობის შესახებ, რადგანაც პატიოსანი კაცის სახლში ათევდნენ ღამეებს.

ერთხელაც, ნავახშმევს „სამუშაოდან“ უკან მობრუნებულები ჩუმად შეიპარნენ თავის საწოლ ოთახში. ის იყო, ნაქურდალის მილაგებას მორჩნენ და დაძინებას აპირებდნენ, რომ მეზობელი ოთახიდან მასპინძლისა და ვიღაც უცხო მამაკაცის საუბარი შემოესმათ.

გაილურსნენ და საუბარს მიაყურადეს.

— დიდი მადლობელი ვარ, თედო, — ეუბნებოდა უცნობი მოხუც მთიულს, — ეს დიდი ხნის ნატვრა რომ ამისრულე, ახლა ჩემზე მდიდარი კაცი მთელ ხევსურეთში არ იქნება.

— პირობა პირობაა, — უპასუხა მოხუცმა, — არც შენ დამრჩი ვალში, ამდენი ყველ-ერბო მთელ წელიწადს ეყოფა ჩემს შვილ-შვილიშვილებს...

— ეგ რა სახსენებელია, როგორც შეგპირდი, ერთ მაგდენს კიდევ ჩამოგიტან, ერთ კვირაში მოგაყენებ კარზე. შენ არ იცი ეს რა ოქროს ხატი ჩამიგდე ხელში. მთელ ჩემ გვარს ეყოფა სიმდიდრედ და სასახელოდ, მე კი ჩემ არხვატში და მთელ ხევსურეთში საამაყოდ!...

გორილა და მისი ძმაკაცი გაოცებულები უსმენდნენ მოხუცი მასპინძლისა და უცნობის საუბარს, ბოლოს მათ ცნობისმოყვარეობამ მოთმინება დაუკარგა, ოთახიდან კატებივით ფრთხილად გამოვიდნენ, სახლს უკნიდან შემოუარეს და ფანჯარაში შეიჭვრიტეს მალულად.

მოხუცი მთიული ოთახში აღარ იყო, პატარა დაბალ მაგიდასთან ჭრელჩოხა და ჭრელპერანგა ხევსური იჯდა, რომელიც მაგიდაზე ნადებ გაზეთშემოხვეულ რაღაც პატარა ფუთას დიდი მონდომებით და გულისყურით ახვევდა გარედან ჭუჭყიან, გაყვითლებულ ნარმის ნაჭერს.

ბოლოს ზემოდან კიდევ ორ-სამ კეცად კანაფის თოკიც გადაუჭირა და ფუთა ჩოხის უბეში, ჩანს, წინასწარ საამისოდ მომზადებულ უზარმაზარ ჯიბეში წვალებით მოათავსა.

მერე ფეხზე წამოდგა, ქამარ-ხანჯალი შეისწორა და გამობერილი ჩოხის უბეს ხელი კმაყოფილი ღიმილით გადაუსვა გარედან.

გორილამ და მისმა ამხანაგმა ერთიმეორეს გადახედეს, მერე ორივეს თვალი უნებურად ხევსურის წელზე ნაკიდები ორადლიანი ხანჯლისკენ გაექცათ.

— ვაცალოთ დაძინება, — ჩაიჩურჩულა გორილამ.

თავის დაქნევით დაუდასტურა თანამოსაქმემაც.

მაგრამ ხევსური დაძინებას არ აპირებდა.

იგი ჩოხის სამასრეებში იქექებოდა; ბოლოს ჭუჭყიანი, გაცრეცილი რვეულის ფურცელი ამოაძვრინა, ვინ იცის რამდენად გაკეცილი, შემდეგ ფანქრის ნატეხიც მონახა მეორე სამასრეში, ფურცელი მაგიდაზე გაშალა, ხელის გულებით სცადა მისი გასწორება და მერე კარგახანს დაჰყურებდა ფურცელს გარინდებული.

გორილა და მისი მეგობარი მოთმინებას კარგავდნენ.

ხევსური ფურცელზე რაღაცის წერას შეუდგა.

— ანგარიშობს, რა იყიდა, რა გაყიდა და რას მიუტანს ცოლ-შვილს, — ჩაიცინა გორილამ და ძმაკაცს ხელი წაჰკრა.

— აჯობებს შევიდეთ, — ურჩია ძმაკაცმა გორილას, — მეგობრულად გამოველაპარაკოთ, ვუთხრათ, რომ მეზობლები ვართ, გავიგოთ სად მიდის, იქნება სულაც ჩვენ დაგვემგზავროს ხვალ საქართველოსკენ და მაშინ...

გორილა ცოტა ყოყმანის შემდეგ დაეთანხმა ამხანაგს.

ხევსურმა ოდნავ შემკრთალმა და გაოცებულმა გაუღო მათ კარი.

გორილას გამოცდილ თვალს არ გამოეპარა, როცა მათ მოულოდნელ შესვლაზე ხევსურმა უნებურად ხელი გამობერილ უბეზე მოიფათურა.

— ძია თედოს საუბარი გავიგონეთ და შემოვედით, ალბათ დასაძინებლად გავიდა, — თქვა გორილამ მშვიდად და ხევსურს მიესალმა.

— დიახ, თედომ დაიძინა, — უპასუხა ხევსურმა, დამშვიდებულმა იმით, რომ მისი დაუპატიჟებელი სტუმრები თედოს ნაცნობები აღმოჩნდნენ, და გორილას სკამი მიუჩოჩა:

— გმადლობთ, — დაჯდა გორილა, — თამბაქოს ხომ არ ეწევით, გაგვითავდა.

— არა, ჩემო ბატონო, სამწუხაროდ თამბაქოს მუშტარი არა ვარ, რომ გაგიმასპინძლდეთ...

— ხევსური ჩანხარ, რომელი სოფლიდან ხარ?
— იკითხა დათაფლულ კილოზე გორილამ.

— არხოტიონი ვარ, — თქვა ხევსურმა ამაყად.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— აქვე, გვერდით ოთახში ვართ ჩვენც, — თქვა თავისთვის გორილამ, ხევსურისთვის არც შეუხედავს.

— მეზობლები ვყოფილვართ! — გაუხარდა ხევსურს.

— წავიდეთ, დავიძინოთ, — ჩაერია ლაპარაკში კარებთან მამა აბრამის ბატკანივით თავმოკატუნებული გორილას ძმაკაცი, — ხვალ მგზავრობა გვინდა.

ზედა სართულიდან მამაკაცის ხველება მოისმა, ჩანდა მასპინძელს ჯერ კიდევ არ ეძინა:

— დილით ყაზბეგისკენ უნდა გავემგზავროთ, იქიდან კი თბილისში, — ჩაილაპარაკა კვლავ ვითომ თავისთვის გორილამ, თან გამომცდელი თვალი არხოტიონისკენ გააპარა.

— მეც ყაზბეგში მივდივარ დილით, — თქვა გულწრფელად ხევსურმა, — მერე კი არხოტის მთა უნდა გადავიარო...

— ერთი გზა გვქონია! — გაუხარდასავით გორილას და ხევსურს მხარზე ხელი მოუთათუნა, — ერთად წავიდეთ!

ხევსურმა მხრები აიჩეჩა, როგორც გენებოთო.

მერე მათ ძილი ნებისა უსურვეს ხევსურს და კარი გაიარეს.

გაზაფხულის საამური, მშვიდი ღამე იყო, დროდადრო შორიდან მოსული მატარებლის კივილი არღვევდა ღამის მყუდროებას.

გორილამ ერთი საათის მერე კიდევ დაზვერა თავისი სამსხვერპლო ფანჯრიდან, მაგრამ ხევსურს არ ეძინა, ის ისევ მაგიდასთან იჯდა და რაღაცას ფიქრობდა. წინ რვეულის ფურცელი ედო, იჯდა და ფიქრობდა ხელებში თავჩარგული.

# როგორი ვიყავით...

## ჩანახატი სასამართლოს დარბაზიდან

მის აღშფოთებას საზღვარი არ უჩანდა, ბოღმამორეულს მთელი სხეული უცახცახებდა. იმდენად შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, რომ მზად იყო საკუთარი ხელით მოეხრჩო ყველა, ვინც დარბაზში იმყოფებოდა. პირველ რიგში აგერ ის ქალი, წარსულში მისი ცოლის სახელს რომ ატარებდა და, სამწუხაროდ, მისი შვილის დედა იყო. ბრაზით შესცქეროდა ვექილს, პროკურორს, მოსამართლეს, უსულგულო ადამიანებად თვლიდა, კოდექსის მუხლს იქით რომ ვერაფერს ხედავენ.

არა, დღეს აქ ყველა მის წინააღმდეგ არის დარაზმული: მის ნერვებზე თამაშობენ, ცდილობენ დაამცირონ, შეურაცხყონ, დასცინონ.

როგორ გაბედა ამ ქალმა და სასამართლოში შეიტანა საჩივარი, როგორ ბედავს სასამართლო მის დაკითხვას და ისიც დარბაზში, ხალხის თანდასწრებით. შეხედეთ როგორ თავხედობს ვექილი, რა შეკითხვებს იძლევა პროკურორი, ან მოსამართლე. ეს როგორ გაუბედა მოსამართლემ — შეუთანხმდი ცოლს და მანქანის საფასურის ნახევარი გადაუხადეო, კანონი ასეთიაო. არავითარი შეთანხმება. არავითარი დათმობა. რა კანონი, რის კანონი! ერთი უყურეთ, თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონება ორივე მეუღლისააო. მანქანა მე ვიყიდე, ყოველთვის მე ვატარებდი და მარტო ჩემია. მაგას ისიც ეყოფა, რომ ჩემი ცოლი იყო და სასამართლომ ჩემი გვარი დაუტოვა. აბა გაბედეთ. მე გიჩვენებთ თქვენ კანონს. აბა მიეცით მანქანის ნახევარი, გადამახდევინეთ მისი ღირებულება და ვნახოთ ვინ ვის. მუხლებზე დაგაჩოქებთ, არც ერთს არ დაგტოვებთ ადგილზე, მოვახსნევინებ, პარტიიდან გავარიცხვინებ, ულუკმაპუროდ დაგტოვებთ. საქმეს ისე გაგიხდით, რომ თქვენი სიცოცხლე სამუშაოს ძებნაში ამოგხდეთ სული და შავმუშადაც არსად მიგიღონ.

ასე ფიქრობდა საპროფესოროდ გამზადებული მეცნიერების დოქტორი, როდესაც სასამართლოს წინაშე იდგა და პროკურორის სიტყვას ისმენდა. ამ ფიქრებით იყო შეპყრობილი მაშინაც, როდესაც სასამართლო სათათბიროდ გავიდა და გადაწყვეტილება უნდა გამოეტანა.

სასამართლომ დააკმაყოფილა ქალის მოთხოვნა, სადავო მანქანა ორივეს საკუთრებად მიიჩნია და, რადგან მისი გაყოფა არ შეიძლებოდა, დაადგინა: ღირებულების ნახევარი იმას გადაეხადა, ვისაც მანქანა დარჩებოდა. პროცესზე ქალი დათმობაზე წავიდა, თანახმა იყო მანქანა ყოფილ მეუღლეს დარჩენოდა და ღირებულების ნახევარი ფულით აენაზღაურებინა. სასამართლომ სწორედ ასეთი დადგენილება გამოიტანა.

როდესაც მოსამართლე შეეკითხა, გაიგეთ თუ არა გადაწყვეტილების შინაარსიო, მან პასუხი არ გასცა. პროტესტის ნიშნად დუმილი არჩია. მოსამართლემ შეკითხვა აღარ გაიმეორა, მხოლოდ დასძინა, რომ ვინც გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, შეუძლია გაასაჩივროს საკასაციო წესით, უმაღლეს სასამართლოში. გასაჩივრების ვადა გამოაცხადა და სხდომა დახურა.

სასამართლოს გადაწყვეტილება არავის გაჰკვირვებია, ჩვეულებრივი, მარტივი საქმე იყო.

მოსამართლემ საქმე დახურა და მსაჯულებთან, მდივანთან და პროკურორთან ერთად კაბინეტის კარისაკენ გაემართა. ის ქალი, მისი ვექილი და დარბაზში მყოფი ორი-სამი ცნობისმოყვარეც გასასვლელისაკენ დაიძრნენ. დოქტორი კი ადგილიდან არ დაძრულა, გაქვავებულივით იდგა და დარბაზიდან მხოლოდ მაშინ გავიდა, როდესაც მისი მოწინააღმდეგენი შენობიდან კარგა ხნის წასულნი იქნებოდნენ. ერთი პირობა იფიქრა, კაბინეტში შესულიყო და მოსამართლე და პროკურორი გამოელანძღა, მაგრამ თავი შეიკავა. ჩასთვალა, რომ მისი ღირსება ამ ხალხზე ბევრად მაღლა იდგა და თავი არ უნდა დაემცირებინა. ისიც კი იფიქრა: თუ საქმეს უმაღლეს სასამართლოშიც წააგებდა, თავს მოიკლავდა. განა ღირდა ასეთ ხალხში ცხოვრება!

არც უმაღლესმა სასამართლომ დაუჭირა მხარი. აღმასრულებელმა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი თანხა უკანასკნელ კაპიკამდე გადაახდევინა. გარდა ამისა, დამატებითი ბაჟის გადახდაც მოუხდა. უმაღლეს სასამართლოში საქმის განხილვას თურმე ცალკე ხარჯი ჰქონია და აქაც იზარალა.

ამ ამბის შემდეგ თითქმის ათი წელია გასული. არავინ იფიქროს, რომ მან თავი მოიკლა. არც ისეთი სულელია, მაშინ აღელვებული იყო და... მაგრამ ამ დროს უქმად არ ჩაუვლია: ვეება წიგნი დაწერა და ხალხში უფრო მეტად გამოჩნდა. ახლა უფრო ამაყად უჭირავს თავი და დააბიჯებს თბილისის ქუჩებში. თუ შემთხვევით მოსამართლეს ან პროკურორს გადაეყრება, სალამს არ აძლევს, ზიზღით უცქერის მათ, — ისინი ხომ უსულგულო ადამიანები არიან!

**ვახტანგ ჟვანია.**

---

ქურდებმა მეორე დღისთვის გადადეს განზრახის აღსრულება.

* * *

კარგა ხანი ფიქრისა და დუმილის შემდეგ მოხუცმა ნაბრაგალმა დაბინდული თვალით აღმაცერად გამომიბღვირა და მტკიცე, მაგრამ ჩახრინწული ხმით გაფრთხილებასავით ჩამიჩურჩულა:

— ახლა ჩემთვის სულ ერთია რა მომივა, თუნდაც ისევ ციხეში წავიდე, გინდაც დამხვრიტონ... სად გამძვრება გაძაღლებული სული, აღარ ვნაღვლობ, ეს კარგად იცოდე შენც, ხევსურო, მეორე დღეს რაც მოხდა, ჩემდა უნებურად მოხდა!

— თითქმის იყვირა მან, — გაიგე? ჩემდა უნებურად... არ მინდოდა მთლად უბედურებამდე მისულიყო საქმე, არა...

ბოლო სიტყვები ჩურჩულით თქვა გორილამ და ისევ დადუმდა, უჭირდა ამბის ბოლომდე მიყვანა.

რაღაც საშინელის მოლოდინით გაქვავებული უსიტყვოდ ვუსმენდი მოხუცს.

— მთელი დარიალის ხეობა სულ ქეიფ-ქეიფით გამოვიარეთ, — განაგრძო მოხუცმა, — ყველა დუქანთან ვჩერდებოდით გზის პირებზე და ხევსურს სასმელს ვაძალებდით. მას ჩვენს პატიოსნებაში ეჭვი არ ეპარებოდა: მოგვენდო და როგორც მთიელებს სჩვევიათ, გულიც გადაგვიშალა. ყველა სადღეგრძელოს ლექსად ამბობდა, ყველა სიმდიდრეს ამქვეყნად კარგი ლექსი სჯობიაო, გვიმტკიცებდა და ლექსაობდა. ლექსს უსათუოდ დააყოლებდა: „არხოტიონის თქმულიო“, „მელექსე არხოტიონიო“. ამიტომაც გკითხე წეღან არხოტიონი რას ნიშნავსო.

გორილამ არაყი დალია, პაპიროსიც მიაყოლა და განაგრძო: — გული კი გახსნა, მაგრამ ის უბედური უბეში გადამალულ იმ თავის განძზე სიტყვას მაინც არ ძრავდა, არაფერი წამოსცდა. მე ვამჩნევდი მთვრალიც კიდევ თვალისჩინივით რომ უფრთხილდებოდა გამობერილ უბეს, ხელს მალულად შეავლებდა, ქამარს სინჯავდა და ჩოხას ისწორებდა. რაიმეს კითხვასაც ვერიდებოდით, რომ არ დაგვეეჭვებინა ჩვენს ავკაცობაში და ხელიდან არ დაგვსხლტომოდა, ნეტამც ასე მომხდარიყო...

გორილა წუთით გაჩუმდა.

ჩემდა გასაოცრად, ჩემს მეხსიერებაში ერთმა ჩემი ბავშვობის დროინდელმა ამბავმა დაიწყო ამოტივტივება, მაგრამ გორილას ხმამ გაწყვიტა ჩემი ფიქრი.

— ყაზბეგამდე სულ მცირე მანძილი გვქონდა...

— რომელი წელი იყო, გაიმეორე! — წამოვიძახე მე ფეთიანივით, და ჩემი ხმა ვერ ვიცანი.

გორილა გამოფხიზლდასავით.

— ალბათ ოცდათვრამეტი, — შემომხედა მან გაოცებისგან ყბამოქცეულმა, — ჰო, ან ოცდაცხრამეტი.

ჩემთვის უცბად ყველაფერი ნათელი გახდა...

... ალბათ შვიდი-რვა წლის ბიჭი ვიქნებოდი, როცა ერთ დილით ჩემს სოფელში — ჯუთაში მაცნე მოვიდა, ყაზბეგის ბოლოზე არხოტიონი მოუკლავთო.

ატყდა ერთი ალიაქოთი, ქალები ატირდნენ, მამაკაცები გაემზადნენ და ხევისკენ გასწიეს.

მეორე დღეს ჩემ სოფელზე აატარეს შავ ნაბადში გახვეული ცხედარი, ხევსურული ცალფა საკაცით და არხოტისკენ წაიღეს.

მაშინ ბავშვმა რა ვიცოდი ვინ იყო ის არხოტიონი, მაინც მებრალებოდა.

გავიდა წლები და მერე გავიგე ვინ იყო ყაზბეგის ბოლოზე, თერგის პირას მოკლული კაცი...

— მერე რა მოხდა? — გოგიას ხმამ გამომაფხიზლა.

მოხუცის ხმის გაგონება აღარ მინდოდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ მაინც წამძლია, რას იტყოდა.

გორილა გაქვავებული შემომყურებდა, თითქოს გულთმისანივით მიხვედრილიყო, რომ ჩემთვის ყველაფერი ნათელი იყო.

— ამან იცის, მერე რაც მოხდა... — გამხმარი თითი მოაღირა ჩემზე გორილამ.

— დიახ, — ვთქვი მე დაგუდული ხმით, — კლდეზე გადაჩეხეთ ვერაგულად და მერე გაძარცვეთ!

— მას არაფერი ჰქონდა გასაძარცვი! — გამოფხიზლდა მოხუცი.

ახლა მე მომექცა ყბა გაოცებისაგან.

— მაშ რას მალავდა უბეში? — იკითხა გოგიამ ეჭვიანად.

— რას მალავდა და წიგნს ის უბედური, წიგნს, — თქვა თავისთვის მოხუცმა ძლივს გასაგონად, — „ვეფხისტყაოსანი“ ჰქონდა ძონძებში გამოხვეული, არ დაგვანება და თავი შემოგვაკლა...

გორილას აბა საიდან ეცოდინებოდა, რომ მისგან ვერაგულად მოკლული არხოტიონი განთქმული „ვეფხისა და მოყმის ბალადის“ ავტორი გიორგი ჯაბუშანური იყო... ან რა აზრი ჰქონდა ამის ცოდნას მისთვის...

რამდენიმე დღის შემდეგ მოხუცი ნაბრაგალი გარდაიცვალა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ლექსები

ოთარ ჭუპრავა

## ნაძვები ქარში

ჯერ მძიმე ნისლი დაწვება ციდან,
(ბახმაროს ნისლი კვამლისფერია),
მერე წამოვა შეშლილი წვიმა,
ნისლში ღრუბლები აირევიან.

ქარი ღრიალით ღმერთს გააბრაზებს,
შემკრთალი ხალხი კარებს დახურავს,
ფანჯრებიც დროზე თუ არ ჩარაზეს,
ქარი სახლებსაც ახდის სახურავს.

მხედარი ცხენსაც ვერა სძრავს იმ დროს,
წინ უფსკრულია, უკან ხევია...
შეკრთები: მთებმა არ აიწყვიტონ!..
და ნაძვები კი არც ირხევიან.

როგორც სანთლები, როგორც ანძები,
ტანშეურხევლად დგანან ნაძვები.

## ძილი ნებისა

წამოვიკიდეთ გუდა-ნაბადი
(ერთმანეთს ისევ შევხვდებით მერმისს)
და თეთრი თოვლით გადასაბარდნი,
დაგვრჩა ნაძვნარი ბახმაროს მთების.

წავედით, გაგვყვა ამ ზეცის დარდი
და მოგვძახოდა შორით ბახმარო:
— ჩემი ჰაერის ძალა და მადლი
ღმერთმა შეგარგოთ და მოგახმაროთ!

დაბლა და დაბლა სივრცე გაცხელდა,
გზები ნიავით უბეს ივსებენ...
ჩოხატაურის მაღალ ცაცხვებთან
სული მოვითქვით და დავისვენეთ.

და მოემატა ჰაერს სიმძიმე,
და ჩვენ შევიტკბეთ სიცოცხლის გემო..
თქვენ აწი თოვლქვეშ უნდა იძინოთ,
ძილი ნებისა, ბახმაროს მთებო!..

## და გაისამდე უნდა შემინდონ

წელს ბახმაროდან ისე წამოველ,
ველარ ვეწვიე ერთხელ კერჩხიანს.
ოთხკედელშუა წვიმით წამებას
მე ზოტიყელის ნახვა მერჩია.

ველარ ვეწვიე მუჭუთას სამანს,
კალმახებიან, მქუხარ ხინისწყალს,
ვერ დავაკვირდი „მზის ამოსავალს", —
ცა რა სინაზით გააყირმიზა...

ბალიანის მთა უსალმოდ დამრჩა,
ვერ გავუარე აჭარელ დოსტებს,
ვერ მივაღწიე უმაღლეს კარჩხალს,
ბოკელას დარდი კვალდაკვალ მომდევს.

ვერ დავულოცე ჯოგი იალას,
წვიმიან დღეებს გაჰყვა მთელი დრო,
ბევრს დავაკელი წლეულს სალამი
და გაისამდე უნდა შემინდონ...





ავთანდილ გალდავაძე

# ღელე

მოთხრობა

— აბა, ეხლა თქვენებურად დავასხათ, — მითხრა ჩემმა თუშმა ძმაკაცმა და ჭიქები აალიცლიცა.

მე დავიძაბე. ვიცოდი, როცა მელიტონი სადღეგრძელოს სავსე ჭიქით სვამდა, რაიმე საინტერესო ამბავს მოჰყვებოდა ხოლმე.

— ეს ამბავი ჩემს ყმაწვილკაცობაში მოხდა. სამუხის მინდვრებზე ვიყავით. გვიანი ზამთარი ფარ-ხმალს არ ჰყრიდა და ჭინჭარივით გვსუსხავდა.

ცხვარი ყორულში გაშლილიყო და მადიანად ახრამუნებდა ავშანის, კუტეკალასა და ვაციწვერას გამხმარ, მლაშე ღეროებს.

მეცხვარეებს კომბლები იღლიაში გაეჩხირათ, ხელებს იორთქლავდნენ და ადგილზე ბაკიბუკობდნენ.

აქა-იქ, ვეება ველზე თმაგაშლილი, კეფაზე ხელებშემოჭდობილი შიშველი ქალიშვილებივით ყინჩად იდგნენ თეთრად შეჭირხლული აკაკის და სალსალაჯის ხეები.

თუმცა, ვინ იცის, ეგებ ეს ხეები სრულებით არ ჰგავდნენ ქალწულებს, მაგრამ დიაცდანატრებულებს ასე გვეჩვენებოდა.

ეს კი არადა, სულძაღლიანი („სულძაღლიანს" იკალეს ვეძახდით, იყო ასეთი მაჭუტი, მარდი და მარჯვე ჯეელი) ჩვენს წესზე სამ არაყს რომ გადახუხავდა, აკაკისაკენ გასწევდა, აუვლ-ჩაუვლიდა, შეჩერდებოდა, წკიპზე შედგებოდა, ორთავ თვალს ჩაუკრავდა და ეტყოდა:

— გენაცვალე, ჩემო ქალავ!

ბინაში თავჩობანი საქმიანობდა: ხან ბაკში შევიდოდა, ხან ჭალურს გადახედავდა, ხან ფარეხში გაეხმაურებოდა ვიღაცას, ხან კიდევ ქუბულებში შეჰყოფდა ხელს და კაჭახს აბუმბულებდა — აქაოდა, ამ სატიალე სიცივემ თითო-ოროლა ნაგვიანევი ქორფები არ დაგვიყინოსო...

საღამოვდებოდა.

ბაკებში ნავები ქერით ივსებოდა, საცხოვრებელში ნაცარში ქობა შუშდებოდა, ქვაბში გორდილა იხარშებოდა, ქოთანში ჩობანყაურმა ცხელდებოდა.

იდგა ოხშივრის, ტყავისა და წივის საამო სუნი.

ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე იყო, როგორც ადათი და წესია.

მაგრამ, ვაი რომ კაცს ერთი წესი აქვს, და ღმერთს — მეორე.

უეცრად ცა მოიქუფრა და გრიგალი მგელივით გვეტაკა. ქარბუქი ზათქითა და ზარით მოზვავდა და ორომტრიალი დააყენა. ცხვარი თავზარდაცემული გაიფანტა. ჰაერში თოვლის, თივისა და თუშური ქუდების კორიანტელი დადგა.

გაშმაგდა სტიქიონი: ჯერ იყო და ცრევის ცხვარი და ბატკანი ერთმანეთში დარია, მერე ფარა მოვარდნილი ღვართქაფივით დაანაკადა, და ნოტონოტო დაფანტა. ფარეხს სახურავი ააგლიჯა, ჭალურს გვერდები მიულეწა, ბაკი მიწასთან გაასწორა და მწყემსების ბარგი-ბარხანა ხან ალთას მიჰქონდა და ხან ბალთას.

იყო კაცისა და ბუნების ჭიდილი: ხან მწყემსი წაგლეჯდა ქარს ცხვარს და ხან ქარი — მეცხვარეს.

ქარის წივილ-ზუილი, ცხვრის ბლავილი, ძაღლების გნიასი, ვირების ყროყინი და მეცხვარეების ვაი-ვიში ორი დღე-ღამე აწიოკებდა და ზაფრავდა სამუხის ველს. მადლობა ღმერთს, ყველაფერს ბოლო აქვს — მესამე დღეს ქარს ქანცი გამოელია და დაცხრა.

ყველა სულიერი ცოცხალ-მკვდარნი დავეყარენით.

მხოლოდ ერთი ბარგის ვირი იდგა ფეხზე: რაღაცნაირად საბელი ვერ აეწყვიტა, ერთ ადგილზე მიჯაჭვული ზეზეულად გაყინულიყო და ტყავი გაეჭიმა.

გათანგული პირუტყვი საბერველივით ქშინავდა, მეცხვარეებს სული კბილით გვეჭირა.

დასასრულ მაინც თავჩობანმა იმარჯვა, წამოიჩოქა, წამოდგა, წაბარბაცდა და თვალმოჭუტულმა კუშტად გაიარ-გამოიარა.

— ძია თადო, ეგ რა მოგსვლია, ხანჯალი აღარა გაქვს! — გაკვირვებით შევეკითხე მე.

— აბა, აბა, იმ გაწამაწიაში, ქამარი შემომწყდომია და ხანჯალი სადღაც დამვარდნია, სირცხვილით პირდაპირ აღარ ვიცი, რა ვქნა, თავი დიაცი მგონია, — ამოიგმინა და ხელებით ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს ქამარ-ხანჯალს ისწორებსო.

როდის-როდის სხვებმაც წამოვწიეთ წელი და გავერანებულ ბინაში მივდექ-მოვდექით.

ცხვირჩამოშვებული დავბორიალობდით, საქმე, სადარდებელი და საგოდებელი, გიყვარდეს, ბევრი გვქონდა.

გუნება-განწყობილებაზე ისევ სულძაღლიანმა მოგვიყვანა, — კომბალს დაწვდა, ფანდურივით მოიმარჯვა და ხალხური სიმღერა წამოიწყო:

მგელმა თქვა: ქორწილს ვაპირებ,
ღვინო მიდგია ნასეტყვი,
მწყემსს უნდა ვთხოვო საკლავი,
თიკანს მომცემს თუ ცხვარს მეტყვის?
არ მომცემს? ძალით წავართმევ,
ატირდება და ბანს ვეტყვი!

ანაზდად ფარა ატორტმანდა, ატოკდა, აწრიალდა და სულძაღლიანს თითქოს ენამ უყივლაო, სად იყო და სად არა, მგელი გამოჩნდა, ბატკანს კისერში კბილი ჩასჭიდა და ყაშებისაკენ აიღო გეზი.

ეს ყველაფერი წამის უმალ მოხდა.

მგელს ნერბი, თავჩობანი, მე, ძაღლები და სულძაღლიანი დავედევნეთ.

ირბინა, ვსდიეთ.

კიდევ და კიდევ.

ის სამგლე უკან მოიხედავდა, ჩვენს შორის მანძილს თვალით გაზომავდა და რომ დარწმუნდებოდა საშიში არა ჰქონდა რა, ბატკანს დააგდებდა, კბილს მოინაცვლებდა და ისევ მთებისკენ გაუტევდა.

პირველად თავჩობანი ჩამორჩა, მერე — მე, შემდეგ — სულძაღლიანი და ბოლოს — ძაღლები.

ნერბი კი ტოლს არ უდებდა: მისდევდა, დაენარცხებოდა, წამოვარდებოდა და სტვენითა და ოთხით კვლავ მისდევდა.

და სდია მანამ, სანამ ბნელმა პირი არ უყო.

რა გუნებაზე გავათევდით იმ ღამეს, ალბათ, არც არის საკითხავი.

...ალიონზე სასწაული მოხდა: ჩვენი ნერბი უკან მოლასლასდა, გათოშილმა და გაღვერილმა კაეშნით სავსე თვალებით შემოგვხედა და ნება-ნება მიწაზე გაიჩაჩხა.

ლაშებიდან დორბლი მოსდიოდა, თვალებიდან — კურცხალი.

უცბად გველნაკბენივით შეტოკდა, აძაგძაგდა, რიკი მიწას დასცა, ფეხები გაფშიკა, თავი გადაუვარდა და სული განუტევა.

ვიღაცამ დანა იძრო და ჩაიმუხლა.

თავჩობანმა თავხედს თვალებით ურჩინა და დანა ისევ ქარქაშში ჩააგებინა. მერმე დაიხარა, ნერბს თვალები დაუხუჭა, დორბლი მოწმინდა, კაცის ცხედარივით გაპატიოსნა, თექა გაიხადა და წაახურა.

არკი მახსოვს რამდენ ხანს ვიდექით უძრავად და უქუდოდ.

— ნერბი, ჩემო კარგო, დედა ცხვარია. ჰეი გიდი, უწყინარი ცხვარი იყო, მაგრამ მასში დედის გამწარებული სული ბორგავდა და ამ სულმა მოახდინა სასწაული, — მგელს დაედევნა. მოდი, დედების სადიდებელი დავლიოთ! — თქვა ვეება ვაჟკაცმა, ცრემლი ცერით მოიწმინდა, ჭიქას თავი წაუქცია და გამოსცალა.

# ახალი წიგნი „ივერიაზე“

„ივერიის“ კომპლექტებს რომ ფურცლავთ, თქვენს წინაშე ცოცხლდება დიდი ილიას აჩრდილი და ისე გეჩვენებათ, თითქოს უშუალოდ ესაუბრებით, მისი გენიის მადლით ივსებით. ილიას გაზეთი ღრმად იჭრებოდა ხალხის ყოფაში, დიდი გონებრივი გამჭრიახობით აშუქებდა საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა მხარეს, თავისი დროისათვის პროგრესულ იდეებს გაბედულად და ფართოდ ავრცელებდა; პირდაპირ გაოცებას იწვევს თუ როგორ ახერხებდა, რომ ასე ოპერატიულად ედევნებინა თვალყური ცხოვრებისათვის და ყველა საჭირბოროტო საკითხი, მეცნიერულ-თეორიული ხასიათისა იქნებოდა ის თუ, პრაქტიკული, — ზუსტი და ღრმა ცოდნით გაეშუქებინა. „ივერიის“ თვალი სამშობლოს ყველა კუთხეს სწვდებოდა და ერთნაირი გულისხმიერებით ეკიდებოდა მათ. „ივერია“ უყურადღებოდ არ სტოვებდა მეცნიერების, ხელოვნების, პოლიტიკური ცხოვრების განვითარებისა და ხალხის ყოფის ოდნავ მნიშვნელოვან მოვლენასაც კი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული წყაროები და დოკუმენტები რომ არ მოგვეპოვებოდეს, ილიას „ივერიის“ ფურცლების შესწავლით ნათელი წარმოდგენა შეგვიძლია ვიქონიოთ მეცნიერების, კულტურის, მეურნეობის განვითარებისა და ხალხის ყოფაცხოვრების მაშინდელ დონეზე.

აი, ჩვენს წინ დევს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ ალექსი მინდაძის გამოკვლევა—„მედიცინა „ივერიის“ ფურცლებზე“, რაც ერთხელ კიდევ გვარწმუნებს ილიას გაზეთის სამოღვაწეო სარბიელის განუსაზღვრელ მასშტაბზე. მრავალი საზრუნავით გადატვირთული „ივერია“ პოულობს დროს თავის ფურცლებზე თვალსაჩინო ადგილი დაუთმოს სამედიცინო მეცნიერების მიღწევების პროპაგანდას და შეუპოვარი ბრძოლა აწარმოოს რუტინისა და ჩამორჩენილობის, მკითხაობისა და ექიმბაშობის წინაალმდეგ.

პროფ. ა. მინდაძემ მეტად სასარგებლო საქმე გააკეთა. მან დაწვრილებით შეისწავლა „ივერიის“ მოღვაწეობის ის სფერო, რომელსაც დღემდე არავინ შეხებია. ილიას საზოგადოებრივი მოღვაწეობის სრულყოფილი დაფასებისათვის ნაშრომში მოყვანილ მასალას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული უბრალო ქრონიკაც კი სცილდება წმინდა ინფორმაციულ ხასიათს და მკაფიო საზოგადოებრივ ჟღერას, სოციალურ-პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს, რადგან ამ შემთხვევაშიც იგი პროგრესული, მატერიალისტური მიმართულების აქტიურ ქომაგად გამოდის. საკმარისია გავიხსენოთ, თუ რა ფართო ადგილს უთმობდა გაზეთი 70-80-იან წლებში მთელ რუსეთში სახელგანთქმული მეცნიერის, აკად. ივ. თარხნიშვილის ლექციებს თბილისში და მის მოღვაწეობას, საერთოდ. ივ. თარხნიშვილის ლექციებმა საზოგადოების უჩვეულო გამოხმაურება გამოიწვია. მწერალმა ეკატერინე გაბაშვილმა დაგვიტოვა შესანიშნავი მოგონება, რომელშიც ცოცხლად არის დახატული მაშინდელი ინტერესგაღვიძებული თბილისი. თარხნიშვილის ლექციებზე დასწრება ყველას ოცნება იყო. ვინც ამ ლექციებზე მოხვდებოდა, გვეუბნება მწერალი, თავს ბედნიერად თვლიდაო. ეს ღრმად მოაზროვნე მეცნიერი, რომელმაც ახალი აღმოჩენებით გაითქვა სახელი, მშვენიერი გარეგნობის, იშვიათი ორატორი და მეტად თავმდაბალი ადამიანი ყოფილა.

„ივერიის“ ფურცლებზე შეხვდებით ამომწურავ ცნობებს პასტერისა და კოხის აღმოჩენებზე და სხვ.

„ივერია“ განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ხალხის ჯანმრთელობის საკითხებით, დიდ ყურადღებას აქცევდა სამედიცინო განათლების შეტანას სოფლად. ილიას დიდად აწუხებდა ის გარემოება, რომ სოფლად ფეხმოკიდებული იყო მკითხაობა და ექიმბაშობა, რაც დიდ ზიანს აყენებდა მოსახლეობას. პროფ. ა. მინდაძის მიერ მოყვანილი ამონაწერები სრულ წარმოდგენას იძლევა გაზეთის შეუპოვარ ბრძოლაზე მკითხაობასა და ექიმბაშობასთან.

ა. მინდაძის წიგნში ერთ ამონაწერს წავაწყდი, რომელიც ძალიან მეცნაურა; აი ეს ამონაწერიც:

„ექიმბაშთა შორის განსაკუთრებით ყურადღების ღირსია სოფ. ქ-ში მცხოვრები ჩ. ა.-შვილი, რომლის პარპაშსა და ცბიერებას დასასრული არ ეძლევა. ეს ვაჟბატონი ყოველგვარი ავადმყოფობით შეპყრობილთ დიდი ამბითა და თავგამოდებით ხელს ჰკიდებს, მათ პატრონს ფულს ბლომად სცინცლავს და ავადმყოფის მორჩენა კი ღმერთმა იცის“.

ეს ხომ ის ჩიტა ავთანდილაშვილია, რომელიც ჩვენგან სამასიოდე მეტრის მოშორებით ცხოვრობდა სოფელ ქარელში; ჩემი ბავშვობის დროს იგი უკვე მოხუცებული იყო და თავის „პროფესიას“ კვლავ ბეჯითად განაგრძობდა. სახელი შორს ჰქონდა გავარდნილი, საიდან არ მოდიოდნენ მასთან სამკურნალოდ, ვინ ფეხით ძლივს მოჰყავდათ, ვინ ურმით... დღედაღამ მისი სახლის წინ გაუთავებელი რიგი იდგა. მკითხავის ჩაყამებული ორთვალიანი სახლი, რომელიც გზის პირას იდგა, ბავშვებში შიშის გრძნობას იწვევდა, გზად მიმავალნი მეორე მხარეს გადავდიოდით და შორიახლოს ჩავუვლიდით ხოლმე, გარეთ იშვიათად გამოდიოდა. მასთანაც უბრალოდ არც სტუმარი შედიოდა და არც მეზობელი. ბავშვებს ზოგჯერ ცნობისმოყვარეობა წაგვძლევდა, ძალას მოვიკრებდით, შიშის გრძნობას დავძლევდით, ჩუმად მივიპარებოდით უკანა მხრიდან და პატარა, სანათურივით ფანჯარაში შევიხედავდით, უფრო მაშინ, როცა გარეთ გავიგულებდით. ერთი დიდი ტახტი ედგა, უბრალო თაროები ჰქონდა კედლებზე, ქილებითა და ბოთლებით სავსე... ჩიტას თარეში მხოლოდ მაშინ აღიკვეცა, როცა ქარელში საექიმო პუნქტი გაიხსნა და განათლებული ექიმი გამოჩნდა.

* * *

დიდი ქოლერობის წელს (1892 წ), როცა ეპიდემია სწრაფად გავრცელდა და ხალხი საშინელმა პანიკამ მოიცვა, „ივერიამ“ მთელი მოწინავე ინტელიგენცია ფეხზე დააყენა ამ სენთან საბრძოლველად. გაზეთმა აქ მხატვრული სიტყვაც გამოიყენა: გამოაქვეყნა ეკ. გაბაშვილის ნოველა „ხოლერა“, ვაჟას მოთხრობა „ხოლერამ მიშველა“ და სხვ. სიტყვის ოსტატებმა თავიანთ ნაწარმოებებში გვიჩვენეს ხალხის დიდი სულიერი მღელვარება, განსაკუთრებით კი — ღარიბი გლეხების უმწეო მდგომარეობა, სენი ხალხის სოციალურ უბედურებასთან დააკავშირეს და თავისი პროგრესული მოქალაქეობრივი იდეალები გადმოგვცეს. ეს მომენტი განსაკუთრებით მკვეთრად გამოიხატა ეკ. გაბაშვილის ნოველაში და ვაჟას საინტერესო პუბლიცისტურ ნარკვევში „ფიქრები ხოლერობის გამო“, რომელიც რატომღაც ა. მინდაძის მხედველობის არეს ასცდა. ვაჟას ეს ნარკვევი პოლიტიკურ პროკლამაციასავით არის დაწერილი და ქოლერაზე უფრო დიდ, ძნელად განსაკურნებელ სენზე ამახვილებს ყურადღებას — თვითმპყრობელობის რეჟიმს ებრძვის.

„აბა გადავავლოთ ჩვენს მხარეს თვალი, აბა კარგად დავუკვირდეთ ჩვენს გარემოებას, ჩვენს წამხდარ საქმეს, თუ მართლა უარესის ხოლერით არა ვართ ავად, — წერს ვაჟა, — ამ ხოლერას ვერ ვუპოვეთ ვერსაიდან წამალი... აბა ხოლერა, ნამდვილი ხოლერა ეს გახლავთ...

დიაღ, ბატონებო, სადაც უსამართლობა მძვინვარებს, სადაც [illegible] [illegible], სადაც [illegible] და უგრძნობლობაა, ნამდვილი ხოლერაც იქ ბუდობს. მიკვირს და ვფიქრობ: თუ ეს სიცოცხლის მომსპობი ხოლერა გვაყაყანებს მეთქი, ის ხოლერა, რომელიც კაცს ცოცხალს მკვდრად ხდის, რატომ არაფერს გვათქმევინებს, ხმას არ ამოგვაღებინებს ისეთის ჰექა-ქუხილით, როგორც პირველი ჯურის ხოლერა?! რად მინდა ისეთი სიცოცხლე, რომ მკვდარს ვემსგავსოთ. აი აქ არის მთავარი ხოლერა და მას უნდა ვებრძოლოთ, მისი წამალი უნდა მოვძებნოთ“. დიდი ვაჟა ასე გამოეხმაურა საქვეყნო სატკივარს, საუბრის თემა უცბად პოლიტიკურ სიბრტყეზე გადაიტანა და ხალხს ეროვნული და პოლიტიკური თავისუფლებისთვის ბრძოლა გაახსენა.

იმავე ხანებში „ივერია“ აქვეყნებს ა. ფრონელის წერილებს ქართლის სოფლებში ქოლერის გავრცელების გამო. წიგნის ავტორი რატომღაც ა. ფრონელის ფსევდონიმს გრიგოლ ყიფშიძეს მიაწერს, სინამდვილეში ეს იყო გრიგოლის ძმის, ცნობილი ისტორიკოსის ალექსანდრე ყიფშიძის ფსევდონიმი. ამ ფსევდონიმით არის გამოქვეყნებული მისი წიგნები „დიდებული მესხეთი“, „მთის არწივი შამილი“, „მთიულეთი“, „ამბოხება კახეთისა“ და სხვ.

1892 წლის ქოლერობამ საშიში გავრცელება ჰპოვა და ხალხის განგაში იმ პატიოსან ქართველების გულსაც მისწვდა, რომლებიც სამშობლოდან შორს იყვნენ, სხვადასხვა სამედიცინო სასწავლებლებში სწავლობდნენ. სტუდენტობა დაიძრა სამშობლოსაკენ ხალხის საშველად. როგორც „ივერია“ გვაუწყებს, ვარშავიდან სტუდენტი ღედაბრიშვილი ჩამოვიდა და თავის მაზრას მიაშურა. ეს ღედაბრიშვილი გახლავთ მომავალი გამოჩენილი მწერალი შიო არაგვისპირელი; პეტერბურგიდან და სხვა ქალქებიდან ჩამოსული სტუდენტობა ქართლსა, კახეთსა და დასავლეთ საქართველოს მოედვნენ. ამათ შორის ბევრი მომავალი დიდი მეცნიერი იყო, მაგალითად, პროფესორი გ. ღამბარაშვილი (გორის მაზრა) და სხვ.

მკითხავებსა და ექიმბაშებს „ივერია“ ანსხვავებდა იმათგან, ვისაც შესწავლილი ჰქონდა ხალხური სამკურნალო საშუალებები. ასეთები მართლაც იყვნენ და არც თუ ცოტა, მაგრამ ერთი უხეირო ტრადიციის გამო, რომ წამლის საიდუმლოს არავის უმხელდნენ, უმეტესობა ამ სამკურნალო წამლისა დავიწყებას მიეცა.

ექიმბაშ ჩიტა ავთანდილაშვილის დროს ქარელში ცხოვრობდა კეთილი და დარბაისელი ქალი სიდო, რომელსაც საკუთარი მალამო ჰქონდა („სიდოს მალამოს“ ეძახდნენ). ეს მალამო უებარი საშუალება იყო ჭრილობისა და სიდამწვრის სამკურნალოდ; სიდო უანგაროდ იყენებდა ამ წამალს, ხელმოკლესა და გაჭირვებულს, ახლობელსა და მეზობელს უსასყიდლოდ აძლევდა. რა დროსაც უნდა მიემართათ, მუდამ მზად იყო დასახმარებლად, მისი ერთადერთი დანაშაული ის იყო, რომ მალამოს დამზადება არავის შეასწავლა და მის გარდაცვალებასთან ერთად ეს მალამოც გაქრა.

„ივერია“ ქებით იხსენიებდა უანგაროდ მომუშავე ექიმებს, ხელს უწყობდა მათში მოქალაქეობრივი, პატრიოტული სულისკვეთების აღზრდას.

პროფ. ა. მინდაძის ნაშრომი დაწვრილებით გვესაუბრება ამ საინტერესო საკითხებზე. ავტორი პროფესიული ცოდნითა და სიყვარულით წარმოგვიდგენს, თუ რა დიდი ამაგი დასდო „ივერიამ“ სამედიცინო მეცნიერების მიღწევათა პროპაგანდისა და ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

**ერემია ქარელიშვილი**

# დამაკვირჩელი

## აფორიზმები

სიმართლისათვის ყველაზე კარგი ტანსაცმელი სიშიშვლეა. თომას ფულერი.

თავის თავის მოტყუება — ყველაზე ადვილია. დემოსთენი.

ეშმაკის მოტყუება კაცს ცოდვად არ ჩაეთვლება. დეფო.

ჯერ არ დაბადებულა პოეტი, რომელიც სხვა პოეტს თავის თავზე მაღლა აყენებდეს. ციცერონი.

სახელ-დიდება — ეს საწამლავია, რომელიც მცირე დოზებით უნდა მიიღო. ბალზაკი.

თუ გინდა რომ აგვატირო, ჯერ თვითონ შენ იტირე, პოეტო! ბუალო.

ჭეშმარიტი პოეტები მუდამ წინასწარმეტყველნი არიან. ლერუ.

როდესაც თქვენ დაესესხებით რაიმე აზრს ამა თუ იმ მწერალს და წყაროს არ მიუთითებთ, ამას ეწოდება პლაგიატი. ხოლო როცა დაესესხებით ბევრს — ეს უკვე გამოკვლევაა. მიზნერი.

ჩემი უბედურება ის არის, რომ ვწერ წიგნებს, ხოლო როცა დავწერ, მერე მრცხვენია. მონტესკიე.

მწერალი ისევე მამაცი უნდა იყოს, როგორც ჯარისკაცი. პირველმა ისევე ნაკლებად უნდა იფიქროს კრიტიკოსებზე, როგორც მეორემ ჰოსპიტალზე. სტენდალი.

უბედურია ის, ვისაც არაფერი არა სწამს. ჰიუგო.

უბედურია ის, ვისაც დონ-კიხოტის ნატამალი მაინც არ მოეპოვება. ფრანსი.

თუ იწვის შენი მეზობელი, უბედურება შენც გემუქრება. ჰორაციუსი.

ფათერაკი არ მოდის მარტო, ისევე როგორც გამარჯვება. როლანი.

თუმცა ნაცემი ძაღლის წკმუილი ანტიგონეს კეთილხმოვანი ჩივილისაგან დიდად შორს არის, მაინც აქაც და იქაც ისმის ტანჯული სხეულის კვნესა. ფრანსი.

სიყვარული ხშირად ართმევს გონებას მას, ვისაც იგი აქვს და აძლევს მას, ვისაც არ გააჩნია. დიდრო.

დამდურების გარეშე სიყვარული დიდხანს არ გრძელდება. ოვიდიუსი.

თუ მე გიყვარვარ, ჩემი ძაღლიც შეიყვარე. ჰეივუდი.

არასდროს არ დაკარგო მოთმინება — ეს უკანასკნელი გასაღებია, რომლითაც გაალებ კარს. სენტ-ეკზიუპერი.

მხოლოდ მეგობრის ხელს შეუძლია გამოიღოს გულიდან ეკალი. ჰელვეციუსი.

მეგობრობა, რომელიც დაიბადა ღვინის სმის დროს, წარმავალია ისე, როგორც სიმთვრალე მაგარი ძილის შემდეგ. ლოგაუ.

ისე იცხოვრე ადამიანებთან, რომ მეგობრები არ გაგიხდნენ მტრებად. მხოლოდ მტრები მეგობრებად არ იქცნენ. პითაგორე.

როცა ძაღლი და კატა უცებ დამეგობრდებიან, ეს სხვა არაფერია, თუ არა შეთქმულება მზარეულის წინააღმდეგ. სტეფან ცვაიგი.

ყალბ მეგობრებს უფრთხილდი თვითონ, მხოლოდ მტრისაგან დაგიცავ მე. ლათინური წარწერა პოლონეთის მეფის იან სობესკის ხმალზე.

მხოლოდ არარაობას არა ჰყავს მტრები. ასე რომ არ გირჩევთ ამით ტრაბახს. ბუუარი.

მტრისგან თავის დაღწევის საუკეთესო ხერხია — გაიხადო ის მეგობრად. ჰენრიხ IV.

მტერს, რომელიც მირბის, ოქროს ხიდი აუშენე. სციპიონი.

ცუდია ის აღმზრდელი, რომელსაც არ ახსოვს თავისი ბავშვობა. ებნერ-ეშენბახი.

ვისაც ქალის მართვა შეუძლია, მას შეუძლია სახელმწიფო მართოს. ბალზაკი.

დიდია ის ქალაქი, რომელშიც ცხოვრობს დიადი ადამიანი. თუ გინდ შიგ სულ რამდენიმე ქოხი იდგეს, მაინც ის მსოფლიოს უდიდესი ქალაქია. უიტმენი.

გენიოსობა — ერთი პროცენტი შთაგონებაა და ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი ოფლი. ედისონი.

ჯანმრთელი მათხოვარი ავადმყოფ მეფეზე ბედნიერია. შოპენჰაუერი.

სჯობს ბოროტმოქმედის დაუსჯელობა, ვიდრე უდანაშაულოს დასჯა. როხასი.

სხვისი საიდუმლოს გაცემა — ღალატია, თავისისა კი — სისულელე. ვოლტერი.

ყველაზე კარგად საიდუმლოს ინახავს ის, ვინც იგი არ იცის. კალდერონი.

რაც ერთისათვის ბუა, მეორისათვის ბულბულია. რეიტერი.

როდესაც მელა ქადაგებას იწყებს, გაუფრთხილდი ბატებს. ჰერბერტი.

პეპლებისათვის ლომი საშიში არ არის. მარციალი.

ბაბილონის გზა იერუსალიმში ვერ ჩაგვიყვანს. თომას ფულერი.

ღია კარი წმინდანსაც შეაცდენს. თომას ფულერი.



# ფეხამბერი

ხუტა ბერულავა, ჩვენი შესანიშნავი პოეტი და გამომცემლობა „განათლების“ დირექტორი, სიმონ გუგუნავას „თამარიანის“ ახალ გამოცემას რომ ამზადებდა, ჩააფიქრა რამდენიმე იშვიათმა სიტყვამ, რომელთა მნიშვნელობა ტექსტის მიხედვით მთლად ნათელი არ ჩანდა. ერთ-ერთი მათგანი **ფეხამბერი** აღმოჩნდა. — ხომ არა იცით რა ამ სიტყვის შესახებო? — მკითხა რედაქტორმა. თავდაპირველად გათვალისწინებული იყო გამოცემას მცირე ლექსიკონიც დართოდა, მაგრამ ეს გეგმა შემდეგ შეიცვალა. ვეღარც მე მოვასწარი საჭირო მასალის შეჯერება და ჩქარა (1970 წ.) „თამარიანი“ კიდეც გამოვიდა ჩინებულად ალკაზმული და გაფორმებული. ხუტა ბერულავასათვის საინტერესო სიტყვები კი ხელუხლებელი დარჩა.

ახლა, თუმცა მოგვიანებით, მინდა მკითხველს ორიოდე ცნობა მივაწოდო **ფეხამბერის** თავგადასავლის შესახებ.

რას ნიშნავს ფეხამბერი? ამ სიტყვას, როგორც გვახსოვს, ხმარობს გაოცებული სულთანი ჯალალედინი. განრისხებულმა ჯალალედინმა დატყვევებული შალვა თოკით ხეზე მიაბმევინა. „მოისრეებს დაუძახა: დაუმიზნეთ, გაისროლეთ. მხოლოდ თავში მოახვედრეთ, ერთმანეთსა მიაყოლეთ, მერმე ლეში სადმე ტყეში გადააგდეთ, გააქროლეთო“.

ჯალათებმა მყისვე აღასრულეს ბრძანება: ისრები ხეზე მიბმულ ტყვეს თავში დაუმიზნეს და ესროლეს. მაგრამ მოხდა სასწაული, შალვა უვნებელი დარჩა: „ვაჰ, ისარნი ასცდენოდნენ, მცირედ იყო ფერნამკრთალი“. ჯალალედინი განცვიფრდა. ამას მოჰყვება ტაეპი:

სულთანმა სთქვა: „დღეს გამოჩნდა სასწაული ქვეყნიერი!
რაც მომითხრეს ჯალათებმა, მტკიცეა და დასაჯერი:
გასროლის დროს წინ აღუდგათ თურმე ჩვენი **ფეხამბერი**.
მან დაიხსნა სიკვდილისგან ეს ქართველი სჯულ-ოხერი“.

**ფეხამბერი** სპარსული სიტყვაა და იშვიათად იხმარება ქართულში. სპარსულში მას, პროფ. ბ. ვ. მილერის ცნობით, ასეთი წაკითხვა აქვს: ფეჲამ-ბარ, ფეჲღამ-ბარ, და წინასწარმეტყველს ნიშნავს, გამოყენებულია მაჰმადის ეპითეტად, თანაც მეტად გავრცელებულია ისლამის სარწმუნოების ხალხთა ენებში. მოიპოვება არაბულში, თურქულში და ა. შ. სამხრეთ დაღისტნის ენებში, კერძოდ, ლეკურში, თაბასარანულში, აღულურში, ბუდუხურში, კრიზულში **ფეჲღამბარ** ფორმით გვხვდება და მოციქულს, დესპანს, მოამბეს, წარგზავნილს აღნიშნავს. ი. ხ. აბდულაევის დაკვირვებით, სიტყვა ამავე მნიშვნელობით დასტურდება დაღისტნის სხვა ენებშიც, ხოლო ლაკურში მას მიამიტის, გულუბრყვილოს, გულმართლის, პატიოსანი კაცის გააზრება ჰქონია („ეტიმოლოგია“, 1970, გვ. 340).

ქართულში სიტყვა პირველად იოანე შავთელს (XII ს.) უხმარია თავის „აბდულმესიანში“ (მუხლ., 82) მაჰმადის ეპითეტად: „თვით მეზღაპრესა, ცუდ **ფეხამბერსა**, ღმრთისა არ-მართლად მქადაგებელსა“...

„აბდულმესიანის“ ტექსტიდან ეს სიტყვა შევიდა ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონში (1825 წ.): „**ფეღამბერი** (სპ.) მოციქული, წინასწარმეტყველი“, რაც შემდეგ უცვლელად გაიმეორა დავით ჩუბინაშვილმაც (1887 წ.). სიტყვა ერთ ადგილას აკაკი წერეთელსაც უხმარია, თანაც უფრო სწორი ფორმით — **ფეიღამბარ** და აქედან დამოწმებულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიაც (VII, 56); რაც შეეხება **ფეღამბარ** ვარიანტს, ის დ. ჩუბინაშვილის ნაშრომიდანაა გადასული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (VII, 82).

სიმონ გუგუნავას „თამარიანის“ **ფეხამბერი** უნდა იყოს თურქ. **ფეჲღამბერ** ფორმის ზეპირი ვარიანტი, რადგან **ფეჲღამბერ** მხოლოდ თურქულში გვხვდება და თურქ. **ღ**-ს გადასვლა (დაყრუება) ქართულ მეტყველებაში **ხ**-დ დასაშვები ფონეტიკური პროცესია.

ამრიგად, „თამარიანის“ სტრიქონი — „გასროლის დროს წინ აღუდგათ თურმე ჩვენი ფეხამბერი“ — უნდა გავიგოთ ასე: განცვიფრებულ სულთანს მოეჩვენა, რომ ხეზე მიკრულ შალვას ჯალათების ისრები ასცდა იმის გამო, რომ წინ გადაეფარა თავად ალაჰის წინასწარმეტყველი, მაჰმადი, „ჩვენი (ე. ი. მაჰმადიანთა) ფეხამბერი“.

ალ. ღლონტი.

# ამოხსნილი საიდუმლოება

შექსპირის ცხოვრების მრავალზე მრავალ აუხსნელ საიდუმლოებათაგან ერთ-ერთი ის იყო, რომ დღემდე არ ვიცოდით ვინაობა „შავგვრემანი ქალისა“, რომელზედაც იგი წერს თავის სონეტებში. ვინ იყო ეს ქალი, რომელმაც ესოდენ დიდი როლი ითამაშა მის ცხოვრებაში, რომელზეც პოეტი ამბობდა, რომ მისი ბაგეების სილამაზე „დიდიხანია შებილწულია ღალატით, სიცრუით, ცბიერი ფიცით“, ქალი, რომელმაც შთააგონა პოეტს მგზნებარებით, სასოწარკვეთილებით აღსავსე ლექსები.

ყველაფერი, რაც ჩვენ შექსპირის ცხოვრებაზე ვიცით, დაეტევა ერთ საფოსტო ღია ბარათზე. ამიტომ ძნელი იყო შავგვრემანი ქალის ვანაობის ამოცნობა. იყო არც თუ ცოტა ვარაუდი. ამ საკითხზე დაწერილია ტომები, მაგრამ მათში მხოლოდ ვარაუდებია, რომლებიც ვერ უძლებდნენ შემოწმებას; გამოჩენილი ისტორიკოსი პროფესორი ალფრედ როუზი თავის მონუმენტურ შრომაში „ელისაბედის ეპოქა“ წერდა, რომ „ჩვენ, ალბათ, ვერასოდეს შევიტყობთ შექსპირის სატრფოს ვინაობას, მისი სონეტების შავგვრემანი ქალის სახელსო“.

მაგრამ სწორედ ა. როუზმა ამოხსნა შავგვრემანი ქალის ვინაობა; ამის შესახებ იუწყებოდა იგი ამ ცოტა ხნის წინ გაზეთ „ტაიმსში“.

შექსპირის მკვლევართა უმეტესობა ძალიან საინტერესოდ მიიჩნევს ა. როუზის მიერ ჩატარებულ მუშაობას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ მივწვდით შექსპირის ბიოგრაფიის ფრაგმენტს, შევიცანით მისი ცხოვრების ერთი მხარე. იგი დღემდე ცნობილი იყო მხოლოდ როგორც დიდი პოეტი და დრამატურგი. მის ცხოვრებაზე კი ცოტა რამ ვიცოდით. მსოფლიო მნიშვნელობის მისი შემოქმედება ყოველთვის ჩრდილავდა მას, როგორც ადამიანს, როგორც მოკვდავს.

**ჯეიმს ოლდრიჯი,**
ინგლისელი მწერალი, მშვიდობის
საერთაშორისო ლენინური პრემიის
ლაურეატი.

დიდი ხნის განმავლობაში შეუძლებლად მიაჩნდათ შექსპირის სონეტების საიდუმლოების ახსნა, გაგება შავგვრემანი ქალის ვინაობისა; ფიქრობდნენ, რომ ეს ამოუცნობი საკითხი იყო მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. ასევე ვფიქრობდი მეც. 1609 წელს, შექსპირის სიკვდილამდე შვიდი წლით ადრე, გამოიცა მისი სონეტები და მას შემდეგ პრესის ფურცლებზე არასოდეს ნახსენები არ ყოფილა უცნობი ქალის სახელი.

და მაინც ეს საიდუმლოება ამოცნობას ელოდა. იგი იმალებოდა ოქსფორდის ბიბლიოთეკის ხელნაწერებში, ინახებოდა დღემდე შეუსწავლელ ელისაბედის დროინდელი ასტროლოგის სიმონ ფორმენის ქაღალდებში, ფორმენი კი კარგად იცნობდა ლონდონის მცხოვრებთ და იმ შორეული წარსულის ამბებს.

ჯერ კიდევ რვა წლის წინათ ჩემს მიერ გამოცემულ შექსპირის ბიოგრაფიისა და სონეტების ბოლოსიტყვაობაში იმედს გამოვთქვამდი, რომ საიდუმლოება აიხსნებოდა, თუკი გავყვებოდით გარკვეულ, მკაცრ მეცნიერულ მეთოდს; თავის დროზე სწორედ ასეთი მეთოდი დაეხმარა მკვლევარებს დაედგინათ, რომ სონეტების დიდი ნაწილი მიძღვნილია შექსპირის მფარველის, ახალგაზრდა ლორდის საუთემპტონისადმი, ზოგი კი პოეტ ქრისტეფორ მარლოსადმი, და რომ ისინი დაწერილია დაახლოებით ერთსა და იმავე დროს, 1592 წლიდან 1595 წლამდე.

მაინც ვინ არის უცნობი ქალბატონი?

უპირველეს ყოვლისა, ვნახოთ რას ამბობს მასზე თვით პოეტი. იგი საოცრად შავგვრემანი ყოფილა, იმდენად შავგვრემანი, რომ ეს ყურადღებას იქცევდა და ამის გამო ბევრნი მას ულამაზოდაც კი თვლიდნენ:

თუმცაღა ბევრი
    შენში ასეთს ვერაფერს ჰპოვებს
და ალბათ უკვირს,
    სიყვარულის ცეცხლში რომ ვიწვი,
მე კი ვერ ვბედავ
    შეცდომისთვის ვედავო ყოველს
და მარტო გულში
    ჩემს სიმართლეს ვამოწმებ ფიცით.

ეს შავგვრემანი ქალი ძალიან მუსიკალური ყოფილა. გავიხსენოთ სონეტი, რომელშიც აღწერილია როგორ უსმენს გვერდით მდგარი პოეტი მის დაკვრას ძველებურ მუსიკალურ ინსტრუმენტზე:

მუსიკავ ჩემო,
    ოდეს სიმებს აღელვებ განგებ
და შეეხები
    ხის კლავიშებს ნაზი თითებით,
მე ყურს მივაპყრობ
    ხმაშეწყობით მჩქეფარე ჰანგებს
და ტკბილი ჟღერით
    მოხიბლული გავირინდები.
აღსავსე შურით,
    მაგრამ რიდით და გაყუჩებით
ვუყურებ ხოლმე:
    ხე შენს ხელებს როგორ ენდობა,
იქ, შენს მახლობლად
    ცახცახებენ ჩემი ტუჩები
და მათ აწითლებთ
    მომღერალი ხის თავხედობა.

შექსპირი კარგად იცნობს მის ხასიათს: ქალი ამპარტავანი იყო, მკაცრი, დესპოტური. პოეტი მან გაახვია თავის ქსელში და როცა თავი შეაყვარა, ზოგჯერ თუ უთმობდა, ზოგჯერ ყურადღებასაც არ აქცევდა. მათი ურთიერთობა ძალზე დაძაბული იყო, მაგრამ შექსპირს უჭირდა მორეოდა თავის თავს:

რა ძალამ მოგცა
    უცნაური ასეთი ძალა,
რომ ეგოდენ სუსტს
    და უღონოს გემორჩილები?

ამრიგად, შექსპირმა მოგვითხრო ბევრი რამ შავგვრემან ქალზე, გადმოგვცა თითქმის ყველაფერი, სახელის გარდა.

ახლა ცნობებისათვის შავგვრემან ქალზე მივმართოთ ახალ წყაროს, პოეტის თანამედროვის — სიმონ ფორმენის ჩანაწერებსა და დღიურებს; ეს იყო ერთადერთი კაცი, რომელმაც აღწერა შექსპირის ოთხი პიესის დადგმა თეატრ „გლობუსში“.

მე უკვე აღვნიშნე, რომ ტრფიალი პოეტსა და შავგვრემან ქალს შორის განეკუთვნება 1593-1594 წლებს. რამდენიმე წლის შემდეგ, 1597 წლის 13 მაისს ასტროლოგ ფორმენთან მივიდა მეფის კარის მუსიკოსის ვაჟიშვილი ახალგაზრდა უილიამ ლანიე; იგი 24 წლისა იყო და ის იყო ემზადებოდა ჰერცოგ ესექსის ექსპედიციას გაჰყოლოდა აზორის კუნძულებზე. ამ სტუმრობიდან ოთხი დღის შემდეგ ფორმენთან მივიდა ლანიეს მეუღლე, მეფის კარის მუსიკოსის იტალიელ ბატისტა ბასანოსა და მარგარეტ ჯონსონის ქალიშვილი. ემილია ლანიე ანუ ემილია ბასანო, როგორც დასაწყისში მას ასტროლოგი იხსენიებს, იმ დროისათვის 27 წლისა იყო. „ახალგაზრდობაში იგი ბედნიერი არ ყოფილა, — წერს ფორმენი, — გაღატაკებული მამა რომ გარდაეცვალა, ქალიშვილი მოხუცი ჰანდსონის, გვიან კი ლორდი ჩემბერლენის საყვარელი გახდა. როცა იგი ბავშვს მოელოდა, მიათხოვეს „მენესტრელს“, ე. ი. ლანიეს.

3 ივნისს ემილია კვლავ ეწვია ფორმენს. იგი წერს: „ამ დროისათვის იგი ოთხი წლის გათხოვილი იყო“. დავუბრუნდეთ 1593 წელს, როცა იგი გაათხოვეს. „გათხოვებისას მას ჰქონდა ფული და ძვირფასეულობა. ახალგაზრდობაში ძალიან შავგვრემანი იყო“.

ფორმენი თავის ჩანაწერებში იშვიათად აღწერს ვინმეს გარეგნობას. როგორც ჩანს, ემილია ისე შავგვრემანი იყო, რომ არ შეიძლებოდა ამ მხრივ მისთვის ყურადღება არ მიექციათ.

და აი აქ, ჩვენ უმალ დავინტერესდით ამ პიროვნებით.

იმავე ჩანაწერებიდან შემდეგ ვგებულობთ, რომ „მას დიდი ამაგი დასდო წარჩინებულმა კაცმა, რომელიც შემდეგ გარდაიცვალა. ქმარი კი ცუდად ექცეოდა, გაუფლანგა ფული“. მას ჰყავდა ვაჟი, რომელსაც ლორდ ჩემბერლენის საპატივსაცემოდ სახელად ჰენრი დაარქვა.

უცნობი ქალის ცხოვრების ისტორია უფრო-დაუფრო გამოიკვეთა.

16 ივნისს შავგვრემანი ქალი კვლავ ეწვია ფორმენს და სთხოვა: ემკითხავა ვარსკვლავებზე და გაეგო მისცემდნენ თუ არა მის ქმარს შინ დაბრუნებამდე რაინდის წოდებას. იმავე წლის 2 სექტემბერს ეს ქალი სთხოვს ასტროლოგს ჩაიხედოს ჰოროსკოპში და შეიტყოს გახდება თუ არა იგი წარჩინებული ლედი.

ფორმენის თხრობა შეიძლება აქ შევწყვიტოთ, რადგან მის ვრცელ ჩანაწერებში შემდეგში ემილია აღარ იხსენიება.

ყველაფერი, რაც შევიტყვეთ ფორმენისაგან, დასტურდება სხვა დოკუმენტებითაც. ბასანოს ოჯახი ჰენრიხ მერვის სამეფო კარზე სამსახურისათვის ჩამოსული იყო ვენეციიდან; ფორმენის ჩანაწერებს ადასტურებს საეკლესიო წიგნებიც და „სამეფო კარის მუსიკოსის“ ანდერძიც.

1594 წელს ლორდმა ჩემბერლენმა შექმნა სახელგანთქმული თეატრალური საზოგადოება; ეს მოხდა მისი საყვარლის გათხოვებიდან ერთი წლის შემდეგ. ხსენებულ თეატრალურ საზოგადოებაში აქტიურ როლს თამაშობდნენ უილიამ შექსპირი და მისი მეგობარი ცნობილი მსახიობი რობერტ ბერბეიჯი. მაშინ ლორდ ჩემბერლენს წარუდგინეს ბევრი მსახიობი და საფიქრებელია, რომ შექსპირიც აქ შეხვდა შავგვრემან ქალს. სონეტებიდან ვიცით, რომ დიდი პოეტის ამ სიყვარულზე ბევრს ლაპარაკობდნენ მის ირგვლივ მყოფნი.

---

* ადგილები შექსპირის სონეტებიდან მოტანილია გ. გაჩეჩილაძის თარგმანიდან (1952 წლის გამოცემა).

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# ყველაზე ლამაზი გოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთის პოპულარობაზე ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის. ეს ყველასათვის ცნობილი ამბავია. მწერლები, ჟურნალისტები, კინოდრამატურგები ამ თემაზე წერენ ძალზე საინტერესო ნაწარმოებებს, რომელთაც დიდძალი მკითხველი ჰყავს.

ცნობილი პუბლიცისტი, ყოფილი ფეხბურთელი, ამჟამად ყოველკვირეული „ფრანს ფუტბოლის" მთავარი რედაქტორი მაქს იურბინი მსოფლიოს ყველა დიდი სტადიონების ხშირი სტუმარია, ახლოს იცნობს მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებს, ბევრ მათგანთან მას უახლოესი მეგობრობა აკავშირებს.

მაქს იურბინის ახალ წიგნში „ფეხბურთის ამბები" მკითხველი უფრო ახლოს გაეცნობა ბრწყინვალე მოთამაშეებს — პელეს, ეისებიოს, კოპას, მაცოლას, დი სტეფანოს, მეტიუზს, იაშინს და სხვებს, აგრეთვე ფრანგ, იტალიელ და ინგლისელ გულშემატკივრებს. იგი მოგვითხრობს საინტერესო მატჩებზე, კურიოზულ და ტრაგიკულ შემთხვევებზე, ოსტატობის საიდუმლოებებზე და ა. შ.

ქვემოთ ჩვენ ვათავსებთ ერთ თავს მაქს იურბინის ზემოხსენებული წიგნიდან.

**საღამოს გაზეთებში მოთავსებული იყო ცნობა სათაურით „წიგნებით მოვაჭრის მკვლელი აღმოჩენილი და დაპატიმრებულია".**

**კორიენტასში, იქ, სადაც სცემს ბუენოს-აირესის გული, ამ გაზეთებს პირდაპირ იტაცებდნენ.**

**ბრალდებულის ფოტოსურათის მიხედვით ვერაფერს გაიგებდა კაცი. იგი ოციოდე წლის იქნებოდა. ზორბა, ღონიერი ბიჭი, მეტად წყნარი და გულმშვიდი ჩანდა.**

**— წარმოუდგენელია, — გაისმოდა ხმები, — ეს ყმაწვილი კარგი ოჯახიდან გამოსული ახალგაზრდის შთაბეჭდილებას სტოვებს. იგი სრულ ნდობას იმსახურებს. და მაინც...**

**და მაინც ყველაზე მძიმე სამხილებლები მის წინაალმდეგ მეტყველებდნენ. იგი დაკავებულ იქნა დილით, უნივერსიტეტის სასადილოში, სადაც ამხანაგებთან ერთად საუზმობდა.**

**— თქვენ ხართ ხუან მონტერო?**

**— დიახ, მე ვარ.**

**— ჩვენ პოლიციიდან ვართ. უნდა გამოგვყვეთ!**

**— არ მესმის რა გინდათ ჩემგან...**

**— ნუ ატეხავთ აყალმაყალს. ასე უკეთესი იქნება თქვენთვისაც და ჩვენთვისაც.**

**ეს იყო მოულოდნელი დაპატიმრება, რამაც უსიამოვნო სიცივით განმსჭვალა მთელი დარბაზი, სადაც ეს-ეს არის მხიარული განწყობილება სუფევდა.**

**— ნუ ღელავთ, ნამდვილად შეცდომაა, — თქვა ერთმა სტუდენტმა, — ჩვენს შორის ხუანი ყველაზე წყნარი და წესიერია. ერთი საათის შემდეგ გამოუშვებენ, თან ბოდიშსაც მოუხდიან.**

**მაგრამ გავიდა მთელი საათი, მონტერო კი ჯერ ისევ პოლიციის განყოფილებაში იმყოფებოდა. იგი სკამზე იჯდა, საყელოშეხსნილი და ოდნავ ჰალსტუხმოფონილი. მის წინ სავრძელში ინსპექტორი ქანაობდა. იგი შეტევაზე იყო გადასული...**

**— თქვენ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ხართ?**

**— დიახ, უკვე მესამე წელია.**

**— და, რა თქმა უნდა, შესასწავლი საგნების მიხედვით დიდი რაოდენობით გჭირდებათ წიგნები, რომელთა ყიდვის შესაძლებლობა არა გაქვთ.**

**— ისევე, როგორც ყველა ჩემს ამხანაგს.**

**— რამდენი წიგნი გჭირდებათ? დაახლოებით მაინც.**

**— ვერ გეტყვით. თხუთმეტი ან ოცი წიგნი მაინც.**

**— ყველა წიგნი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან გამოგაქვთ?**

**— არა, თითქმის ყოველ წელს მიხდება ჩემი სახსრებით რამდენიმე წიგნის ყიდვა, ხუთის ან ექვსის...**

**— სახელდობრ სად ყიდულობთ მაგ წიგნებს?**

**— წიგნის ფარდულში.**

**— ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას?**

**— თითქმის ყოველთვის. თითქმის ყველა ჩემი მეგობარი ასე იქცევა. ფარდულის პატრონი კარგი კაცია. წიგნებს ხშირად ნისიად გვაძლევს.**

**— ეს იმიტომ, რომ ხშირად განიცდით ხელმოკლეობას?**

**— ისევე, როგორც თქვენ, როცა სტუდენტი იყავით, ბატონო ინსპექტორო!**

**— ჩვენ აქ ხუმრობისთვის როდი მოგიყვანეთ, მიპასუხეთ შეკითხვებზე. გიმეორებთ, ხელმოკლეობას განიცდით?**

**— რასაკვირველია, ხანგამოშვებით...**

**— რამდენი გჭირდებათ ფული?**

**— არ ვიცი, ზოგჯერ მეტი, ზოგჯერ ნაკლები.**

**— მიუხედავად ამისა, თქვენ ავტომობილი გაქვთ.**

**— მართალია. მე იგი ორი კვირის წინ შევიძინე. თქვენ ზუსტი ცნობები გაქვთ.**

**— დაწყებული სამშაბათიდან, თხუთმეტ რიცხვიდან მე შემიძლია ყველაფერი დაწვრილებით მოგითხროთ. თქვენ შეიტანეთ ერთობ მოზრდილი თანხა. ბევრად უფრო მოზრდილი, ვიდრე ამის ნებას გაძლევთ თქვენი სახსრები.**

**— კი, მაგრამ მე ის ფული ვისესხე.**

**— ვისგან?**

**— მამაჩემის მეგობრისაგან. იგი ვაჭარია.**

**— და, რა თქმა უნდა, მამათქვენმა ამის თაობაზე არაფერი არ იცოდა...**

**— მე იგი ამის ნებას არასოდეს არ მომცემდა.**

**ინსპექტორმა შეწყვიტა ქანობა. მან დააწყო თავის შენიშვნები მაგიდაზე, რომელზეც ისედაც დახროვილი იყო ქაღალდები, სათვალე გაისწორა და უცებ ტონი შეიცვალა.**

**— მონტერო, კმარა ტყუილი! ახლა მე გეტყვით, თუ სად აიღეთ ასი ათასი პესო ავტომობილისთვის, რათა თავბრუ დაგეხვიათ თქვენი გოგოებისათვის.**

**— მაგრამ მე ხომ არ ვამბობ, რომ...**

**— გაჩუმდით! ეგ ფული თქვენ გაიტაცეთ წიგნის ფარდულის სალაროდან, შაბათს, ცხრამეტ საათზე და ოცდაათ წუთზე, ფარდულის დაკეტვიდან რამდენიმე წუთის შემდეგ, რადგან იცოდით, რომ პატრონი თავისთან ინახავდა მთელ მონაგებს და ამ დღეს ჩვეულებისამებრ ითვლიდა ხოლმე მას.**

---

უფრო მიყვარხარ,
    რაც უფრო მეტს სისინებს ხმები,
რაც უფრო მეტი
    სიძულვილის მიზეზსა ვხედავ,
და თუმცა ზიზღს და
    წყევლა-კრულვას გითვლიან სხვები,
მეც ზიზღის ღირსად
    არ ჩამთვალო იმათთან ერთად.
მე შევიყვარე,
    ვისაც ხალხი სთვლიდა უღირსად,
და ამით გავხდი
    ღირსი შენი სიყვარულისა.

ჩვენ შეგვიძლია მთლიანად ავხსნათ 134-ე და 135-ე სონეტები, რომლებშიაც მოხსენებულია სიტყვა „ვილი". გაგახსენებთ, რომ როგორც პოეტის, ისე ემილიას ქმრის შემოკლებული სახელია „ვილი" (უილიამიდან). იმავე დროს, ეს ნიშნავს სურვილს, ნებას:

სხვას სურვილი აქვს,
    შენ მის ნაცვლად გყავს შენი ვილი...
. . . . .
უსასრულო ზღვამ
    შეივრდომა პატარა წვიმა,
წვიმით შევსება
    წყალმრავალმა მაინც ინება;
ნება გაქვს დიდი,
    მაგრამ ჩემიც შემატე იმას
და შენს ვილს ამით
    მომეც მეტი სრულყოფილება.

ახლა მგონია ყველა რგოლი ამოხსნილია და ჩვენ ეჭვქვეშ აღარ შეგვიძლია დავაყენოთ არც ერთი ზემომოყვანილი ცნობა, რომლებიც საბოლოო პასუხს იძლევიან შავგვრემანი ქალის ვინაობაზე.

* * *

... ყველაზე მთავარი, რაც მოგვცა შექსპირის სატრფოს სახელის ამოცნობამ — ეს ის არის, რომ სონეტები ავტობიოგრაფიულია. ისინი ხსნიან პოეტის საიდუმლოებას, მის დრამას. ახლა პირველად შეიძლება შეიქმნას მისი ბიოგრაფია. მე გპირდებით ამ დრამატულ ცხოვრებაზე მოგითხროთ ჩემს წიგნში „შექსპირი-ადამიანი", რომელსაც უკვე ვამზადებ დასაბეჭდად.

ალფრედ როუზი

— ეს შეუძლებელია! გარწმუნებთ, რომ...

— ხმა გაკმინდეთ! პატრონმა მოგისწროთ დანაშაულის ადგილზე. მაშინ თქვენ, შიშისაგან გონდაკარგულმა, მთელი ძალით დაარტყით მას. იგი გულაღმა დაეცა, თავი გაიტეხა და მეორე დღეს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

— ის, რასაც თქვენ ამბობთ, შემაძრწუნებელია! რაღაც ბულვარული რომანია. მე ასეთი რამის ჩადენა არ შემიძლია.

— გაჩუმდით-მეთქი! დანაშაული რომ ჩაიდინეთ, თქვენ გაიქეცით საიდუმლო კარით, რომელსაც იყენებენ ან, უფრო სწორად, იყენებდა ყველა სტუდენტი, როცა უდროო დროს მოდიოდნენ ამ კაცის სანახავად.

— ეს სიცრუეა!

— არ გჯერათ! მე ხელთ მაქვს დამამტკიცებელი საბუთები. თქვენ დაგინახეს.

— ვინ?

— როცა საჭირო იქნება, გაიგებთ.

მონტეროს ცრემლები წასკდა. ორმა პოლიციელმა მას ხელი სტაცეს და ინსპექტორის ოთახიდან გაიყვანეს.

საკანში მან საშინელი ღამე გაატარა. იგი სულ ერთი და იმავეს იმეორებდა:

— შეუძლებელია... ვის შეეძლო ამის თქმა... ჩემს სიცოცხლეში არასოდეს...

და უცებ, დაახლოებით ოთხ ან ხუთ საათზე, იგი წამოვარდა და ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი:

— რა თქმა უნდა, შაბათს, თორმეტში, სწორედ იმ დროს მე სტადიონზე ვიყავი. რა თქმა უნდა, მე ვესწრებოდი „რესინგ“-„რივერის“ მატჩს, — მან დაუძახა გუშაგს, — კარი გამიღეთ, სალაპარაკო მაქვს! გამიღეთ-მეთქი...

— კარგი, მე მხოლოდ გავაფრთხილებ შეფს, — უპასუხა მორიგე ზედამხედველმა.

მხოლოდ თერთმეტ საათზე მოხვდა მონტერო ინსპექტორთან. იგი რაღაც საქმეებს სინჯავდა.

— ბატონო ინსპექტორო, შაბათს, თორმეტში, მე არ შემეძლო ვყოფილიყავი წიგნის ფარდულში, რადგან ვესწრებოდი „რესინგ“-„რივერის“ მატჩს.

— რაო, რაო? მერე, რით დაამტკიცებთ მაგას? თქვენთან ერთად იყო კიდევ ვინმე?

— არა, ფეხბურთზე მარტოდ სიარულს ვარჩევ, რომ უკეთ ვუცქირო თამაშს.

— თითქოს განგებ...

— მე კი გეუბნებით, რომ სტადიონზე ვიყავი. მოიცათ, თამაშის შედეგსაც გეტყვით 3:1 „რივერის“ სასარგებლოდ.

— მაგის თქმა ყველას შეუძლია, საკმარისია გაზეთი წაიკითხო.

— მაგრამ მე შემიძლია ზოგიერთი დეტალიც გითხრათ: სამივე გოლი ლუსტომ გაიტანა.

— ეგეც დაიბეჭდა გაზეთებში.

მონტერო სკამზე წრიალებდა. იგი საკუთარ მუშტებსღა კბენდა, რათა როგორმე მოენახა სხვა მტკიცებანი.

— მოიცათ, ბატონო ინსპექტორო, შემიძლია გითხრათ, რომ ერთ-ერთი გოლი ლუსტომ თავით გაიტანა.

— მერედა რას ამტკიცებს ეგ ამბავი?

— იმას, რომ მე იქ ვიყავი, ბატონო ინსპექტორო. ამის თქმა უბრალოდ დამავიწყდა. გუშინდელს აქეთ თქვენთან იმდენი გადავიტანე! გარდა ამისა, მე ვესაუბრე გასახდელიდან გამოსულ ლუსტოს.

— მაგას ასობით უსაქმურიც აკეთებს.

— მაგრამ მან მე მიპასუხა!

— იქნებ გაიხსენოთ, რა გითხრათ?

— ერთი წუთით, ბატონო ინსპექტორო, ერთი წუთით...

მონტერომ ისევ დაატანა თავს ძალა, რადაც უნდა დასჯდომოდა, უნდა გაეხსენებინა რაიმე დეტალი, რომელიც შეცვლიდა ყველაფერს. უცებ სახე გაუნათდა.

— ლუსტომ სიტყვასიტყვით მითხრა შემდეგი: „ეს პირველად იყო, რომ ბურთი თავით ისე გავიტანე, თვითონაც ვერ გავიგე“. დიახ, სწორედ ასე მითხრა: „თვითონაც ვერ გავიგეო“. გამოუძახეთ. თვითონ მას ჰკითხეთ!

ინსპექტორი ჩაფიქრდა. „ხომ შეიძლება პატიმარი სიმართლეს ამბობდეს და ყალბი ჩვენების მსხვერპლი იყოს? ერთი შანსი ასიდან, — გაიფიქრა მან, — მაგრამ მაინც შანსია და ჩემი მოვალეობაა ამ ბიჭს მისი გამოყენების საშუალება მივცე“.

მან მაშინვე ბრძანა გამოეძახათ ლუსტო, ყველა დროის ყველაზე დიდი არგენტინელი გარემარბი, ერთ-ერთი იშვიათი ფეხბურთელი, ვის შესახებაც დი სტეფანომ თქვა: „დიახ, იგი დიდი მოთამაშეა. მისი ადგილი უკანასკნელი ოცწლედის მსოფლიოს ნაკრებ გუნდშია“.

სულ მალე ლუსტო ინსპექტორის კაბინეტში იჯდა. მართალია ინსპექტორი შესანიშნავი მოხელე გახლდათ, მაგრამ სულაც არ იყო პროფანი იმაში, რაც ფეხბურთს ეხება. მან შორიდან დაიწყო საუბარი.

— აბა, როგორ არის „რივერის“ საქმე?

— დიდებულად. ჩვენ ლიდერები ვართ და „რესინგზე“ გამარჯვების შემდეგ იმედი გვაქვს, რომ ჩემპიონები გავხდებით.

— დიახ, „რესინგთან“ მატჩის შესახებ ვინღა არ ლაპარაკობს.

— სალაპარაკო ბევრია...

— მათ შორის თქვენს სამ გოლზე!

— ასეთი რამ ისე იშვიათად ხდება....

— ამხანაგებმა, ალბათ, გულთბილად მოგილოცეს.

— რა თქმა უნდა!

— გულშემატკივრებმა კი მათ მხარი დაუჭირეს.

— და მერე როგორ! მთელი ორმოცდახუთი წუთი დამჭირდა იმისათვის, რომ როგორმე დამეღწია მათგან თავი.

სწორედ ამ დროს ინსპექტორმა განკარგულება გასცა შემოეყვანათ ბრალდებული. მონტერო თითქოს გარდაიქმნა. ლუსტო აქ იყო! იგი მას ახლა მოაგონებს.... ინსპექტორმა საუბარი განაგრძო „რივერის“ თავდამსხმელთან.

ინსპექტორმა ლუსტოს თითით ანიშნა მონტეროზე და ჰკითხა:

— იცნობ ამ კაცს?

— მგონი, არა, — მიუგო ლუსტომ, რომელიც ყურადღებით ათვალიერებდა საცოდავ მონტეროს.

— ყურადღებით შეხედეთ, დარწმუნებული ხართ?

— გადაჭრით ვერაფერს გეტყვით: ჩემი პროფესიის კაცი იმდენ ხალხს ხვდება!

მაშინ მონტერო მიუახლოვდა ლუსტოს და წინ დაუდგა. ინსპექტორი გამომცდელი თვალით შესცქეროდა მონტეროს; ბრალდებული ცდილობდა ძალიან მშვიდად ელაპარაკა:

— ლუსტო, ჩემი სიცოცხლე სასწორზეა შეგდებული. გევედრებით, შეეცადეთ გაიხსენოთ! ეს იყო შაბათს, მატჩის შემდეგ. ყველა მხარზე გირტყამდით ხელს და თქვენც ავტოგრაფებს არიგებდით. მე მოვედი თქვენთან და გითხარით: „ყველაზე ლამაზი მესამე გოლი იყო!“ ყველა შეკითხვებს გაურიდათ, მაგრამ თქვენ გამიღიმეთ და მითხარით: „ეს პირველად იყო, რომ ბურთი თავით ისე გავიტანე, თვითონაც ვერ გავიგე“.

— მოიცათ, — თქვა ლუსტომ და მოიღუშა.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ინსპექტორი ადგა, მაგიდას შემოუარა და კედელს მიეყრდნო, მისმა თანაშემწეებმა სული განაბეს.

— სწორია, სწორი, ნამდვილად ასე იყო, მაგონდება, მე მართლა ვთქვი: „თვითონაც ვერ გავიგე-მეთქი“. და ისიც ერთხელ, ვუთხარი ერთ ახალგაზრდას, რომელსაც თავზე ეხურა...

— ცისფერი ფეტრის ქუდი! — წამოიძახა მონტერომ.

— დიახ, ცისფერი...

— იმიტომ, რომ მას ატარებს „რივერის“ ყველა გულშემატკივარი, — ხაზი გაუსვა ინსპექტორმა.

— სრული სიმართლეა, ეჭვი არ მეპარება, — განაგრძო ლუსტომ,—ეს ბიჭი წარსულ შაბათს სტადიონზე იყო. სხვათაშორის, გამორიცხული არ არის, რომ იგი მოხვდა ერთ-ერთ ფოტოსურათზე, როცა ჩვენ, მოთამაშეებს გვიღებდნენ სტადიონიდან გამოსვლისას. მე შინ მაქვს რამდენიმე ცალი. თუ გსურთ ნახოთ...

ინსპექტორმა მაშინვე აფრინა კაცი აღნიშნულ მისამართით. ორმოცდახუთი წუთის შემდეგ ფოტოსურათები ინსპექტორის მაგიდაზე ეწყო.

— შეხედეთ! ეს მე ვარ! ლუსტოს გვერდით! ფეტრის ქუდით, — იყვირა მონტერომ.

ინსპექტორი ყურადღებით უთვალთვალებდა ამ სცენას. მისი მზერა ერთი ათჯერ გადარბოდა მონტეროდან ფოტოგრაფიაზე და ფოტოგრაფიიდან ისევ მონტეროზე, რომელიც მთელი ტანით კანკალებდა: მერე თქვა:

— მონტერო, თქვენ გამართლებული ხართ! ლუსტოს დამოწმება თავისთავად ერთობ დამაჯერებელი იყო, მაგრამ ეს ფოტოგრაფია ყველაზე მტკიცე საბუთია თქვენთვის. ბოდიშს ვიხდით თქვენს წინაშე, მონტერო. თქვენ თავისუფალი ხართ!

ამ სიტყვების მოსმენაზე მონტერო ლუსტოს გადაეხვია და... ატირდა. მაგრამ ამჯერად სიხარულისა და მღელვარებისაგან. იგი რაღაც გაუგებარს ბურტყუნებდა, რაც ალბათ ნიშნავდა: თქვენი და თქვენი ესოდენ ორიგინალური გოლის გარეშე, მე ვერასოდეს ვერ დავამტკიცებდი ჩემს უდანაშაულობას, გმადლობთ, გმადლობთ!

რამდენიმე დღის შემდეგ შეიპყრეს და გაასამართლეს ნამდვილი მკვლელი. მას შემდეგ შეკითხვაზე: „მთელი თქვენი კარიერის განმავლობაში თქვენს მიერ გატანილი გოლებიდან რომელი იყო ყველაზე უფრო ლამაზი“, — ლუსტო უყოყმანოდ პასუხობს:

— ეს იყო გოლი „რესინგის“ კარში, შაბათს, რომელიც ისე გავიტანე თავით, რომ თვითონაც ვერ გავიგე.

# მოზაიკა



## ფეხბურთი და ბალეტი

ბალეტის მსახიობის ფიზიკური დატვირთვა გაცილებით მეტია, ვიდრე პროფესიული ათლეტისა, აი ასეთ დასკვნამდე მივიდა ცინცინატის (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორი ე. მილერი, რომელსაც, სხვათა შორის, ბალერინა ჰყავს ცოლად.

სწავლულთა ჯგუფმა, მილერის ხელმძღვანელობით, საგანგებოდ გამოიკვლია კანზასის საბალეტო დასი.

„ამ გამოკვლევამ დაგვანახა, რომ მაღალი ნახტომი, ჰაერში ორმაგი შემოტრიალება და ცალ ფეხზე ხტომა გაცილებით მეტ ენერგიასა და დაძაბვას მოითხოვს, ვიდრე ფეხბურთელის სწრაფი გარღვევა და კარში ძლიერი დარტყმა“.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბალერინებს ხშირად უზიანდებათ მუხლები. დადგენილია, რომ მოცეკვავე ვაჟები გაცილებით მეტ ტრავმას იღებენ, ვიდრე მოცეკვავე ქალები.



## რადიო და ზარმაცი მოსწავლეები

როცა რჩევა-დარიგებამ და საყვედურებმა — გაკვეთილებს ნუ აცდენთო, — არაფერი შედეგი არ გამოიღო, ერთი სკოლის დირექტორმა ორეგონის შტატში (აშშ) ასეთ ექსპერიმენტს მიმართა: ყოველ დილით, საქალაქო რადიოქსელით დაიწყო იმ მოსწავლეთა გვარების გამოცხადება, რომლებიც სკოლაში არ მოვიდნენ; ჩამოსთვლიდა მიკროფონში თავისი მოსწავლეების გვარებს და ბოლოს დასძენდა: „პატივცემულო რადიომსმენელებო, თუ სადმე გადააწყდეთ ამ ჩემს მოსწავლეებს და თუ ისინი უსაქმოდ დაყიალებენ ქუჩაში, კინწისკვრით გამოყარეთ სკოლისაკენ“.

ამ „მეთოდმა“ დიდი აურზაური გამოიწვია. მოსწავლეებმა დირექტორს „ბოროტი სული“ შეარქვეს. მშობელთა შორისაც აღმოჩნდნენ უკმაყოფილოები. ზოგიერთ მათგანს მიაჩნია, რომ არამკითხე დირექტორი „ოჯახების პირად ამბებში ჰყოფს ცხვირს“.

ასეა თუ ისეა, იმის შემდეგ, რაც დირექტორმა თავისი დილის რადიოგადაცემები შემოიღო, გაკვეთილებიდან გაპარულ მოსწავლეთა რაოდენობა ოთხჯერ შემცირდა.



## პირის გემოს პატრონები

გურმანი ფრანგული სიტყვაა; ქართულად ეს დაახლოებით შეიძლება ითარგმნოს, როგორც პირის პატივის მოყვარული. ახლახან გურმანების კლუბი დააარსეს ბუდაპეშტის სასტუმრო-სარესტორანო საქმის უმაღლესი სკოლის სტუდენტებმა.

ყოველთვიურად ისინი აწყობენ ღია საღამოებს, რომლებიც ამა თუ იმ ეროვნულ სამზარეულოს ეძღვნება. ტანზანიის საღამოზე ყველა მოხიბლა ბანანის საწებელათი შეზავებულმა რაგუმ, რომელიც სასტუმრო საქმის ფაკულტეტის ერთ-ერთმა სტუდენტმა დაამზადა. ეს სტუდენტი მანამდე პრაქტიკას გადიოდა დარ-ეს-სალამის სამზარეულოში. დიდი წარმატება ხვდა აქ ქართულ სამზარეულოს, სადაც მესამე კურსის სტუდენტი-მზარეული იძულებული გახდა სასწრაფოდ აეთვისებინა საცივის შემზადების ხელოვნება, ხოლო სტუდენტ-გამფორმებლებმა, რომლებიც ქართულ ჩოხებში იყვნენ გამოწყობილები, კოლორიტისათვის ულვაშებიც კი მოუშვეს.



## დაიცავით რეგლამენტი

ბრაზილიის ინდიელთა ტომმა კოაჩომ უკვე კარგა ხანია, რაც ორატორთა გამოსვლის დროის შეზღუდვის ორიგინალური მეთოდი შეიმუშავა. ორატორი, ვიდრე ლაპარაკს დაიწყებს, საგანგებოდ ჩამოკიდებულ მარყუჟში ჰყოფს თავს. ყოველი სამი წუთის გასვლის შემდეგ, ტომის ბელადი ოდნავ ჩამოჰკრავს ხოლმე ხელს თოკს. მარყუჟი თანდათან ვიწროვდება. ასეთი მეთოდი უნივერსალური გამოდგა: ყველაზე მგზნებარე ორატორებიც კი ვერ უძლებენ მკაცრ „რეგლამენტს“ და სწრაფად ამთავრებენ თავიანთ სიტყვას.



## რომელი საათია

როგორც აღნიშნავენ, საათი გამოიგონა ბერძენმა ოიდოქსმა, რომელიც კარიაში, ქ. კნიდოსში ცხოვრობდა. ეს მოხდა 356 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მაგრამ საქმე ისაა, რომ საათს, როგორც ყველა გენიალურ გამოგონებას, ერთი ავტორი როდი ჰყავს. არსებობს აზრი, რომ ბერძნებმა საათის კეთება ბაბილონში ისწავლეს, ხოლო ძველი ჩინური ქრონიკის მიხედვით საათი გამოიგონა ასტრონომმა ჩუ-კონგმა 1.100 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მისი მოწყობილობა ასეთი იყო: მიწაში ჩასობილი იყო დიდი ბოძი და მისი ჩრდილის მიხედვით იზომებოდა რა სიმაღლეზეა მზე და ასე აწგარიშობდნენ დროს.

263 წელს ჩვენს ერამდე რომში გამოჩნდა პირველი მზის საათები. ისინი საბერძნეთიდან ჩამოიტანეს და ფორუმზე გამოფინეს. მდიდარი რომაელები დღეში რამდენჯერმე გზავნიდნენ მსახურებს, რათა გაეგოთ თუ რომელი საათია.

„სწორია, მაგრამ არა ყოველთვის“, ასეთი წარწერა ჰქონდა მზის საათს გერმანიის ქალაქ ბერნეკში. საქმე ის არის, რომ უმზეო ამინდში ასეთი საათი, ცხადია, არ მოქმედებდა.

იყო კიდევ წყლის და ქვიშის საათები. წყლის საათი ჰქონდა, მაგალითად, ბერძენ ფილოსოფოსს პლატონს.

როდის გაჩნდა პირველი მექანიკური საათი? იგი პირველად მოხსენებულია ძველ ბიზანტიურ წყაროში, რომელიც 578 წლით არის დათარიღებული.

გარეკანის პირველ გვერდზე: მეჩაიე ქალი. მხატვარი გოგი თოთიბაძე.


მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, ა. მინდაძე, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

გადაეცა ასაწყობად 9/VI-73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/VI-73 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 2,5. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 3,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9. ტირაჟი 55.300. შეკვ. № 2062. უე 01920.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარხნის ეზოში.

ფოტო ა. გოგოლაძისა.

ფოტო ბ. დადვაძისა.



გზა სიღნაღისაკენ.

სიღნაღი. ქალაქის ცენტრი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76056